

ახალი ბრალდებები ჰუსეინის წინააღმდეგ A2



დამოუკიდებელი საგამოძიებო ჯგუფი - ობიექტურობის გარანტი A5



მინგბემ ნაკრები დააკომპლექტა A6


www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი, 6 აპრილი, 2006 წელი. №74 (1226) | ფასი 50 თეთრი


## ამბები

### ბელა ბეჟუაშვილი: რუსეთი სამართლიანი ბროკერი არ არის

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გელა ბეჟუაშვილი გაზეთ "კომერსანტისთვის" მიცემულ ინტერვიუში საქართველოსა და უკრაინის სტრატეგიულ ურთიერთობებსა და საქართველოს მიმართ რუსეთის მიერ განხორციელებულ პოლიტიკაზე საუბრობს.

A2

## ამბები

### სახელმწიფო დეპარტამენტის ანტირუსული განცხადებები

შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა კიდევ ერთხელ გააკრიტიკა რუსეთის ხელმძღვანელობა. ამჯერად, აშშ-ს კონგრესში სიტყვით გამოსვლისას კონდოლიზა რაისმა განაცხადა, რომ რუსეთი არის ქვეყანა, რომელსაც ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვის თვალსაზრისით უზარმაზარი პრობლემა აქვს.

A2

## სამართალი

### თამაზ ბაკურიძე მეორე ვერდიქტის მოლოდინში

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში აჭარის ტელევიზიის ყოფილი დირექტორისა და ასლან აბაშიძის მთავრობის პრესმდივნის თამაზ ბაკურიძის სასამართლო პროცესი განახლდა. შეგახსენებთ, რომ თამაზ ბაკურიძის ადვოკატმა სააპელაციო სასამართლოში ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ რამდენიმე თვის წინ გამოტანილი განაჩენი გაასაჩივრა, რომლის მიხედვითაც, განსასჯელს ექვსი წლითა და ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

A5


საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.


## ამინდი

| | 6/04 | 7/04 |
|---|---|---|
| თბილისი | 19 | 22 |
| ტყიბული | 18 | 21 |
| სოხუმი | 19 | 22 |
| გორი | 15 | 18 |
| ონი | 13 | 16 |
| ზუგდიდი | 21 | 23 |
| სამტრედია | 21 | 23 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,8250 |
| ევრო | 2,2375 |
| გირვანქა სტერლ. | 3,2036 |
| რუბლი | 0,0662 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| საზოგადოება | A 4 |
| სამართალი | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| სხვადასხვა | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |


# გაზაფხული ომის დროა?

### რუსეთის სახელმწიფო სათათბირო სააკაშვილის პოლიტიკაზე მსჯელობას იწყებს

*დღეს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს საბჭო განიხილავს დადგენილების პროექტს საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკის შესახებ. ამის თაობაზე განცხადება რუსეთის სათათბიროს სპიკერმა ბორის გრიზლოვმა გუშინ გააკეთა. დადგენილების პროექტი, ვლადიმირ ჟირინოვსკის ლიბერალ-დემოკრატიული ფრაქციის წევრმა ალექსეი მიტროფანოვმა მოამზადა. მართალია დოკუმენტის შინაარსი, ჯერჯერობით, უცნობია, მაგრამ მისი ავტორის ჩვენი ქვეყნისადმი დამოკიდებულებიდან გამომდინარე, საეჭვოა, რაიმე სახის კონსტრუქციულ ურთიერთობების აღდგენას ისახავდეს მიზნად.*

*საგულისხმოა, რომ დასავლური გამოცემები ბოლო დროს სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ საქართველო-რუსეთს შორის დაძაბულ ურთიერთობებს. რამდენიმე დღის წინ აშშ-ის საერთაშორისო კვლევების ინსტიტუტმა (Kathryn and Shelby Cullom Davis Institute for International Studies at the Heritage Foundation) გამოაქვეყნა სტატია სათაურით "გაზაფხული მოვიდა, დროა საქართველოსთან ომი დავიწყოთ".*

*სტატიის ავტორი, რუსეთისა და ევრაზიის განყოფილების მკვლევარი არიელ კოენია.*

*ავტორი ღიად საუბრობს საქართველოში ომის შესაძლო დაწყებაზე. "გაზაფხული კავკასიას "მშიან პოლიტიკურ ამინდს" არ ჰპირდება," - წერს კოენი. საქართველოს დასჭირდება მთელი თავისი პოლიტიკური სიბრძნის გამოყენება და ვაშინგტონელი და სხვა მეგობრების მხარდაჭერა, რათა გაყინული კონფლიქტების დარეგულირებასა და საერთოდ, დანაღმული კავკასიის პოლიტიკური ველის განაღმვაზე, რუსეთთან მოლაპარაკებებისას რაიმე დადებით შედეგს მიაღწიოს.*

*გთავაზობთ, აღნიშნულ სტატიას.*

გაგრძელება A3 გვერდზე

# პრეზიდენტი თანამედროვე შაჰ აბასებს ბრძოლას კახეთიდან უცხადებს

B

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

*საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი რუსეთის მიერ ქართული ღვინის სახელის შებღალვას საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობაზე შეტევას უწოდებს. მისი თქმით, რაც შაჰ აბასმა ქართულ ვაზს ვერ დააკლო, ამას რუსეთი ცდილობს. სწორედ ამის გამო, ქვეყნის პირველი პირი "თანამედროვე შაჰაბასების" წინააღმდეგ ბრძოლას საერთაშორისო არენაზე აპირებს. პირველი ნაბიჯი გადადგმულია, ქართული ღვინის მწარმოებელი ასოციაციები "როსპოტრებნადზორის" წინააღმდეგ სარჩელს ამზადებენ. მანამდე კი პრეზიდენტი მოსკოვში პრემიერ-მინისტრს გზავნის.*



*მიხეილ სააკაშვილმა რუსეთს კახეთიდან შეუტია.*

# საფრანგეთში მღელვარება გრძელდება

### პრემიერ-მინისტრი ვილპენი შრომის კანონის გაუქმებას არ აპირებს

თეა მაისურაძე

პარიზში საპროტესტო გამოსვლები გრძელდება. საფრანგეთში მასობრივი პროტესტების მორიგი დღის შემდეგ ხელისუფლება და დემონსტრანტები კრიზისიდან გამოსასვლელი გზების მოძიების და შრომის ახალი კანონის საკითხზე კომპრომისის მიღწევის მიზნით მოლაპარაკებებს მართავენ. გუშინ სენატის შენობაში მმართველი პარტიის "სახალხო უმრავლესობის კავშირის" საპარლამენტო ფრაქციის ხელმძღვანელი ბერნარ აკუაიტე სტუდენტური და პროფკავშირული ორგანიზაციების ლიდერებს შეხვდა, რომელთა მოწოდებითაც მარტო პარიზის ქუჩებში 700 ათასი ადამიანი გამოვიდა.

გაგრძელება A2 გვერდზე




*სტუდენტთა აზრით, ახალი კანონი უმუშევრობას კი არ შეამცირებს, არამედ უფრო გაზრდის.*

# ოპოზიცია გზაგასაყარზე

ია ანთაძე

30 მარტს საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ტელევიზორის ეკრანზე ადევნებდა თვალს, როგორ შეასრულებდა ოპოზიცია მრავალათასიანი მიტინგის მოწყობის პირობას. შესაბამისად, მიტინგის მასშტაბები დაპირებულს გაცილებით ჩამორჩა. სად არის დღეს რიგითი მოქალაქის ადგილი: ხელისუფლების გვერდით, ოპოზიციის მიტინგზე თუ ტელევიზორის ეკრანთან?

ოპოზიციის ერთ-ერთი ყველაზე რეიტინგული ლიდერი ლევან ბერძენიშვილი საჯაროდ აღიარებს, რომ ოპოზიცია, ჯერჯერობით, ძალიან სუსტია. ამ სისუსტეს სამი შემადგენელი აქვს:

1. მიხეილ სააკაშვილის მიმართ მოსახლეობის ნდობის ხარისხი საკმაოდ მაღალია;
2. ოპოზიციის ერთი ნაწილი პოლიტიკურად გაკოტრებულია;
3. ოპოზიციის მეორე ნაწილი მხოლოდ ახლა იკრებს ძალას.

"ვარდების" ხელისუფლებამ ქვეყანა სწრაფი, ძალისმიერი გადაწყვეტილებების რეჟიმში გადაიყვანა. ტემპს დღემდე ხელისუფლება განსაზღვრავს. ახლადგამოღვიძებული ოპოზიცია კი ცდილობს, არ ჩამორჩეს. საკუთარ სისუსტეს ვერშეგუებულმა ოპოზიციამ ასეთი გამოსავალი მოძებნა: გაერთიანდა და ხელისუფლებას "ფრონტის" პრინციპით შეუტია. ეს პრინციპი კარგად არის ნაცნობი: ყველა ერთის წინააღმდეგ! "ყველა" სხვადასხვა ჯურის ოპოზიციური პარტიაა, "ერთი" კი, რა თქმა უნდა, პრეზიდენტია.

მაგრამ "ფრონტის" პრინციპი ყოველთვის არ ამართლებს. დღეს, როდესაც საზოგადოებას პრეზიდენტის მიმართ ნდობა არ დაუკარგავს და ხელისუფლებასთან ჯიქური დაპირისპირება მოქალაქეთა გარკვეული ნაწილისთვის მიუღებელია, ოპოზიციის გაერთიანება ბევრ საფრთხეს შეიცავს.

თავიდან ასე ჩანდა, რომ არის თემები, რომელთა ირგვლივ გაერთიანება რაიმე რისკს არ უკავშირდება. მაგალითად, სანდრო გირგვლიანის მკვლელობის ფაქტმა მთელი ოპოზიცია "შეკრა" და ამაში ცუდი არავის არაფერი დაუნახავს. მაგრამ აქვე წამოიჭრა სალარო აპარატების თემა, რომლის ირგვლივ აზრი გაიყო, თუმცა, ოპოზიციამ უკან აღარ დაიხია და ისევ მწყობრად შეუტია ხელისუფლებას.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ბოიკოტის ფორმა კვლავ უცნობია

კონკრეტული გადაწყვეტილების გარეშე დასრულდა პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძისა და ფრაქცია "მემარჯვენე ოპოზიციის" წევრ ფიქრია ჩიხრაძის შეხვედრა, რომელიც გუშინ დახურულ კარს მიღმა ნახევარი საათის განმავლობაში მიმდინარეობდა.

როგორც შეხვედრის შემდეგ ფიქრია ჩიხრაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, მას და პარლამენტის თავმჯდომარეს შორის საუბარი ოპოზიციური ფრაქციების მიერ გამოცხადებული პოლიტიკური ბოიკოტის კონკრეტულ მიზეზებს შეეხო, რასთან დაკავშირებითაც თავმჯდომარემ საკუთარი პოზიცია კიდევ ერთხელ გამოხატა.

ჩიხრაძის თქმით, ნინო ბურჯანაძე ბოიკოტის გამო შექმნილ ვითარებას კრიტიკულად აფასებს, მაგრამ ოპოზიციაში არ არსებობს იმის იმედი, რომ ხელისუფლება პოლიტიკური პროცესებისადმი დამოკიდებულებას შეიცვლის და შექმნილი ვითარების კონსტრუქციულ რეჟიმში გადაყვანას მოისურვებს.

ამავე დროს, საპარლამენტო ბოიკოტის შეწყვეტის მიზნით პარლამენტის თავმჯდომარესთან შეხვედრას კატეგორიულად გამორიცხავს ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტი."

სამმა ოპოზიციურმა ფრაქციამ: "მემარჯვენე ოპოზიცია," "დემოკრატიული ფრონტი" და "მრეწველები" პარლამენტის მუშაობას პოლიტიკური ბოიკოტი 31 მარტს, ხაშურის მაჟორიტარი დეპუტატის ვალერი გელაშვილისთვის სადეპუტატო უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ გამოუცხადა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ვინ მიიღებს სოციალურ დახმარებას

*სიახლე, რომელიც "სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების იდენტიფიკაციის და მონაცემთა ბაზის ფორმირებას" ითვალისწინებს, წლების განმავლობაში ქვეყნაში აპრობირებულ სოციალურ პოლიტიკას თავდაყირა აყენებს. სახელმწიფო აცხადებს, რომ ყველაზე ღატაკებს უნდა დაეხმაროს და ახალი პროგრამის შექმნის მთავარ არგუმენტად აქამდე მოქმედი სოციალური დაცვის სისტემის მოუქნელობას ასახელებს, რომელიც, თურმე, ამ სფეროზე გამოყოფილი თანხების ეფექტურად გამოყენების საშუალებას არ იძლევა. პროგრამის თანახმად, დახმარება უკიდურეს სიღატაკეში, შიმშილობის ზღვარზე მყოფ ოჯახებს გაეწევა. ასე რომ, დახმარება შეიძლება ვეღარ მიიღონ იმ ხუთ კატეგორიაში მოხვედრილმა ოჯახებმა, რომლებიც ადრე დახმარებას იღებდნენ, თუმცა ამას ნაკლებად საჭიროებდნენ. საოჯახო დახმარების პროგრამის ფარგლებში 22 ლარს ყოველთვიურად, დაახლოებით, 80 ათასი კაცი იღებდა. წინასწარი გათვლებით, ახალ პროგრამაში მოხვედრის შანსი მხოლოდ 65-70 პროცენტს აქვს.*

თამარ მაისურაძე

ქვეყანაში სიღატაკის დონის შესამცირებლად შემუშავებულ ახალ კონცეფციას უნივერსალურს ვერ უწოდებ. ამის ილუზია არც პროგრამის ავტორებს - სოციალური დახმარების და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს წევრებს აქვთ. "მსოფლიო პრაქტიკიდან გამომდინარე, სოციალური დახმარება ყველაზე არაპოპულარული და დაუფასებელია," - აღნიშნავს სააგენტოს დირექტორის მოადგილე მორის წამალაშვილი, თუმცა თვლის, რომ მოსახლეობამ ახალი პროგრამის არსი კარგად გაიგო. მისივე თქმით, შეკითხვაზე, თუ ვინ მიიღებს სოციალურ დახმარებას, სოციოლოგიური კვლევის შედეგად გამოკითხულთა 84 პროცენტმა უპასუხა - ვისაც ყველაზე მეტად უჭირს.

გაგრძელება A4 გვერდზე

# ბოიკოტის ფორმა კვლავ უცნობია

პირველი გვერდიდან

ოპოზიციის განცხადებით, ეს გადაწყვეტილება "გახდა ბოლო წვეთი" იმ აგრესიისა და უსამართლობისა, რომელსაც ხელისუფლება და უმრავლესობის სახით მისი დასაყრდენი პარლამენტში პოლიტიკური ოპოზიციისა და საზოგადოების წინააღმდეგ მიმართავს.

მემორანდუმის პროექტი, რომლის გაფორმებასაც სამი ოპოზიციური ფრაქციები "დემოკრატიული ფრონტი," "მემარჯვენე ოპოზიცია" და "მრეწველები", სავარაუდოდ, ხუთშაბათს ხელს მოაწერენ, მზად არის.

როგორც "დემოკრატიული ფრონტის" წევრმა კახა კუკავამ განაცხადა, მემორანდუმის ვარიანტი, სადაც ოპოზიციის ხელისუფლებისადმი წაყენებული მოთხოვნებია ჩამოყალიბებული, მის ფრაქციაში მომზადდა და მას პოლიტიკური პარტნიორები ჯერ არ გაცნობიან.

მისი განმარტებით, მემორანდუმი, რომელსაც პოლიტიკურ ბოიკოტში მონაწილე ფრაქციები ხელისუფლებას გამოცხადებული ბოიკოტის შეწყვეტის სანაცვლოდ შესთავაზებენ, პრეზიდენტისა და პარლამენტის თავმჯდომარის სახელზეა დაწერილი და იმ ძირითად მოთხოვნებს შეიცავს, რომლებიც ოპოზიციურმა ფრაქციებმა სამუშაო რეჟიმში გამართული კონსულტაციებისას ჩამოაყალიბეს. კერძოდ, საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლა, მერების არჩევითობის პრინციპის დამკვიდრება და შს მინისტრ ვანო მერაბიშვილის თანამდებობიდან გადაყენება.

იმის მიუხედავად, რომ პოლიტიკური ბოიკოტის გაგრძელების ფორმებთან დაკავშირებით ოპოზიციურ ფრაქციებს შორის პრინციპული აზრთა სხვადასხვაობაა, მოსალოდნელია, რომ ხელისუფლებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს ხელს სამივე ფრაქცია მოაწერს.

*24 საათი*

# ოპოზიცია გზაგასაყარზე

პირველი გვერდიდან

არადა, სულ მალე მიტინგზე ისეთი სახეები გამოჩნდა, რომლებმაც ტელევიზორთან მჯდომი მაყურებელიც კი დააფრთხო. რას იზამ: თუ ფრონტია, ფრონტი უნდა იყოს! საქმე იქამდე მივიდა, რომ რესპუბლიკელები შალვა ნათელაშვილს გადაეფარნენ: თუ მისი პარტია რუსეთიდან ფინანსდება, ხელისუფლებამ დოკუმენტები დადოსო. ადამიანს, რომელიც არც ერთი პარტიის წევრი არ არის და დღეს ტელევიზორის ეკრანთან ზის, ასეთი დოკუმენტები არ სჭირდება, რადგან არც დოკუმენტებით და არც დოკუმენტების გარეშე არ წავა იქ, სადაც პროტესტი შალვა ნათელაშვილთან ერთად უნდა გამოთქვას.

ერთადერთი, ვინც წინდახედულება გამოიჩინა და გაერთიანებულ ოპოზიციას თავიდანვე გაემიჯნა, სალომე ზურაბიშვილი იყო. მისმა პარტიამ აირჩია რუტინული გზა: შემოიკრიბოს თანამოაზრეები, ააგოს სტრუქტურები და საკუთარი, თუნდაც, არაპოპულარული მოსაზრებები ღიად წარუდგინოს საზოგადოებას.

დღეს გზაგასაყარია. გაერთიანებულ ოპოზიციას სერიოზული არჩევანი აქვს გასაკეთებელი. ერთი გზა ისაა, რომ ერთობა კვლავ შენარჩუნდეს, პოლიტიკურად პერსპექტიულმა და უკვე სასტიკად გაკოტრებულმა პარტიებმა ერთმანეთი ბოლომდე დაიცვან და ამით პოტენციური მომხრეები დააფრთხონ. მეორე გზა კი მაშინ გამოჩნდება, თუკი მომავლის მქონე და არმქონე პარტიები გაიმიჯნებიან და ცალკე შეეცდებიან თანამოაზრეების შემოკრებას.

30 მარტს დადასტურდა, რომ პოლიტიკური პროცესის განვითარების დღევანდელ ეტაპზე გაერთიანების გზა არა გაძლიერების, არამედ, დასუსტების გზაა. ამის მიხვედრა მანამდეც შეიძლებოდა. ის, ვინც გაჯიუტდება და ირაკლი წერეთელთან ან ნესტან კირთაძესთან ერთად გააგრძელებს ქვეყნის პრობლემების მოგვარებას, მხოლოდ ხელისუფლებას გააძლიერებს. ხოლო ის, ვინც გაემიჯნება პოლიტიკურად გაკოტრებულ ოპოზიციას, მოიპოვებს შანსს, რომ ნაბიჯ-ნაბიჯ, სისტემურად გაძლიერდეს და 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე დარჩენილი დრო მომავალი წარმატებებისთვის გამოიყენოს.

ჯერჯერობით კი, ის მოქალაქეები, რომლებიც უკმაყოფილო არიან ხელისუფლების ამა თუ იმ გადაწყვეტილებით ან ზოგადი სულისკვეთებით, ტელევიზორის ეკრანებთან სხედან და შორიდან ადევნებენ თვალყურს ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის სულ უფრო მზარდ დაპირისპირებას. დღეს ჩვეულებრივი, რიგითი, ნორმალური მოქალაქის ადგილი არ არის არც ხელისუფლების და არც ოპოზიციის გვერდით. ამიტომ, ვიდრე არ გაჩნდება ნდობის ველი და ამ ველის დამმუხტავი კონკრეტული იდეა, ხელისუფლების თუ ოპოზიციის რიტორიკა - რაგინდ მწვავე - მოქალაქეს არ აალელვებს და, მით უმეტეს, არც საკუთარი სავარძლიდან წამოაყენებს.

*მასალა გამოქვეყნებულია რადიო "თავისუფლების" ეთერით*

# ახალი ბრალდებები ჰუსეინის წინააღმდეგ

## სამართლიანი სასამართლო თუ ჩაგრულთა შურისძიება?



ერაყის ყოფილ ლიდერს, სადამ ჰუსეინს, რომლის სასამართლო პროცესი უკვე დაახლოებით ნახევარი წელიწადია მიმდინარეობს, შესაძლოა, ახალი ბრალდებები წაუყენონ.

ჰუსეინს დღემდე ბრალად ედებოდა გასული საუკუნის 80-იან წწ. ერაყის შიიტურ მოსახლეობის მასობრივი განადგურება. ჯერ კიდევ ოქტომბერში ჰუსეინს ბრალი დასდეს 1982 წელს ქალაქ ედ-დუჯაილში 148 შიიტი მუსლიმანის მკვლელობაში. შეგახსენებთ, 1982 წლის 8 ივლისს შიიტებმა თავდასხმა განახორციელეს ერაყის ლიდერზე, რის შემდეგაც სადამ ჰუსეინმა სასტიკად იძია შური.

4 აპრილს ერაყის ყოფილ დიქტატორს ახალი ბრალდება წაუყენეს. ამჯერად, სახელმწიფო ბრალმდებელი მას ქურთების გენოციდში ადანაშაულებს. მოწმეთა განცხადებით, 100, 000 ზე მეტი ადამიანი იქნა მოკლული, ხოლო ათასობით სოფელი კი - განადგურებული 1988 წელს სადამ ჰუსეინის მიერ.

გუშინ განახლებულ სასამართლო პროცესზე სადამ ჰუსეინმა კიდევ ერთხელ უარყო ყველა ბრალდება და მის წინააღმდეგ არსებულ მტკიცებულებებს გაყალბებული უწოდა. **"აქ წარმოდგენილი მოწმეები მოსყიდულნი იყვნენ. ისინი წინასწარ დაარიგეს, თუ რა უნდა ეთქვათ,"** - აცხადებს ჰუსეინი.

ყოფილმა პრეზიდენტმა გუშინდელ პროცესზე კიდევ ერთხელ ეჭვქვეშ დააყენა სასამართლოს უფლებამოსილებაც: **"ვის აქვს უფლება, განაჩენი გამოუტანოს პრეზიდენტს, რომელიც იცავდა თავის ქვეყანას და იბრძოდა ერაყის მტრების წინააღმდეგ?"** - ხმამაღლა კითხულობს ჰუსეინი.

აღსანიშნავია, რომ ჰუსეინის მოწინააღმდეგეთა უმრავლესობის აზრით, ანფალის კამპანიის სახელით ცნობილი ქურთების გენოციდი ყოფილი დიქტატორის ყველაზე მძიმე დანაშაულია და, შესაბამისად, ის უფრო გულდასმით, სხვა დანაშაულებისაგან ცალკე უნდა იქნას განხილული.

ამავე ანფალის კამპანიის ნაწილად მიიჩნევენ ადამიანის უფლებების დამცველი ჯგუფები, ჰალაბიაში მომწამვლელი აირის გაშვებას, რომელსაც 5000 ქურთის სიცოცხლე შეეწირა. თუმცა, გუშინ მოსამართლე რაიდ ჯუი აცხადებდა, რომ ეს საქმე ცალკე განხილვას საჭიროებს.

მაჰმუდ ოტმანი, ერაყის ეროვნული პარლამენტის დამოუკიდებელი ქურთი წევრი და ერაყის მმართველი საბჭოს წევრი დადებითად აფასებს სასამართლოს ნაბიჯს მკაცრად განიხილოს ქურთების გენოციდის საკითხი: **"ქურთი ხალხი ძალიან გახარებულია, ისინი ყოველთვის აკრიტიკებდნენ აღმასრულებელ და სახელმწიფო ხელისუფლებას თურქების საკითხის უკანა პლანზე გადაწევის გამო. ისინი ჰუსეინისა და მისი თანამოაზრეების დასჯას მოითხოვენ".**

*24 საათი*

# გელა ბეჟუაშვილი: რუსეთი სამართლიანი ბროკერი არ არის

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გელა ბეჟუაშვილი გაზეთ "კომერსანტისთვის" მიცემულ ინტერვიუში საქართველოსა და უკრაინის სტრატეგიულ ურთიერთობებსა და საქართველოს მიმართ რუსეთის მიერ განხორციელებულ პოლიტიკაზე საუბრობს.

**"უკრაინა ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია, ქვეყანა, რომელთანაც პოლიტიკისა და პოლიტიკური კონიუქტურის მიუხედავად ურთიერთობა იქნება ისეთი, როგორიც საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა,"** - აღნიშნა ბეჟუაშვილმა.

ბეჟუაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ უკრაინის სამშვიდობოების მონაწილეობას აფაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში კონფლიქტების დარეგულირებაში წინააღმდეგობები გააჩნია.

**"რუსეთს გააჩნია საკუთარი გავლენა, როგორც გაერო-ში ასევე სხვა ორგანიზაციებში, მაგრამ ჩვენ ყველა ორგანიზაციაში დავაყენებთ ამ საკითხს, რათა ერთი-ერთზე არ დავრჩეთ რუს სამშვიდობოებთან. კონფლიქტების მოგვარებაში რუსეთი სამართლიანი ბროკერი არ არის"**, -განაცხადა ბეჟუაშვილმა.

მისივე თქმით, რუსეთი დაინტერესებული მხარეა და ბოლო დროს ამას არც მალავს. **"პოლიტიკურად ის დაინტერესებულია, რომ ასეთი საკითხები არ მოგვარდეს და შენარჩუნდეს სტატუს კვო,"** - აღნიშნა მინისტრმა.

ბეჟუაშვილმა განმარტა, რომ ასეთ ვითარებაში არ შეიძლება ორი ფუნქციის არევა - იყო მშვიდობისმყოფელი და დაინტერესებული მხარეც.

საგარეო უწყების ხელმძღვანელმა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ ბოლო წლების განმავლობაში რუსულ საზოგადოებას საქართველოს მიმართ ნეგატიური განწყობებით წამლავდნენ. დიდი გასაქანი მიეცა დეზინფორმაციას.

მინისტრმა სამწუხაროდ მიიჩნია, რომ ერთ-ერთი გამოკითხვის მიხედვით რუსეთის პერიფერიაში მცხოვრებ მოსახლეობას საქართველო, ლატვია და ესტონეთი მთავარ მტრად მიაჩნია, ხოლო საქართველოს შესახებ მათი წარმოდგენა იმით შემოიფარგლება, რომ მათ საქართველო 50- მილიონიანი მუსლიმებით დასახლებული ტერიტორია ჰგონიათ, რომლებიც რუსეთის მიმართ აგრესიულად არიან განწყობილნი. "აი, საზოგადოების მოწამვლის შედეგი", - განაცხადა ბეჟუაშვილმა.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ქართული მხარის მიერ დაშვებულ შეცდომად 2004 წელს სამხრეთ ოსეთში რუსული სცენარით პროვოცირებულ კონფლიქტში საქართველოს წამოკიდება მიიჩნია.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# სახელმწიფო დეპარტამენტის ანტირუსული განცხადებები

შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა კიდევ ერთხელ გააკრიტიკა რუსეთის ხელმძღვანელობა. ამჯერად, აშშ-ის კონგრესში სიტყვით გამოსვლისას კონდოლიზა რაისმა განაცხადა, რომ რუსეთი არის ქვეყანა, რომელსაც ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვის თვალსაზრისით უზარმაზარი პრობლემა აქვს.

რაისის თქმით, საზღვარგარეთ ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვა ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციისთვის უმაღლესი დონის პრიორიტეტია და ადმინისტრაცია, პრეზიდენტის ხელმძღვანელობით, უცხო ქვეყნების, პირველ რიგში, ჩინეთისა და რუსეთის ხელისუფალთა წინაშე ამ საკითხს რეგულარულად სვამს.

სახელმწიფო მდივანმა ამ სფეროში ჩინეთსა და რუსეთში მიღებული კანონებისა და დამცავი ზომების სათანადო გამოყენების აუცილებლობაზე მიუთითა. რაისის თქმით, ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მეკობრეობა და სხვა დარღვევები რეალურ საფრთხეს უქმნიან ამერიკის კონკურენტუნარიანობას.

"თუ ასე გაგრძელდება, ჩვენი კონკურენტუნარიანობის მნიშვნელოვან წილს დავკარგავთ," - აცხადებს კონდოლიზა რაისი.

საგულისხმოა, რომ ორი დღის წინ სახელმწიფო დეპარტამენტის საკონსულო სამსახურმა გაავრცელა განცხადება, სადაც შეერთებული შტატების მოქალაქეებს რუსეთში წასვლას არ ურჩევს. განცხადებაში ამერიკის საგარეო უწყება კვლავ აფრთხილებს რუსეთში მცხოვრებ და ამ ქვეყანაში მიმავალ აშშ-ს მოქალაქეებს, რომ რუსეთში "შენარჩუნებულია მშვიდობიანი მოქალაქეების წინააღმდეგ ტერაქტების განხორციელების მაღალი ალბათობა." (შეგახსენებთ, ანალოგიური შინაარსის საინფორმაციო ცნობა სახელმწიფო დეპარტამენტმა გასული წლის დეკემბერშიც გაავრცელა.)

ამჟამინდელ ცნობაში მაგალითად მოყვანილია რუსეთში უკანასკნელი წლების განმავლობაში განხორციელებული ტერორისტული აქტები და ადამიანების მძევლად აყვანის ფაქტები. "ასეთი სიტუაცია სავარაუდოდ გარკვეული პერიოდის მანძილზე შენარჩუნებული იქნება",- ნათქვამია ცნობაში.

*24 საათი*

# საფრანგეთში მღელვარება გრძელდება

პირველი გვერდიდან

ჯერჯერობით უცნობია მოხერხდა თუ არა ხელისუფლებასა და საპროტესტო აქციების მონაწილეთა შორის შეთანხმების მიღწევა.

გუშინ შეტაკება მოხდა აქციის მონაწილეებსა და სამართალდამცავ ორგანოებს შორის. დაკავებულია აქციის 380-მდე მონაწილე. პარიზში შექმნილი ვითარება კარგად გამოიყენეს წვრილმანმა ქურდებმა. დანაშაულთა რიცხვმა საკმაოდ იმატა.

პარიზის დაახლოებით 73 ქალაქი კვლავ სატრანსპორტო პრობლემების წინაშე დგას. შეფერხებით მუშაობს მეტრო, ავტობუსები და მატარებლები. ხშირია ავიარეისების გადადება მთელი ქვეყნის მასშტაბით. დარღვეულია ყველა სახის ტრანსპორტის მუშაობა. სამუშაოდ არ გასულან მასწავლებლებიც. ზოგიერთ ქალაქში მოსწავლეებმა და სტუდენტებმა ბარიკადები აღმართეს სკოლებსა და უნივერსიტეტებში.

სტუდენტთა სოლიდარობის ნიშნად ათასობით ადამიანი არ ცხადდება სამსახურში. ისინი მთავრობის მიერ მიღებული შრომის კანონის გაუქმებას ითხოვენ. აღნიშნული კანონით ("ხელშეკრულება დამწყები მუშაკებისათვის", CPE) დაშვებულია ახალგაზრდა სპეციალისტების სამსახურიდან გათავისუფლება პირველი ორი წლის განმავლობაში ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე. სტუდენტები ახალ კანონს სკანდალურს უწოდებენ.

პრემიერ-მინისტრი დომინიკ დე ვილპენი მიიჩნევს, რომ კანონი უმუშევართა რიცხვს 23 პროცენტით შეამცირებს, თუმცა სტუდენტები ამას უარყოფითად აფასებენ და მიიჩნევენ, რომ ახალი კანონი "გათავისუფლებული მუშების" თაობას შექმნის. კრიტიკოსების აზრით, ახალი კანონი უმუშევრობის უფრო დიდ საფრთხეს ქმნის, რადგანაც დასაქმების გარანტიას ამცირებს.

საფრანგეთის 52 წლის პრემიერ-მინისტრი დომინიკ დე ვილპენი, ყოფილი საგარეო საქმეთა და შინაგან მინისტრი, მომავალში კი პრეზიდენტობის რეალური კანდიდატი აცხადებს, რომ თანახმაა გარკვეული ცვლილებები შეიტანოს შრომის კანონმდებლობაში, თუმცა კანონის სრული გაუქმება, რასაც სტუდენტები და აქციის სხვა მონაწილეები მოითხოვენ გამორიცხულია.

ექსპერტთა აზრით, საფრანგეთში შექმნილი მწვავე ვითარება სწრაფად უნდა იქნეს გადაჭრილი, რადგან ეს გამოიწვევს დიდ ეკონომიკურ ჩავარდნას.

# წინ ინტეგრაციისკენ

## მოსკოვი-ასტანა-მინსკი - ერთიანი ეკონომიკური სივრცე სამართლებრივ ფორმებს იძენს

დასრულდა ყაზახეთის პრეზიდენტის ნურსულთან ნაზარბაევის სამდღიანი ვიზიტი რუსეთში. გუშინ ნაზარბაევი რუსი პარლამენტარების წინაშე წარდგა და რუსეთისადმი მადლიერება გამოხატა "სტრატეგიული პარტნიორობისათვის".

ყაზახეთის ლიდერის თქმით, ყაზახეთი და რუსეთი პოსტ-საბჭოთა სივრცეში ყველა საინტეგრაციო პროცესის ლოკომოტივად რჩებიან. **"ორივე ქვეყანა ვიზიარებთ შეფასებას, რომ მხოლოდ ერთად შევძლებთ გამკლავებას ჩვენი დროის გამოწვევებთან: გლობალიზაციასთან, ტერორიზმთან, ექსტრემიზმთან, ნარკობიზნესთან,"** - ამბობს ვიზიტის დასასრულს ნურსულთან ნაზარბაევი.

სახელმწიფო სათათბიროში გამოსვლისას ყაზახეთის ლიდერმა ისიც აღნიშნა, რომ რუსეთი, ყაზახეთი და ბელორუსია ვერ დაელოდებიან, როდის გადაწყვეტს უკრაინა ერთიან ეკონომიკურ სივრცესთან მიერთებას. იმ დროს, როცა მოსკოვი, მინსკი და ასტანა მზადყოფნას გამოხატავენ ერთიანი ეკონომიკური სივრცის შესახებ 38 შეთანხმებას მოაწერონ ხელი, ყაზახეთის პრეზიდენტი სინანულით აღნიშნავს, რომ უკრაინული მხოლოდ 11 შეთანხმების ხელმოწერაზე თანხმდება.

**"ასეთ შემთხვევაში გაერთიანება ვერ იმუშავებს,** - თქვა ნაზარბაევმა და დასძინა, - **უკრაინას ვერ დაველოდებით, თუმცა იმედი გვაქვს, რომ ის ერთიან ეკონომიკურ სივრცეში მაინც მიიღებს მონაწილეობას".**

ნაზარბაევის თქმით, ერთიანმა ეკონომიკურმა სივრცემ "უფრო მაღალი ინტეგრაციის ახალ დონეზე გადასვლა" უნდა უზრუნველყოს. **"საუბარია საქონლის, კაპიტალისა და სამუშაო ძალის თავისუფალ გადაადგილებამდე და რუსეთს აქ მთავარი როლი ეკუთვნის,"** - აღნიშნა ყაზახეთის პრეზიდენტმა.

*24 საათი*

# რაულ ხაჯიმბა: აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში არასოდეს დაბრუნდება

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ურჩევს, შეეგუოს იმ აზრს, რომ აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში არასოდეს დაბრუნდება.

**"აფხაზეთი კარგა ხანია არ არის საქართველოს შემადგენლობაში და არც არასოდეს დაბრუნდება. მიხეილ სააკაშვილს ბოლოს და ბოლოს მოუწევს ამ აზრთან შეგუება",** - განაცხადა სეპარატისტული ხელისუფლების ვიცე-პრეზიდენტმა რაულ ხაჯიმბამ საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადების კომენტირებისას, რომლის თანახმადაც, "საქართველო არასოდეს შეეგუება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საქართველოსგან ჩამოშორებას".

ხაჯიმბა პრეზიდენტ სააკაშვილს არ ურჩევს იქონიოს ილუზიები აფხაზეთის ახალგაზრდობასთან დაკავშირებითაც, ვინაიდან მისი თქმით, აფხაზეთის ახალგაზრდობას არ სურს საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში ცხოვრება.

**"აფხაზმა ხალხმა თავისი არჩევანი გააკეთა. იგი დამოუკიდებელ სახელმწიფოს აშენებს,"** - დასძენს ხაჯიმბა.

*ინტერპრესნიუსი*

## რუსეთის მოსახლეობის ნახევარი პოსტსაბჭოთა სივრცეში აქტიური ჩარევის მომხრეა

რუსეთის მოქალაქეთა თითქმის ნახევარი მომხრეა, რუსეთმა მონაწილეობა მიიღოს ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების მოგვარებაში. რუსეთის მოქალაქეთა 40 პროცენტი თვლის, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არსებულმა თვითგამოცხადებულმა რესპუბლიკებმა უნდა მიიღონ სრული და ფორმალური დამოუკიდებლობა. ასეთი მონაცემები იქნა მიღებული 2006 წლის 18-19 მარტს, საზოგადოებრივი აზრის შესწავლის რუსეთის ცენტრის მიერ.

გამოკითხულთა 26 პროცენტი მიიჩნევს, რომ რუსეთმა ხელი უნდა შეუწყოს სამხრეთ ოსეთის, მთიანი ყარაბაღისა და დნესტრისპირეთის რესპუბლიკებს დაბრუნდნენ იმ სახელმწიფოს შემადგენლობაში, რომლებსაც ისინი გამოეყვნენ. 34 პროცენტს უჭირს პასუხის გაცემა, 46 პროცენტი თვითაღიარებული რესპუბლიკების საერთაშორისო აღიარების სასარგებლოდ აზრს უმაღლესი და დაუსრულებელი უმაღლესი განათლების მოქალაქეები გამოთქვამენ.

კითხვაზე, თუ როგორ უნდა იმოქმედოს რუსეთმა დსთ-ს ტერიტორიაზე სამხედრო კონფლიქტების შემთხვევაში, რესპონდენტთა 47 პროცენტმა უპასუხა, რომ რუსეთმა ამ კონფლიქტების მოგვარებაში თავისი ძალებით აქტიური როლი უნდა ითამაშოს. 36 პროცენტი პირიქით მიიჩნევს, რომ კონფლიქტებთან დაკავშირებით მიზანშეწონილია რუსეთმა ეს როლი გაეროსა და ეუთოს, ან დსთ-ს გარეთ არსებულ გაერთიანებებს - ევროკავშირსა და ნატოს მიანდოს.

აღსანიშნავია, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე კონფლიქტებთან დაკავშირებით, რუსეთის აქტიური პოზიციის გამოხატვის მომხრეა 54 პროცენტი, 34 პროცენტი - წინააღმდეგია. ქალთა აზრი თითქმის თანაბრად - 42 პროცენტი, 39 პროცენტის წინააღმდეგ გაიყო.

საზოგადოებრივი აზრის შესწავლის რუსეთის ცენტრმა 18-19 მარტს, 1600 რესპოდენტი რუსეთის 153 დასახლებულ პუნქტში, 46 ოლქში, მხარესა და რესპუბლიკაში გამოკითხა. სტატისტიკური ცდომილება 3,4 პროცენტს შეადგენს. **ინტერპრესნიუსი**

## ლუკაშენკოს "მტრები" და "დამცველები"

ავსტრიამ, რომელიც ევროკავშირის ამჟამინდელი მორიგე თავმჯდომარეა, დაადასტურა, რომ ბელარუსის პრეზიდენტი ალექსანდრ ლუკაშენკო სათავეში მოექცევა იმ ბელარუსი ოფიციალური პირების სიას, რომელთაც არ მისცემენ ევროკავშირის ვიზებს. ამ შინაარსის განცხადება სტრასბურგში ევროპარლამენტის პლენარულ სხდომასთან დაკავშირებით მყოფმა ავსტრიის კანცლერმა ვოლფგანგ შიუსელმა გააკეთა.

**"ევროპული საბჭოს ბოლო სხდომაზე ლუკაშენკო შევიყვანეთ იმ პირთა სიაში, რომლებზეც არ გაიცემა ევროკავშირის ვიზები. მზად ვართ, მივიღოთ სანქციები იმ პირთა წინააღმდეგ, ვისაც მშვიდობიანი დემონსტრანტების რეპრესირების პასუხისმგებლობა ეკისრება. ამ საკითხზე მსჯელობა, რასაკვირველია, კიდევ გაგრძელდება,"** - ამბობს შიუსელი.

ბელარუსის საკითხზე მსჯელობა, როგორც ავსტრიის კანცლერმა დასძინა, გაგრძელდება ორშაბათს, ლუქსემბურგში ევროკავშირის საგარეო უწყებების ხელმძღვანელთა მოლაპარაკებაზე. როგორც რადიო თავისუფლებას ბრიუსელში მყოფმა ევროკავშირის ერთ-ერთმა დიპლომატმა განუცხადა, ზემოხსენებულ სიაში ათობით ბელარუს ოფიციალურ პირს შეიყვანენ. დაგეგმილია ამ პირთა საბანკო ანგარიშების გაყინვაც.

ორშაბათს ავსტრიის კაცნლერმა ვენაში მიიღო ბელარუსის ოპოზიციის ლიდერი, ალექსანდრ მილინკევიჩი. მილინკევიჩი დღეს უკვე სტრასბურგში იმყოფება.

**ევროკავშირის მკაცრ განცხადებას უმალვე გამოეხმაურა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი.** რუსი მინისტრი ევროკავშირს აკრიტიკებს იმის გამო, რომ ის (ლავროვის შეფასებით) ორმაგი სტანდარტებით მოქმედებს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან მიმართებაში.

ლავროვმა სლოვაკიაში ვიზიტისას ბელარუსზე, უკრაინასა და მოლდავეთზე საუბრისას აღნიშნა, რომ ბელარუსში საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ევროკავშირი უნდა ეცადოს მინსკთან დიალოგის წარმოებას, მისი იზოლირების ნაცვლად.

*24 საათი*

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

# გაზაფხული ომის დროა?

პირველი გვერდიდან



რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოში იგეგმება სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის მიმართვას განხილვა, რასაც კავკასიაში, შესაძლოა, მოვლენების დესტაბილიზაციის ჯაჭვის წარმოქმნა მოჰყვეს. კოკოითი, რომელიც მთლიანად კრემლზეა დამოკიდებული, ასეთ რადიკალურ ნაბიჯს არ გადადგამდა, მოსკოვის ყველაზე მაღალ წრეებში რომ არ წაეხალისებინათ.

თუ მოვლენები კონტროლიდან გამოვა, ამან შეიძლება რუსეთ-საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტი გამოიწვიოს, მისგან გამომდინარე გაუთვალისწინებელი შედეგებითურთ რეგიონისა და მთელი მსოფლიოსთვის.

მოსკოვსა და ვაშინგტონში ჩემი ამასწინანდელი შეხვედრები ადასტურებენ, - რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები იმ დონემდე გაუარესდა, რომ რუსეთის ზოგიერთი ოფიციალური პირი სერიოზულად ეძებს საბაბს სამხედრო ოპერაციის დასაწყებად, რათა საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დაამხოს.

ორმა მოსკოველმა ინსაიდერმა, - გამოცდილმა მრჩეველმა საგარეო პოლიტიკურ საკითხებში, რომელიც ხშირად არაოფიციალურად ახმოვანებს კრემლის თვალსაზრისს და სახელმწიფო სათათბიროს თვალსაჩინო წევრმა, რომელიც საერთაშორისო საკითხების სპეციალისტია, - განაცხადა, რომ კრემლის პოლიტიკური სტრატეგის გლებ პავლოვსკის მიერ სააკაშვილის შესაძლო მკვლელობასთან დაკავშირებით თებერვალში გაკეთებული განცხადება უფრო მეტია, ვიდრე უბრალო ბაქიაობა. ეს გაფრთხილებაა.

**"გაზაფხული მოდის - საქართველოსთან ომის დაწყების დროა",** - განაცხადა საგარეო პოლიტიკურმა მრჩეველმა. კონკრეტულად, მან ოსეთი (და არა სეპარატისტული აფხაზეთი) მოიხსენია, როგორც მომავალი "ცხელი წერტილი".

ქართველები მუდმივად ალიზიანებენ რუსეთს იმით, რომ მოახერხეს შეთანხმების დადება რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანაზე, აგრეთვე ნატო-სკენ თავისი სწრაფვით. საქართველოს პარლამენტი, როგორც ჩანს, მხარს დაუჭერს ცხინვალის რეგიონიდან და აფხაზეთიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანას. მიხეილ სააკაშვილმა გაერო-ს გენერალურ მდივანს კოფი ანანს გაუგზავნა წერილი თხოვნით, რომ მოხდეს აფხაზეთისა და ოსეთის სამშვიდობო ოპერაციების "ინტერნაციონალიზაცია".

ოსები ქრისტიანები არიან, ამბობენ რუსები, მათ აქვთ რუსეთის მოქალაქეობა და სურთ, შეუერთდნენ თავის ჩრდილოელ ძმებს, რომლებიც რუსეთის ფედერაციაში ცხოვრობენ. **"სააკაშვილი კონტროლიდან გამოვიდა და დამორჩილებას საჭიროებს,** - აღნიშნა საგარეო საკითხების სპეციალისტმა, - **თუ ქართველები გაისუსებიან და ნორმალურად მოიქცევიან, შესაძლოა, ნატო-ში შესვლის ნება მივცეთ, მაგრამ თუ ხმაურს გააგრძელებენ, მაშინ ზომებს მივიღებთ".**

თუმცა, მოსკოვში მომუშავე სხვა ანალიტიკოსებმა აღნიშნეს, რომ ასეთი რიტორიკა ძალიან ჰგავს საქართველოს წინა პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ მიმართულ გამოხტომებს. **"რუსეთმა უნდა გაიგოს, რომ მას საქართველოსთან აქვს პრობლემა და არა სააკაშვილთან ან შევარდნაძესთან,"** - განაცხადა ცნობილი საგარეო პოლიტიკური ჟურნალის რედაქტორმა.

თუ რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც სულაც არ სარგებლობს აღმასრულებელი ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი სტრუქტურის რეპუტაციით, კოკოითის მიმართვას მიიღებს და ამას მოჰყვება რეფერენდუმი საქართველოდან გამოყოფისა და რუსეთთან შეერთების შესახებ, შესაძლოა, საქართველომ მიიღოს სამხედრო ზომები დაშლის თავიდან ასაცილებლად. ასეთი ნაბიჯები კი, როგორც მოსკოვი იმედოვნებს, ოსების მასობრივ რეაქციას გამოიწვევს, რომელსაც მხარს დაუჭერენ "მოხალისეები" ჩრდილოეთ კავკასიიდან და სხვა რეგიონებიდან.

ჩრდილოელ და სამხრეთელ ოსებთან ერთად, ორმა რუსულმა წყარომ მოიხსენია აგრეთვე რამზან კადიროვის ჩეჩნები. **"ჩვენ შევაიარაღეთ რამზანი, რომლის განკარგულებაში ამჟამად ხუთიდან შვიდი ათასამდე შეიარაღებული პირია,** - აღნიშნა რუსმა სპეციალისტმა, - **ის აღსავსეა საქართველოსთან ბრძოლის სურვილით და მზად არის, თბილისამდე ჩავიდეს. კადიროვი გრძნობს მდიდრული ნადავლის სურნელს, მოსკოვს კი ძალიან აშფოთებს ფაქტობრივად დამოუკიდებლობისკენ მიმართული მისი პოლიტიკა".**

საქართველოს ოფიციალური პირები, რომლებიც ვაშინგტონს უწყებათაშორის შეხვედრებში მონაწილეობის მისაღებად (მიზანი - ნატო-ს წევრობაზე განაცხადის საკითხებზე კოორდინაცია) ეწვივნენ, საუბრობდნენ რუსეთის გაწბილებაზე იმით, რომ მიმდინარე წლის შემოდგომისთვის საქართველო ნატო-ს წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მიღებას ცდილობს, აგრეთვე იმაზე, რომ მოსკოვი თბილისის წინააღმდეგ, "პროვოკაციას" გეგმავს.

**"ნატო-ში საქართველოს შესვლის საკითხზე რუსეთმა უარყოფით კონტექსტში მოახდინა ფოკუსირება, რაც მას კიდევ უფრო აგრესიულს ხდის,"** - აცხადებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიორგი მანჯგალაძე, რომელიც ნატო-ში თავისი ქვეყნის შესვლის საკითხს კურირებს.

თუმცა, საქართველოს არ სურს, რომ სამხედრო კონფლიქტში ჩათრეული აღმოჩნდეს. **"თუ სამხრეთ ოსეთში რეფერენდუმი ჩატარდება ან რაიმე სხვა სახის პროვოკაცია მოეწყობა, ჩვენ ამას დიპლომატიური გზებით აღვუდგებით წინ, მაგრამ სამხედრო ზომებს არ მივიღებთ,"** - აზუსტებს საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ნიკა რურუა.

ვაშინგტონში მყოფი დელეგაციის ყველა წევრი, თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილის მამუკა კუდავას ჩათვლით, შეთანხმდა იმაზე, რომ მათი ქვეყანა რუსული "შავი პიარის კამპანიის" ობიექტს წარმოადგენს. ამასთან, საქართველოს დელეგაციამ გაითვალისწინა ვაშინგტონში ესტონეთის წარმომადგენლის იური ლიუიკის რჩევა, რომ ყველაფერს რუსეთის მუქარების იგნორირება სჯობია, როგორც ეს გასული საუკუნის 90-იან წლებში ბალტიისპირეთის ქვეყნებმა გააკეთეს.

მაგრამ, ამავე დროს, ნატო-ში ბალტიისპირეთის ქვეყნების შესვლასა და საქართველოს შემთხვევას შორის ფუნდამენტური განსხვავება არსებობს.

ჯერ ერთი, იმ დროს რუსეთი 1998 წლის ეკონომიკური კრიზისის ნანგრევებიდან გამოსვლას ცდილობდა, პოსტელცინურ გარდამავალ პერიოდში იმყოფებოდა და შესაბამისად, მნიშვნელოვანწილად სუსტი იყო. იმ ხანად მოსკოვი ჯერ კიდევ არ ალიზიანებდა ამერიკას თავისი საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტებით, მიუხედავად იმისა, რომ მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის ევგენი პრიმაკოვის მხრიდან ასეთ მცდელობებს ნამდვილად ჰქონდა ადგილი.

მეორეც, კრემლს არ ჰქონდა 200 მილიარდ დოლარიანი რეზერვი, რომელიც დღეს არ იცის, სად წაიღოს. ახლაც, ისევე როგორც ყოველთვის, მთავრობა და ჩინოვნიკები რაღაცას იმიტომ კი არ აკეთებენ, რომ ასეა საჭირო, არამედ იმიტომ, ამის გაკეთება შეუძლიათ.

მესამეც, იმ პერიოდში რუსეთი ჯერ კიდევ არ იყო დაწყნარებული ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მაგისტრალური ნავთობსადენის მშენებლობის გამო, "გაზპრომი" კი, - ბაქო-ერზრუმის გაზსადენის მშენებლობის პერსპექტივის გამო, რომელიც თურქმენეთსა და ყაზახეთს მომავალში საშუალებას მისცემთ, "გაზპრომის" მილსადენთა ქსელის გვერდის ავლით, თავისი ბუნებრივი აირის ექსპორტი მოახდინონ უკრაინასა და ევროპაში.

1999 წელს ევროპა ვერ გრძნობდა თავის ძლიერ დამოკიდებულებას რუსეთის ენერგომატარებლებზე. დღეს ეს უკვე იგრძნობა. თუმცა, **"ევროპელებს აშფოთებთ რუსეთის მიერ ენერგიის, როგორც პოლიტიკური იარაღის, გამოყენება,"** - აცხადებს ჰოპკინსის უნივერსიტეტის ფუნდამენტური საერთაშორისო კვლევების ფაკულტეტის ანალიტიკური ვებ-საიტის რედაქტორი სვანტ კორნელი. **"უკრაინის შემდეგ ამ იარაღს შესაძლოა, უკუეფექტი მოჰყვეს,"** - დასძენს იგი.

დაბოლოს, ბალტიისპირელ კანდიდატებს ჰქონდათ ძლიერი და ხმამაღალი მხარდაჭერა პოლონეთისგან, უნგრეთისგან და ცენტრალური ევროპის სხვა ქვეყნებისგან, აგრეთვე ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ ქვეყნების გავლენიანი დიასპორიგან, თანაც - კრიტიკულად მნიშვნელოვანი 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ.

დღეს რუსეთი აღსავსეა მონდომებით, ხელი შეუშალოს ნატოში საქართველოსა და უკრაინის შესვლას. რუსი სამხედროები ხვდებიან, რომ ილახება მათი მუნდირის ღირსება, როდესაც თანმიმდევრულად აძევებენ ჯერ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სამხედრო ბაზებიდან, შემდეგ ოსეთიდან და აფხაზეთიდან, და ბოლოს, - შავი ზღვის სანაპიროს აგარაკებიდან და სანატორიუმებიდან. ისინი, შესაძლოა, იმედოვნებენ კიდეც, რომ წინ წაიწევენ სამსახურში, მიიღებენ ჯილდოებს და გაეზრდებათ ბიუჯეტი, თუ მორიგი კავკასიური ომი დაიწყება.

გაზაფხული კავკასიას მზიან პოლიტიკურ ამინდს არ ჰპირდება. საქართველოს დასჭირდება მთელი თავისი პოლიტიკური სიბრძნის გამოყენება და ვაშინგტონელი და სხვა მეგობრების მხარდაჭერა იმ მომენტში, როდესაც მოუწევს მოლაპარაკებების გამართვა ოსეთის კრიზისის დარეგულირებაზე და საერთოდ, დანაღმული კავკასიის პოლიტიკური ველის განაღმვაზე.

# ცნობები ბირთვული ბალანსის შესახებ

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა აშშ-ს და რუსეთს შორის სტრატეგიული ბირთვული შეიარაღების ბალანსის შესახებ ცნობა გამოაქვეყნა. 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რუსეთი 4399 ბირთვულ ქობინს ფლობდა, აშშ - 5966-ს. თუმცა რუსეთს უპირატესობა ჰქონდა წონის მაჩვენებლით - 2547,7 მეტრული ტონა 1797,9 მეტრული ტონის წინააღმდეგ, იუწყება "ვაშინგტონ პროფაილი".

აშშ სახმელეთო ბაზირების ბალისტიკური რაკეტების "მინიტმენ-3"-ის (სულ 1,2 ათასი რაკეტა) 500 გასაშვებ დანადგარს და "ფისკიფერის" ტიპის რაკეტების (სულ 500 რაკეტა) 50 გასაშვებ დანადგარს ფლობს. წყალქვეშა რაკეტმზიდებს "ტრაიდენტ-1" და "ტრაიდენტ-2" რაკეტებისთვის (სულ 3168 საბრძოლო ქობინი) 432 გასაშვები შახტი აქვთ. აშშ-ში განლაგებულია 343 სტრატეგიული ბომბდამშენი (81 თვითმფრინავი B-1, 20-B-2 და 142-B-52), რომლებიც 1098 საბრძოლო ქობინით არიან აღჭურვილი.

რუსეთი სახმელეთო ბაზირების ბალისტიკური რაკეტების (CC-18, CC-19, CC-25, PC-12M), 663 გასაშვებ დანადგარს ფლობს. ეს რაკეტები 2183 საბრძოლო ქობინით არიან აღჭურვილი. რუსეთის წყალქვეშა ნავებს 292 გასაშვები შახტი და 1592 საბრძოლო ქობინი აქვს. გარდა ამისა რუსეთის შეიარაღებაშია 78 სტრატეგიული ბომბდამშენი (14 თვითმფრინავი Ту-160 და 64 - Ту-95), რომლებსაც 624 საბრძოლო ქობინის წაღება შეუძლიათ.

რუსეთის სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარების მთავარი შტაბის ყოფილი უფროსის, გენერალ-პოლკოვნიკ ვიქტორ ესინის განცხადებით, აშშ-ის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემას 2020 წლამდე პერიოდში არ ექნება უნარი შეასუსტოს რუსეთის სტრატეგიული ბირთვული ძალების ეფექტურობა. რუსული საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების უმრავლესობა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის დაძლევის საშუალებათა ძლიერი კომპლექტითაა აღჭურვილი.

**"გარდა ამისა, "ტოპოლ-ემის" და "ბულვას" ახალი სარაკეტო კომპლექსების შექმნის ისეთი ტექნიკური გადაწყვეტება გათვალისწინებული, რომლებიც ამერიკელების მიერ შემუშავებული რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის საერთოდ გაუფასურების საშუალებას იძლევა",** - თქვა ესინმა.

მიუხედავად ამისა, გენერალმა აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა სხვა სახეს მიიღებს და რუსეთის საზღვრების მახლობლად განთავსდება, მას ექნება უნარი რუსეთის ბირთვული შეკავების საშუალებათა ეფექტურობაზე არსებითი გავლენა მოახდინოს. ამ სიტუაციაში, რუსეთს დამატებითი ზომების მიღება მოუწევს, რათა არ დაუშვას საკუთარი რაკეტულ-ბირთვული პოტენციალის დევალვირება - თქვა ესინმა და დასძინა, რომ "რუსეთის თავდაცვით - სამრეწველო კომპლექსს შესაბამისი მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი გააჩნია".

მარტის ბოლოს, ამერიკელმა ანალიტიკოსებმა ჟურნალ "ფორინ ეფეარს"-ში გამოქვეყნებულ სტატიაში განაცხადეს, რომ ამერიკამ ის ბირთვული მონოპოლია დაიბრუნა, რომელსაც ის 40-იან წლებში ფლობდა. ახლა, თუ ვაშინგტონი ბირთვულ დარტყმას პირველი განახორციელებს, რუსეთს პასუხის შანსი არ ექნება. რუსმა სამხედრო ექსპერტებმა სტატიაში მოცემულ თეზისებს პროვოკაციული და გაზვიადებული უწოდეს.

*ინტერპრესნიუსი*

# კონტრაბანდული თვითმფრინავი უკრაინულ კონტეინერში

სიანგანის (ჰონკონგი) საბაჟო სამსახურმა უკრაინიდან ტრანზიტით მიმავალი კონტეინერი დააკავეს, რომელშიც საბრძოლო თვითმფრინავი მიგ-29 აღმოაჩინეს. ტვირთი აშშ-ში უნდა გადაეტანათ.

კონტეინერი ჯერ კიდევ 2 აპრილს იქნა დაკავებული, რადგან სამხედრო თვითმფრინავის ტრანზიტით გაყვანის უფლება არ არსებობდა, ასევე არ იყო მითითებული ტვირთის აშშ-ში ჩატანის მიზნები.

როგორც სიანგანის საბაჟოს ხელმძღვანელობა იუწყება თვითმფრინავი საბრძოლო მდგომარეობაში არ არის და მას მოტორიც კი მოხსნილი აქვს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# "რესპუბლიკელებმა" პოლიტიკაში ქალთა გააქტიურებაზე ზრუნვა დაიწყეს

საქართველოს "რესპუბლიკური პარტია" პოლიტიკით ქალთა უფრო აქტიურად დაინტერესების საკითხებზე იწყებს მუშაობას. პარტიამ მანდილოსნების პოლიტიკაში უფრო მეტად გააქტიურების, მათი უფლებებისა და ინტერესების დაცვის სტრატეგია შეიმუშავა, რომლის პრეზენტაციაც დღეს გაიმართა. პარტიის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა პრეზენტაციაზე აღნიშნა, რომ მათი პარტიის 71 პროცენტი მამაკაცები არიან, 29 პროცენტი კი - ქალბატონები. პარტიის ხელმძღვანელობაში მხოლოდ ერთი ქალია წარმოდგენილი; ამავე დროს, პარტიას არ ჰყავს დეპუტატი ქალი ქვეყნის პარლამენტში. მათი ერთი წარმომადგენელია აჭარის უმაღლეს საბჭოში და ერთი - თბილისის საკრებულოში. "იმისათვის, რომ გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით რაიმე შეიცვალოს, ეს თემა პრიორიტეტული უნდა გახდეს," - განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

*მედიანიუსი*


# ვ ა კ ა ნ ს ი ა

Pharmacological company “Abbott laboratories” is one of the leading in the world and actively developing in CIS. We are opening a vacancy of **Sales and Marketing Manager** in Caucasus.

*Main responsibilities*: to support and develop sales and promotional activities of “Abbott Laboratories” in Georgia, Azerbaijan and Armenia.

*Requirements*: fluent English; experience in the position of product manager or sales manager or sales force manager or business unit manager in pharmaceutical company; ability to plan own activities; high level of self-discipline and self-organization; *very desirable*: experience in rep cycle organization, experience in institutional and hospital business.

We offer a very interesting and dynamic work, stable and competitive reward, training and the career growth.

CV is to be sent within two weeks after publication of this announcement by e-mail: yuriy.snezhko@abbott.com

ფარმაკოლოგიური კომპანია “Abbott laboratories” წარმოადგენს ერთ-ერთ ლიდერ კომპანიას მსოფლიოში და იგი აქტიურად ვითარდება დსთ-ში. ვაცხადებთ კავკასიის რეგიონში **გაყიდვების და მარკეტინგის მენეჯერის** ვაკანსიას.

*ძირითადი მოვალეობები:* საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში “Abbott laboratories” გაყიდვების და პრომოციის მხარდაჭერა და განვითარება.

*მოთხოვნები:* ინგლისურის თავისუფლად ფლობა; მუშაობის გამოცდილება ფარმაცევტულ კომპანიაში პროდუქციის მენეჯერის, გაყიდვების მენეჯერის, გაყიდვების გუნდის მენეჯერის ან ბიზნესის ერთეულის მენეჯერის თანამდებობაზე; საკუთარი საქმიანობის დაგეგმვის უნარი; თვითდისციპლინის და თვითორგანიზების მაღალი დონე; *ძალზე სასურველია:* წარმომადგენლის ციკლის ორგანიზების გამოცდილება; ინსტიტუციონალურ ან საავადმყოფო ბიზნესში მუშაობის გამოცდილება.

ჩვენ გთავაზობთ ძალზე საინტერესო და დინამიურ სამუშაოს, სტაბილურ და კონკურენტუნარიან ანაზღაურებას, ტრენინგს და კარიერული ზრდის პირობებს.

ავტობიოგრაფია (CV) უნდა იქნას გაგზავნილი წინამდებარე განცხადების გამოქვეყნებიდან ორი კვირის ვადაში ელ-ფოსტით შემდეგ მისამართზე: yuriy.snezhko@abbott.com





## მოკლედ

### 59 ექიმის საქმიანობას შეისწავლიან

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ხარისხის მართვის ინსპექციამ სამედიცინო და ფარმაცევტული პერსონალისათვის სახელმწიფო სერტიფიკატის მიმნიჭებელ საბჭოს 59 ექიმის საქმიანობის შესწავლის მოთხოვნით მიმართა.

რამდენიმე დღის წინ საბჭომ ქუთაისის სისხლის ბანკის ექიმებისთვის ლიცენზიის ჩამორთმევისა და შეჩერების მოთხოვნით სასამართლოს მიმართა. როგორც "მედიანიუსს" საბჭოს მდივანმა თემურ პირველაშვილმა განუცხადა, ქუთაისის სისხლის ბანკში დარღვევით ხდებოდა დონორის სისხლის შემოწმება. "უახლოეს მომავალში სასამართლო განიხილავს ქუთაისის სისხლის ბანკის დირექტორისთვის მირიან კვირიკაძისთვის და კიდევ რამდენიმე ექიმისთვის ლიცენზიის შეჩერების საკითხს. ხოლო საბჭო ეტაპობრივად შეისწავლის ხარისხის კონტროლის ინსპექციის მიერ გადმოცემულ 50-ზე მეტი ექიმის საქმიანობას", - უთხრა " მედიანიუსს" თემურ პირველაშვილმა.

*მედიანიუსი*

### ათას უმწეოს უფასო კატარაქტის ოპერაცია ჩაუტარდება

ფარმაცევტული კომპანია "ავერსის დაფინასებით, ჯავრიშვილის კლინიკა "ოფთალმიჯი" დასავალეთ საქართველოს 3 რეგიონში მცხოვრებ ათას უმწეოს თვალის კატარაქტის ოპერაციას უფასოდ ჩაუტარებს. ამის შესახებ, დღეს ფარმაცევტულ კომპანიაში გამართულ პრესკონფერენციაზე ჯანდაცვის მინისტრმა ლადო ჭიპაშვილმა განაცხადა.

კლინიკა "ოფთალმიჯის" ხელმძღვანელის გია ჯავრიშვილის განცხადებით პირველი ოპერაციები იმერეთში ჩატარდება. იქ ორი თვის განმავლობაში გაგრძელდება ოპერაციები კატარაქტაზე. შემდეგ კი ოპერაციები სამეგრელოში და აჭარაში მცხოვრებ უმწეოებს ჩაუტარდებათ.

ოპერაციების ჩატარების მსურველმა პირებმა "ავერსი-ფარმას" ნებისმიერ ფილიალში უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები: განცხადება დახმარების თხოვნაზე "ავერსი-ფარმას" გენერალური დირექტორის პაატა კურტანიძის სახელზე, პირადობის მოწმობის ასლი, ადგილობრივი ოფთალმოლოგის მიერ გაცემული ფორმა 027, ცნობა რაიონის გამგეობიდან უმწეობის შესახებ, პაციენტის და ოფთალმოლოგის საკონტაქტო ტელეფონი. **ინტერპრესნიუსი**

# ვინ მიიღებს სოციალურ დახმარებას

პირველი გვერდიდან

კატეგორია, რომელსაც ყველაზე მეტად უჭირს და არც სახლი აქვს, დახმარების მიღმა რჩება, რადგან მათი აღრიცხვა ვერ ხერხდება.

სტატისტიკური მონაცემებით მოსახლეობის 15 პროცენტს შეძლებული ფენა წარმოადგენს, 35 პროცენტი - მოწყვლადი ანუ არაღარიბი მოსახლეობაა, 50 პროცენტი - ღარიბი, მათ შორის 10 პროცენტს სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობა შეადგენს.

გოძიაშვილის პირველ შესახვევში მცხოვრები, 90 წელს მიტანებული მარტოხელა ქალბატონი ნატო ქოხში ცხოვრობს. საცხოვრებელი ძალზე მცირე ფართი და ასევე ძალიან პატარა ეზო ქუჩა-ქუჩა ნაგროვები ბოთლებითაა სავსე. შეგროვებული ბოთლების ჩაბარების შემდეგ მიღებული კაპიკები ქალბატონი ნატოსთვის 28 ლარიანი პენსიისა და 22 ლარიანი სოციალური დახმარების გარდა დამატებითი შემოსავალია. მოხუცს ოთახში შეშის ღუმელი და რადიო აქვს. უსმენს რადიოს, ქსოვს წინდებს და იმედოვნებს, რომ სახელმწიფო ღატაკად ჩათვლის და დაეხმარება.

ქალბატონი ზეინაბი საპენსიო ასაკის არ არის, მაგრამ შრომისუუნაროა. სახლის დაწვის შემდეგ, ღია ცის ქვეშ დარჩენილმა მარტოხელამ ფიცრები შეკრა და ფიცრულს სახლი დაარქვა. ფიცრულში მხოლოდ ერთი რკინის საწოლი და სარკე აქვს. "მეზობლები თუ მაჭმევენ მშიერი არ ვარ," - ამბობს იგი.

კითხვარს, რომელიც ოჯახის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას განსაზღვრავს ოჯახი იმ შემთხვევაში ავსებს თუ თვლის, რომ სიღატაკის ზღვარს მიღმა ცხოვრობს. ცნობისთვის, კითხვარის შევსება გასული წლის 1 აგვისტოდან დაიწყო. თუ რამდენი იქნება "სარეიტინგო (გამსვლელი) ქულა" 15 აპრილის შემდეგ იქნება ცნობილი. კითხვარში ჩაწერილი მონაცემების სიზუსტეს სოციალური მუშაკები საცხოვრებელი ფართის ვიზუალური დათვალიერების შედეგად ადგენენ. რის შემდეგაც სპეციალური ფორმულების საშუალებით "ოჯახის კეთილდღეობის ინდექსი", ანუ სარეიტინგო ქულა დაითვლება. ამ ქულის მიხედვით მოხდება ოჯახების რანჟირება ერთიან საინფორმაციო ბაზაში. პარადოქსია, მაგრამ კითხვარს ისეთებიც ავსებენ, რომელთა შემოსავალი თვეში 1 ათასი ლარი და მეტია.

კითხვარი ტაშკენტის ქუჩაზე მცხოვრებმა სამსულიანმა ოჯახმაც შეავსო. მათ სახლში არც კარია და ფანჯარაც აქა იქ არის შემორჩენილი. მოხუცი დედა შრომისუუნაროა, ძმა ფსიქიურად დაავადებული. ოჯახში საარსებო საშუალების შემომტანი ერთადერთი დაა, რომელიც ხშირად ელემენტარული საკვების ყიდვასაც ვერ ახერხებს. ეს ოჯახი უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობს, მაგრამ, მათი სარეიტინგო ქულა დააკმაყოფილებს თუ არა სახელმწიფოს მიერ დაწესებულ "ფსონს", ძნელი სათქმელია.

ზემოჩამოთვლილი პიროვნებებიდან გვარის სააშკარაოზე გამოტანა არც ერთმა არ ისურვა. როგორც სოციალური მუშაკი ნანა ცინდელიანი ამბობს, უკიდურესი სიღარიბის მიუხედავად, ბევრ მათგანს უჭირს თავის ღატაკად აღიარება.

დღევანდელი მონაცემებით, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში 320 ათასამდე ოჯახის განაცხადია შესული. სააგენტოში ვარაუდობენ, რომ განაცხადებს ერთი ამდენი რაოდენობის მოსახლეობის მიერ შევსებული კითხვარი კიდევ დაემატება.

დახმარების გაცემა ივნისიდან დაიწყება. უკვე დადგენილია დახმარების ოდენობები: ერთსულიან ოჯახზე - 38 ლარი, ორსულიანზე - 55 ლარი, სამსულიანზე 70, ოთხსულიანზე - 85, ხუთსულიანი- 100, ექვსსულიანი -115, შვიდსულიანი - 125. ყოველ თითო სულზე 10 ლარი ემატება.

ღატაკი ფენის გამოვლენა, მოსახლეობის თვითშეფასების პრინციპით ხდება. ოჯახს, რომელიც სახელმწიფოს მოატყუებს და არასწორად შეავსებს განაცხადს, სახელმწიფო 3 წლის განმავლობაში არ დაეხმარება.

ოჯახის სოციალური მდგომარეობის შეფასებისას ყველა წვრილმანს ექცევა ყურადღება. სოციალური აგენტი აღრიცხავს ფართს, ავეჯის მდგომარეობას, საყოფაცხოვრებო ნივთებს. მნიშვნელობა აქვს იმასაც, ტელევიზორი საბჭოთაა თუ უცხოური წარმოების. ამ თითოეულ კომპონენტს გარკვეული ქულა აქვს, რომელთა შეკრების შემდეგაც სარეიტინგო ქულა დადგინდება.

მათ, ვინც განაცხადი 1 მარტამდე შეავსო და მთავრობის მიერ დადგენილ ზღვრულ ქულაზე ნაკლები სარეიტინგო ქულა ექნება, დახმარებას ივნისიდან მიიღებს. დახმარება ადრესატამდე განაცხადის შევსებიდან სამ თვეში მივა.

"ვინაიდან, ამ ეტაპზე მოსახლეობის მცირე ნაწილს აქვს კითხვარი შევსებული "გამსვლელი ქულა" დაბალი იქნება, რომელიც კითხვარების რაოდენობის ზრდასთან ერთად გაიზრდება. მათ, ვინც განაცხადი შეავსო, მაგრამ პირველ ეტაპზე გამსვლელი ქულა ვერ მიიღო, მაგრამ, მისი სარეიტინგო ქულა მეორე ეტაპზე გახდა გამსვლელი, იგი დახმარებას მიიღებს, პარალელურად კი ძველი თვეების დახმარებაც აუნაზღაურდება, რომლის ათვლაც ივნისის თვიდან დაიწყება," - ამბობს მორის წამალაშვილი. ცნობისთვის, რაც უფრო დაბალია "ოჯახის კეთილდღეობის ინდექსი", მით უფრო დიდია ალბათობა იმისა, რომ სახელმწიფო ოჯახს დაეხმარება.

"სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების იდენტიფიკაციის და მონაცემთა ბაზის ფორმირებაზე" ზემოთ ნათქვამის გარდა, ყველა იმ დახმარების ბედია დამოკიდებული, რომელსაც სახელმწიფო მოსახლეობას 1 ივნისამდე გაუწევს. რადგან, როგორც მთავრობა ამბობს, ყველა დახმარება, თუ შეღავათი ამ ბაზაში შესული მონაცემების საფუძველზე გაიცემა.

საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ საქართველოს მოსახლეობის გაჭირვებული ფენისთვის წლების განმავლობაში გადახდილი ელექტროენერგიის საფასურით დალხენილებიც სარგებლობდნენ. გაჭირვებულების შერჩევა იგივე მეთოდით ხდებოდა, მათ მიერ გაკეთებული განაცხადის სისწორეს სოციალური მუშაკები ამოწმებდნენ. რამდენად დაიცავს ამ პროგრამაში ბაზის სრულყოფისთვის ჩადებული მრავალი მექანიზმი ყველაზე ღატაკებს ჩვენში კარგად ნაცნობი "ქართული ვარიანტისგან" ამას დრო გვიჩვენებს.

# "თავისუფალი სიტყვა"

*ეს ახალი პროექტი ეთერში გადის ყოველ სამუშაო დღეს 13 საათზე. გადაცემას უძღვება ჟურნალისტი დავით კიკალიშვილი.*

**დავით კიკალიშვილი:** გადაცემის თემაა: მორალი და მორალისტები. აღნიშნულ თემაზე სასაუბროდ ჩვენ ორი ისტორია ავირჩიეთ: პირველი, პარასკევს საღამოს, გარდაბანში ძმამ მსუბუქი ყოფაქცევისთვის მოკლა და. მეორე თემაა "კურიერის" პირდაპირ ეთერში კობა დავითაშვილის მიერ გაკეთებული განცხადება, რომელმაც პრეზიდენტის პირად ცხოვრებაზე ისაუბრა... ბატონო ემილ, როგორ შეაფასებთ გარდაბანში მომხდარ ფაქტს?

**ემილ მაჰმუდოვი:** არ ვამართლებ მომხდარს, მაგრამ თავიდან ოჯახში ჯანსაღი ატმოსფერო რომ ყოფილიყო, ის გოგო ამ გზას არ დაადგებოდა. ალბათ, სხვადასხვა ფაქტორები არსებობს, ერთი კი ცხადია, რომ მუსლიმური შარიათის კანონები გოგონას მიერ ჩადენილ საქციელს კრძალავს.

**ნინო ჭუბაბრია:** ასეთი ფაქტი, რომ ძმას და მსუბუქი ყოფაქცევის გამო მოეკლა, ნამდვილად არ შემხვედრია, თუმცა ხშირია ფაქტები, როდესაც ძმა დას აუპატიურებს, მამა შვილს, ან მამინაცვალი და ა.შ.

**დ.კ.:** თქვენი აზრით, რა მოხდა საზოგადოებაში, ასეთი საზარელი ფაქტები რატომ ხდება?

**ნ.ჭ.:** სერიოზული ეკონომიკური სიდუხჭირეა და ამას ყველა ადამიანის ფსიქიკა ვერ უძლებს, რის გამოც იწყებენ სმას...

ეს ყველაფერი კი ოჯახურ კონფლიქტამდე მიდის, რომლის მსხვერპლი, საბოლოოდ, ბავშვები არიან.

**დ.კ.:** როდესაც გარდაცვლილი გოგონას მეზობლების შეფასებებს ვისმენდი, მომეჩვენა, რომ სადღაც წარსულში ცხოვრობენ. საინტერესოა, რამდენად განიცდიან ისინი უყურადღებობას, ინფორმაციის ნაკლებობას და ა.შ.

**ე.მ.:** სრული ინფორმაციის ვაკუუმია. არც გაზეთი მიდის და არც სხვა სახის საინფორმაციო საშუალებებია.

**დ.კ.:** ჩემი აზრით, აზერბაიჯანელ მოსახლეობას ენის სერიოზული პრობლემა აქვს. ახალგაზრდობის უმრავლესობამ რუსული ენაც არ იცის...

**ე.მ.:** აზერბაიჯანელების უბედურება სწორედ ეს არის, რომ მათ ენის სერიოზული პრობლემა აქვთ, თუმცა ოპტიმისტი ვარ და მჯერა, რომ დაახლოებით თხუთმეტ წელიწადში, საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელები კარგად ილაპარაკებენ ქართულად. მომხდარი ფაქტი სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ ორივე, დაც და ძმაც, უცოდინარობის მსხვერპლია.

**დ.კ.:** საინტერესოა, რა მაგალითს იღებენ ბავშვები?

**ნ.ჭ.:** ქუჩაში მცხოვრები ბავშვებისთვის დადებითი მაგალითი არ არსებობს.

**დ.კ.:** ჩვენ გადავდივართ მეორე საკითხის განხილვაზე. ჩვენი სტუმარია პარლამენტარი კობა დავითაშვილი. ბატონო კობა, თქვენ ტაბუ დაამსხვრიეთ და პრეზიდენტის პირად ცხოვრებაზე ისაუბრეთ. ხომ არ თვლით, რომ ზღვარს გადააბიჯეთ?

**კობა დავითაშვილი:** მე, არა მგონია, რომ ზღვარს გადავაბიჯე. ჩემი აზრით, ზღვარს პრეზიდენტმა გადააბიჯა. საერთოდ, ვერიდები პირად ცხოვრებაზე საუბარს, თუმცა არის ქვეყნები, სადაც ეს, ჩვეულებრივ, პოლიტიკის თემაა (მაგალითად ამერიკა). ამ მხრივ ევროპაში სხვა მდგომარეობაა...

**დ.კ.:** გეთანხმებით, მაგალითად საფრანგეთში საყვარელი თუ არ გყავს დაგცინებენ...

**კ.დ.:** საქართველო, ალბათ, სადღაც შუაში დგას. მე არ მგონია, რომ ქართულ პოლიტიკაში პირადი ცხოვრება აქტიური უნდა იყოს. ჩემი განცხადების კონტექსტი აბსოლუტურად სხვა იყო. საქმე ის გახლავთ, რომ ვალერი გელაშვილის შემთხვევა დაკავშირებული იყო არა იმდენად პირად ცხოვრებასთან და მორალთან, არამედ ხელისუფლების ტერორთან. შეგახსენებთ, რომ გელაშვილმა ერთ-ერთ გაზეთს მისცა ინტერვიუ, სადაც პრეზიდენტის პირადი ცხოვრების თემას შეეხო, რასაც სასტიკი ანგარიშსწორება მოჰყვა. იგი სასიკვდილოდ გაიმეტეს. ეს საქმე კი დღემდე გაუხსნელია და თუ რატომ, ეს ყველასთვის ნათელია. უფრო მეტიც, გელაშვილის ცემისა და პარლამენტიდან გაგდების ფაქტი იყო დაუფარავი მუქარა. მე ის განცხადება იმიტომ გავაკეთე, რომ თუ ხელისუფლების მიზანია მუქარა, ჩვენ მათი არ გვეშინია. მირჩევნია ვილაპარაკო იმ თემებზე, რაზეც არასოდეს არ მილაპარაკია, ვიდრე ხელისუფლების შიშით გავჩუმდე. ეს ყველას დაცვაა. ხელისუფლება ვერ ბედავს ტყვია ესროლოს მიტინგს, თუმცა ბედავს ესროლოს პატიმარს. ის ვერ ბედავს, რომ ოპოზიციის ერთ-ერთ ლიდერს დაესხას თავს, მაგრამ ირჩევს რიგით დეპუტატს... ანუ, აქ იზრდება ფსონები. ჩემი განცხადების არსი ის იყო, რომ ხელისუფლებამ თავი უნდა დაანებოს დაშინებას.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტი აცხადებს ტენდერს კვების პროდუქტების შესასყიდად და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.

| ლოტები | შესყიდვის ობიექტი | განზომილების ერთეული | რაოდენობა ან მოცულობა | მიწოდების ადგილი | მიწოდების გრაფიკი |
|---|---|---|---|---|---|
| 2 | 3 | 4 | 5 | 10 | 11 |
| ლოტი №1 | ჩირი | კგ. | 168 | ქ. ბათუმი | |
| ლოტი №2 | ჩირი | კგ. | 540 | ქ. ახალციხე | |
| ლოტი №3 | ჩირი | კგ. | 450 | ბოლნისის რაიონი | |
| ლოტი №4 | ჩირი | კგ. | 340 | გარდაბნის რაიონი | |
| ლოტი №5 | ჩირი | კგ. | 350 | დედოფლისწყაროს რაიონი | |
| ლოტი №6 | ჩირი | კგ. | 700 | ლაგოდეხის რაიონი | |
| ლოტი №7 | ჩირი | კგ. | 100 | ბარისახო | |
| ლოტი №8 | ჩირი | კგ. | 100 | ყაზბეგი | |
| ლოტი №9 | ჩირი | კგ. | 700 | თბილისი | |
| ლოტი №10 | ტყემალი | კგ. | 40 | ქ. ბათუმი | |
| ლოტი №11 | ტყემალი | კგ. | 120 | ქ. ახალციხე | |
| ლოტი №12 | ტყემალი | კგ. | 100 | ბოლნისის რაიონი | |
| ლოტი №13 | ტყემალი | კგ. | 80 | გარდაბნის რაიონი | |
| ლოტი №14 | ტყემალი | კგ. | 80 | დედოფლისწყაროს რაიონი | |
| ლოტი №15 | ტყემალი | კგ. | 150 | ლაგოდეხის რაიონი | |
| ლოტი №16 | ტყემალი | კგ. | 20 | ბარისახო | |
| ლოტი №17 | ტყემალი | კგ. | 20 | ყაზბეგი | |
| ლოტი №18 | ტყემალი | კგ. | 150 | თბილისი | |
| ლოტი №19 | ხილფაფა | კგ. | 60 | ქ. ბათუმი | |
| ლოტი №20 | ხილფაფა | კგ. | 200 | ქ. ახალციხე | |
| ლოტი №21 | ხილფაფა | კგ. | 170 | ბოლნისის რაიონი | |
| ლოტი №22 | ხილფაფა | კგ. | 120 | გარდაბნის რაიონი | |
| ლოტი №23 | ხილფაფა | კგ. | 120 | დედოფლისწყაროს რაიონი | |
| ლოტი №24 | ხილფაფა | კგ. | 240 | ლაგოდეხის რაიონი | |
| ლოტი №25 | ხილფაფა | კგ. | 30 | ბარისახო | |
| ლოტი №26 | ხილფაფა | კგ. | 30 | ყაზბეგი | |
| ლოტი №27 | ხილფაფა | კგ. | 240 | თბილისი | |
| ლოტი №28 | საფუარი | კგ. | 80 | ქ. ბათუმი | |
| ლოტი №29 | საფუარი | კგ. | 160 | ქ. ახალციხე | |
| ლოტი №30 | საფუარი | კგ. | 140 | ბოლნისის რაიონი | |
| ლოტი №31 | საფუარი | კგ. | 80 | გარდაბნის რაიონი | |
| ლოტი №32 | საფუარი | კგ. | 80 | დედოფლისწყაროს რაიონი | |
| ლოტი №33 | საფუარი | კგ. | 240 | ლაგოდეხის რაიონი | |
| ლოტი №34 | საფუარი | კგ. | 30 | ბარისახო | |
| ლოტი №35 | საფუარი | კგ. | 30 | ყაზბეგი | |
| ლოტი №36 | საფუარი | კგ. | 0 | თბილისი | |
| ლოტი №37 | ჩაი | კგ. | 0 | ქ. ბათუმი | |
| ლოტი №38 | ჩაი | კგ. | 0 | ქ. ახალციხე | |
| ლოტი №39 | ჩაი | კგ. | 70 | ბოლნისის რაიონი | |
| ლოტი №40 | ჩაი | კგ. | 50 | გარდაბნის რაიონი | |
| ლოტი №41 | ჩაი | კგ. | 50 | დედოფლისწყაროს რაიონი | |
| ლოტი №42 | ჩაი | კგ. | 100 | ლაგოდეხის რაიონი | |
| ლოტი №43 | ჩაი | კგ. | 15 | ბარისახო | |
| ლოტი №44 | ჩაი | კგ. | 15 | ყაზბეგი | |
| ლოტი №45 | ჩაი | კგ. | 100 | თბილისი | |
| ლოტი №46 | კაკაო ან ყავა | კგ. | 15 | ქ. ბათუმი | |
| ლოტი №47 | კაკაო ან ყავა | კგ. | 40 | ქ. ახალციხე | |
| ლოტი №48 | კაკაო ან ყავა | კგ. | 35 | ბოლნისის რაიონი | |
| ლოტი №49 | კაკაო ან ყავა | კგ. | 25 | გარდაბნის რაიონი | |
| ლოტი №50 | კაკაო ან ყავა | კგ. | 25 | დედოფლისწყაროს რაიონი | |
| ლოტი №51 | კაკაო ან ყავა | კგ. | 50 | ლაგოდეხის რაიონი | |
| ლოტი №52 | კაკაო ან ყავა | კგ. | 8 | ბარისახო | |
| ლოტი №53 | კაკაო ან ყავა | კგ. | 8 | ყაზბეგი | |
| ლოტი №54 | კაკაო ან ყავა | კგ. | 50 | თბილისი | |
| ლოტი №55 | კისელი | კგ. | 60 | ქ. ბათუმი | |
| ლოტი №56 | კისელი | კგ. | 200 | ქ. ახალციხე | |
| ლოტი №57 | კისელი | კგ. | 170 | ბოლნისის რაიონი | |
| ლოტი №58 | კისელი | კგ. | 120 | გარდაბნის რაიონი | |
| ლოტი №59 | კისელი | კგ. | 120 | დედოფლისწყაროს რაიონი | |
| ლოტი №60 | კისელი | კგ. | 240 | ლაგოდეხის რაიონი | |
| ლოტი №61 | კისელი | კგ. | 30 | ბარისახო | |
| ლოტი №62 | კისელი | კგ. | 30 | ყაზბეგი | |
| ლოტი №63 | კისელი | კგ. | 240 | თბილისი | |
| ლოტი №64 | კვერცხი | ც | 5000 | ქ. ბათუმი | |
| ლოტი №65 | კვერცხი | ც | 16 200 | ქ. ახალციხე | |
| ლოტი №66 | კვერცხი | ც | 14 200 | ბოლნისის რაიონი | |
| ლოტი №67 | კვერცხი | ც | 10 000 | გარდაბნის რაიონი | |
| ლოტი №68 | კვერცხი | ც | 10 000 | დედოფლისწყაროს რაიონი | |
| ლოტი №69 | კვერცხი | ც | 20 200 | ლაგოდეხის რაიონი | |
| ლოტი №70 | კვერცხი | ც | 2 600 | ბარისახო | |
| ლოტი №71 | კვერცხი | ც | 2 600 | ყაზბეგი | |
| ლოტი №72 | კვერცხი | ც | 20 200 | თბილისი | |

2. ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარი შემდეგ რეკვიზიტებზე: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი 220101107, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი N302003000, ერთიანი არასაგადასახადო ანგარიში N200122900. დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტი კოდი 1512.

3. სატენდერო მოსაკრებლის წარმოდგენისთანავე პრეტენდენტი მიიღებს სატენდერო დოკუმენტაციის სრულ პაკეტს დეპარტამენტის სატენდერო კომისიის აპარატში შემდეგი მისამართით: ქ. თბილისი, კანდელაკის ქ. 12. ტელ: 37-63-84.

4. სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს ორიგინალის სახით ან ნოტარიუსით დამოწმებული, ქართულ ენაზე.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციებს:

იურიდიულ პირთათვის:

- მსურველი იურიდიული პირის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;
- მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ უნდა ხორციელდებოდეს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ-შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;
- მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები ბოლო 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყვნენ მსჯავრდადებულნი და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ- შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;

ფიზიკურ პირთათვის:

- უნდა იყოს ქმედითუნარიანი (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;
- მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების საქმის წარმოება (უნდა იყოს წარმოდგენილი ცნობა სასამართლოდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ- შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;
- უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყოს მსჯავრდადებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის. (უნდა იყოს წარმოდგენილი ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ- შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;

6. სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს;

7. განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და ერთი დახურული პაკეტით წარმოდგენილი სატენდერო კომისიის აპარატში ხელმძღვანელის ან მის მიერ წერილობით უფლებამოსილი პირის მიერ 2006 წლის 27 აპრილის 14 საათამდე, მისამართზე: ქ. თბილისი, კანდელაკის ქ. 12. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტი. სატენდერო აპარატი.

ტელ: 37-63-84; 37-07-59

8. პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები უნდა იყოს ხელმოწერილი ფიზიკური პირის ან პრეტენდენტი იურიდიული პირის ხელმძღვანელის მიერ, ხელმოუწერელი სატენდერო წინადადებები არ განიხილება. დასაშვებია ალტერნატიული სატენდერო წინადადებების წარმოდგენა.

9. პრეტენდენტების განაცხადის, საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადებების გახსნა და შერჩევა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოაღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 24 თებერვალს 14 საათზე.

10. დაგვიანებით შემოსულ პაკეტებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

11. ტენდერის დროს გამოვლენილი იქნება ერთი ან რამოდენიმე გამარჯვებული, ლოტების მიხედვით. ტენდერი ტარდება საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საფუძველზე.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო კომისიის აპარატში, აგრეთვე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მოსაკრებლის გადახდამდეც.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს, ზემოაღნიშნულ მისამართზე და ტელეფონზე ტელ: 37-63-84.37-07-59

სატენდერო კომისია

# დამოუკიდებელი საგამოძიებო ჯგუფი - ობიექტურობის გარანტი

*არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს ახალი ინიციატივით მიმართავს და დამოუკიდებელი საგამოძიებო ჯგუფის შექმნას მოითხოვს. დამოუკიდებელი საგამოძიებო ჯგუფის შექმნისთვის პარლამენტმა შესაბამისი საკანონმდებლო აქტის სახით უნდა მიიღოს დოკუმენტი კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე კონკრეტული პირებისთვის დამოუკიდებელი საგამოძიებო მოქმედების განხორციელების უფლების შესახებ. ასეთი დამოუკიდებელი საგამოძიებო ჯგუფები მუშაობს მსოფლიოს წამყვან დემოკრატიულ ქვეყნებში, საქართველოში კი ამის პრაქტიკა და ტრადიცია ჯერჯერობით არ არსებობს.*




*"საქართველოს პარლამენტმა დაუყოვნებლივ მიიღოს ქმედითი ზომები ევროკონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად"*

არასამთავრობოთა კოალიციის წევრების განმარტებით, ბოლო დროს განვითარებული მოვლენების ანალიზის შედეგად აშკარაა, რომ გამოძიება თავს არიდებს, გადაამოწმოს სიცოცხლის უკანონო ხელყოფის საქმეში სახელმწიფოს მაღალჩინოსანთა მონაწილეობის აშკარა კვალი. **"საზოგადოება დარწმუნებულია, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება ვერ უზრუნველყოფს ევროკონვენციით დაკისრებული ეფექტური გამოძიების ვალდებულების განხორციელებას. ბოლო დროს მომხდარი მკვლელობებით გამოწვეული საზოგადოების აღშფოთების ტალღა დამნაშავეთა გამოვლენისა და დასჯის ქმედითი მექანიზმის გამომუშავებისაკენ უნდა იყოს მიმართული, რასაც გამოძიების არსებული სტრუქტურები ვერ განახორციელებენ, რადგან, გამოძიების თვალსაზრისით, მათი მიუკერძოებლობა დამოუკიდებლობის სტანდარტს ვერ აკმაყოფილებს"**, - აცხადებენ კოალიციის წარმომადგენლები და, ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს გარდა, პოლიტიკურ პარტიებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, მასმედიას და საზოგადოებას მიმართავენ, მხარი დაუჭირონ დამოუკიდებელი საგამოძიებო ჯგუფის შექმნის ინიციატივას და ჩაერთონ ამ მექანიზმის დახვეწისა და სრულყოფის საქმეში.

არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია დარწმუნებულია, რომ ბოლოდროინდელი, საზოგადოებისათვის მიუღებელი მკვლელობები ჩადენილია სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ, რის გამოც, არ მოხდება მკვლელობების გარემოებათა გამოძიება, მაღალჩინოსან დამკვეთთა, შემსრულებელთა დანაშაულებრივი ქმედების ეფექტური გამოძიება და დამნაშავეთა დასჯა. ახალი ინიციატივის ავტორთა მტკიცებით, დანაშაულებრივ საქმიანობაში მონაწილე ნებისმიერი პირის ქმედებისა და ვინაობის სააშკარაოზე გამოტანას სწორედ დამოუკიდებელი საგამოძიებო ჯგუფი შეძლებს.

**"ევროსასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, სიცოცხლის ხელყოფის საქმეების გამოძიებისას ყველა ასპექტი უნდა იყოს გათვალისწინებული; უნდა მოხდეს დამნაშავეთა ეფექტური დევნა და გასამართლება; საქმის გამოძიებაში სახელმწიფოს რომ არ დაედოს ბრალი, ქვეყნის საკანონმდებლო ორგანომ უნდა შექმნას ისეთი მექანიზმი, დამოუკიდებელი საგამოძიებო ჯგუფის სახით, რომელიც აღჭურვილი იქნება შესაბამისი უფლებამოსილებით უტყუარი მტკიცებულებების შესაკრებად და სასამართლოში წარსადგენად. მოვითხოვთ, საქართველოს პარლამენტმა დაუყოვნებლივ მიიღოს ქმედითი ზომები ევროკონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად"**, - აცხადებენ არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციის წევრები და, ძირითადად, "გაერთიანებული ქართული ბანკის" ყოფილი თანამშრომლის სანდრო გირგვლიანის მკვლელობასა და 27 მარტს ორთაჭალის საპყრობილეში მომხდარი ბუნტის დროს დაღუპული პატიმრების საქმის გამოძიებაზე ამახვილებენ ყურადღებას.

*24 საათი*

# თამაზ ბაკურიძე მეორე ვერდიქტის მოლოდინში

*ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში აჭარის ტელევიზიის ყოფილი დირექტორისა და ასლან აბაშიძის მთავრობის პრესმდივნის თამაზ ბაკურიძის სასამართლო პროცესი განახლდა. შეგახსენებთ, რომ თამაზ ბაკურიძის ადვოკატმა სააპელაციო სასამართლოში ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ რამდენიმე თვის წინ გამოტანილი განაჩენი გაასაჩივრა, რომლის მიხედვითაც, განსასჯელს ექვსი წლითა და ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.*

ბაკურიძეს გამოძიება აჭარის ტელევიზიასა და სააგენტო "აჭარაში" მუშაობის დროს თანამზრახველებთან ერთად სახელმწიფო ქონების - 2 მილიონ ლარამდე გაფლანგვა-მითვისებას ედავება.

ასლან აბაშიძის ყოფილი პრესმდივნისთვის გამოტანილი ვერდიქტი მაშინ მოულოდნელი აღმოჩნდა არამარტო განსასჯელის, მისი ახლობლებისა და ადვოკატისთვის, არამედ იმ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთათვისაც, რომლებიც ათთვიანი სასამართლო პროცესის მონიტორინგს აწარმოებდნენ. **"სასამართლო არის ყიდვა-გაყიდვის აუქციონი"**, - ასე შეფასდა თვეების წინ თამაზ ბაკურიძის საქმის სასამართლო განხილვის ფინალი.

საქმე ისაა, რომ თანამდებობის ბოროტად გამოყენებასა და დიდი ოდენობით თანხის არამიზნობრივად ხარჯვაში ბრალდებულის საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვისას ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილმა არც ერთმა მოწმემ ბაკურიძის ბრალეულობა არ დაადასტურა. რაც ყველაზე მთავარია, სასამართლო პროცესებზე თავი დაზარალებულად არ ცნეს საქმეში დაზარალებულად მიჩნეულმა პირებმა. ერთი სიტყვით, სასამართლო პროცესებზე დაკითხულმა მოწმეებმა ბაკურიძის სასარგებლო ჩვენებები მისცეს.

დაცვის მხარისა და მონიტორინგში მონაწილე არასამთავრობოების მტკიცებით, ბათუმის საქალაქო სასამართლო მხოლოდ ასლან აბაშიძის დროინდელი კონტროლის პალატის დასკვნას დაეყრდნო და პროკურატურის მიერ დაწერილი საბრალდებო დასკვნა ბოლომდე დააკანონა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გამართულ გუშინდელ პროცესზე თამაზ ბაკურიძის ინტერესების დამცველებმა კონტროლის პალატის დასკვნების გაუქმების შუამდგომლობა დააყენეს. სასამართლომ არ დააკმაყოფილა ადვოკატთა შუამდგომლობა და კონტროლის პალატის დასკვნა, აჭარის ტელევიზიასა და სააგენტო "აჭარაში" თანხების მითვისების შესახებ, ლეგიტიმურად ცნო. გუშინვე მოწმის სტატუსით დაიკითხნენ კონტროლის პალატის თანამშრომლები.

განსასჯელის ადვოკატებიც და ბაკურიძის საქმის მონიტორინგში ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციების წევრებიც უკანონოდ მიიჩნევენ აქტს, რომლის საფუძველზეც, ბაკურიძის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, და აცხადებენ, რომ, გარკვეული გარემოებების გამო, ეს აქტი უნდა გაბათილდეს; კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის მესამე მუხლის თანახმად, კონტროლის პალატის მაშინდელი აქტი დაუშვებელ მტკიცებულებას წარმოადგენს, რადგან აჭარის კონტროლის პალატას არაგეგმიური რევიზიის ჩატარების უფლება ჰქონდა მხოლოდ საქართველოს პარლამენტის და ხელისუფლების უმაღლესი პირების შესაბამისი განკარგულების საფუძველზე. **"კონტროლის პალატის მაშინდელი ხელმძღვანელობა და საგამოძიებო ჯგუფის წევრები არაგეგმიური რევიზიის ჩატარების ნებართვად მიიჩნევდნენ აჭარის მაშინდელი მეთაურის ასლან აბაშიძის ზეპირ ბრძანებას. თუკი სააპელაციო სასამართლო პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენს ძალაში დატოვებს, ბაკურიძის საქმე სტრასბურგამდე მივა"**, - აცხადებენ არასამთავრობოები.

თავად განსასჯელს იმ საერთაშორისო ორგანიზაციების იმედი აქვს, რომლებიც მის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმით კარგა ხნის წინ დაინტერესდნენ. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მიერ შემდგარმა მონიტორინგის ჯგუფმა ყოფილი პრესმდივნის საქმეში ეუთო-სა და გაერო-ს მისიის წარმომადგენლები ჩართო. ეუთო-სა და გაერო-ს მისიის ოფიცრები საქმის დეტალებით დაინტერესდნენ და ბაკურიძე ბათუმის მესამე საპყრობილეში მოინახულეს. ორივე საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა სპეციალური დასკვნები მოამზადეს და სათაო ოფისებს გადასცეს. ჩვენი ინფორმაციით, თამაზ ბაკურიძის საქმით ევროკავშირის წარმომადგენლებიც დაინტერესდნენ.

*24 საათი*




## მოკლედ

### იუსტიციის უმაღლესი სკოლა მომავალი მოსამართლეებისთვის

საქართველოში იუსტიციის უმაღლესი სკოლის ჩამოყალიბება სასამართლო რეფორმის ერთ-ერთი ძირითად პრიორიტეტად არის აღიარებული. 2007 წლიდან სკოლა უკვე მოქმედი მოსამართლეების გადამზადების პროცესს დაიწყებს, ხოლო 2008 წლიდან უკვე შესაძლებელი გახდება იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ თავისი მთავარი ფუნქცია შეასრულოს - მომავალი მოსამართლეების მომზადება დაიწყოს.

სწორედ იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სწავლების მეთოდიკის შემუშავებას მიეძღვნა 27-31 მარტს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის სტრასბურგში ვიზიტიც. შეხვედრა ევროსაბჭოს ეგიდით ჩატარდა.

შეხვედრას ესწრებოდნენ - ევროსაბჭოს სამართლებრივი თანამშრომლობის დირექტორი რობერტო ლამპონი, ფრანგი და ესპანელი მოსამართლეები, ევროსაბჭოს წარმომადგენელი საქართველოში იგორ გოანი, ევროსაბჭოში საქართველოს ადმინისტრატორ-კოორდინატორი ალესანდრო მანჩინი და სხვა უცხოელი ექსპერტები. ქართულ მხარეს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის გარდა, საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგიის თავმჯდომარე მაია კოპალეიშვილი, სამოსამართლეო სწავლების ცენტრის დირექტორი დავით საავაშვილი, დირექტორის მოადგილე შოთა რუხაძე და იუსტიციის საბჭოს წევრი ოთარ სიჭინავა ესწრებოდნენ. იუსტიციის უმაღლესი სკოლის ქართულმა მოდელმა და დებულებამ უცხოელი ექსპერტების მოწონება დაიმსახურა. შეხვედრაზე შეთანხმდნენ, რომ უცხოელი ექსპერტები ქართულ მხარეს სასწავლო მეთოდოლოგიის შემუშავებაში დაეხმარებიან. შესაძლებელია, ასევე, მოხდეს ქართველი ექსპერტების უშუალო გაწვრთნა საფრანგეთის და ესპანეთის იუსტიციის უმაღლეს სკოლებში.

შეხვედრაზე უცხოელმა ექსპერტებმა ხაზი გაუსვეს, რომ იუსტიციის უმაღლესი სკოლის ქართული მოდელი არ წარმოადგენს არც ერთი ევროპული სკოლის პირდაპირ ანალოგს და რომ ეს სკოლა ორიგინალობით და თვითმყოფადობით გამოირჩევა. ***24 საათი***

### სამართალდამცველთაგან რეაგირებას ელიან

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს N2 დროებითი დაკავების იზოლატორში მყოფ სამ დაკავებულს ფიზიკური დაზიანებები აღენიშნება.

როგორც სახალხო დამცველის აპარატში აცხადებენ, უწყების თანამშრომლებმა 3 აპრილს N2 დროებითი დაკავების იზოლატორში მონიტორინგი ჩაატარეს, რის შედეგადაც დადგინდა, რომ სამ პატიმარს სხვადასხვა სახის ფიზიკური დაზიანებები აღენიშნება.

სახალხო დამცველის წარმომადგენლებთან საუბრისას დაკავებულმა ალექსანდრე როსტიაშვილმა განაცხადა, რომ მას მთაწმინდა-კრწანისის შს სამმართველოს თანამშრომლებმა დაპატიმრების დროს სცემეს. პატიმარ პაატა ცერცვაძის განცხადებით, მთაწმინდა-კრწანისის შს სამმართველოს თანამშრომლებმა, აღიარებითი ჩვენების მიღების მიზნით, მასზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლა მოახდინეს. ექვმიტანილ კიაზო კვირკვიას განცხადებით კი, მას ფიზიკური დაზიანებები გლდანი-ნაძალადევის შს მე-2 განყოფილებაში მიაყენეს.

პატიმრების - როსტიაშვილის და ცერცვაძის თქმით, მათ არ განემარტათ დაკავებულის უფლებები, ხოლო კვირკვიას დაპატიმრების შემდეგ ტელეფონით სარგებლობის საშუალება არ მიეცა.

სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა მოპოვებული მასალები თბილისის პროკურორს გიორგი ღვინიაშვილს, საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს უფროსს თამარ თომაშვილსა და შსს ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს უფროსს გიორგი კიკნაძეს გაუგზავნა. ომბუდსმენის აპარატი აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით კანონით გათვალისწინებული ზომების გატარებას მოითხოვს. ***24 საათი***

### პოლიციელების საიდუმლო შეხვედრა გუბერნატორთან

შიდა ქართლის გუბერნატორის აპარატში სამხარეო და ქალაქების პოლიციის უფროსების მოულოდნელი თავყრილობა გაიმართა. პოლიციის უფროსები, სამხარეო პოლიციის უფროსის დევი ჭელიძის მეთაურობით, მიხეილ ქარელმა თავის კაბინეტში დაიბარა.

შიდა ქართლის გუბერნატორმა მიხეილ ქარელმა ჟურნალისტების დანახვისთანავე სხდომა დახურულად და საიდუმლოდ გამოაცხადა.

თითქმის, ორსაათიანი სხდომიდან გამოსული სამხარეო პოლიციის უფროსის დევი ჭელიძის განმარტებით, გუბერნატორთან ჩვეულებრივი ოპერატიული თათბირი შედგა. რეგიონის პოლიციის უფროსის ინფორმაციით, გუბერნატორმა სტატისტიკური მონაცემები, გაუხსნელი და გახსნილი დანაშაულების შესახებ ინფორმაცია მოითხოვა. "მხარის გუბერნატორთან ასეთი შეხვედრა პირველად შედგა. საგანგაშო არაფერი მომხდარა", - აცხადებს დევი ჭელიძე. ***ჯი-ეიჩ-ენი***

### გამოძიება თანხების მითვისების ფაქტზე

თბილისის 151-ე საშუალო სკოლის დირექტორის მიერ საბიუჯეტო სახსრების მითვისების ფაქტზე ფინანსური პოლიციის თბილისის სამმართველომ გამოძიება დაიწყო. როგორც ფინანსურ პოლიციაში აცხადებენ, დირექტორს სკოლის ფართი სხვადასხვა კერძო ფირმისთვის ჰქონდა მიქირავებული. თუმცა, მათ მიერ მოხმარებულ კომუნალურ ხარჯებს სკოლა ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით ფარავდა. ფინანსური პოლიციის კახეთის სამმართველომ კი საგარეჯოში მდებარე კერძო სასწავლებლების შემოწმება დაიწყო. გამოძიება "საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევის" მუხლით მიმდინარეობს. გამოძიების ინფორმაციით, შპს "დავით გარეჯის სახელობის ჰუმანიტარულ-ტექნიკური ინსტიტუტის" და შპს "გოცის" - მრავალდარგოვანი კოლეჯის ხელმძღვანელი პირები სტუდენტებისგან მიღებულ სწავლის გადასახადს შესაბამის დოკუმენტაციაში არ აღრიცხავდნენ. სამართალდამცველები არ გამორიცხავენ, რომ შესაძლოა, თანხების მითვისებასაც ჰქონდეს ადგილი. ***ინტერპრესნიუსი***

### აღსრულებული საქმეები

იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ინფორმაციით, იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტმა 2006 წლის მარტში 2592 საქმე აღასრულა, რაც, გასული წლების ანალოგიურ მონაცემებთან შედარებით, გაცილებით მეტია. მარტის დასაწყისში საქართველოს მასშტაბით სააღსრულებო ბიუროების წარმოებაში 17 ათას 497 საქმე იყო, რასაც მარტის თვეში 6 ათას 68 საქმე დაემატა. აღსრულებულ საქმეთა დიდი წილი - 2078 საქმე - ადმინისტრაციული ჯარიმების ამოღებაზე მოდის. იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის მონაცემებით, 2006 წლის მარტში აღსრულებული საქმეებიდან სახელმწიფო ბიუჯეტში 583 819,01 ლარი გადაირიცხა. აღსანიშნავია, რომ 2005 წლის მარტში - 800, ხოლო 2004 წელს 906 საქმე აღსრულდა. 2005 წლის მარტში ბიუჯეტის სასარგებლოდ - 76 465,3 ლარი, ხოლო 2004 წელს 805,52 ლარი იყო ამოღებული. ***24 საათი***

### ერთიანი ხედვა საერთაშორისო სასამართლოს მიმართ

ბაქოში სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრნენ პარლამენტარები - ნაზი არონია და ლალი ფაფიაშვილი. საერთაშორისო კონფერენცია "სამხრეთ კავკასიის პერსპექტივები" 6-7 აპრილს ბაქოში, სასტუმრო "აბშერონში" ჩატარდება. კონფერენციაში მონაწილეობას იღებენ აზერბაიჯანისა და საქართველოს სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, საერთაშორისო ექსპერტები და ჟურნალისტები. კონფერენციის მიზანია სამხრეთ კავკასიაში სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიმართ ერთიანი ხედვის ჩამოყალიბებაა. "უმნიშვნელოვანესია, რომ რეგიონის სამივე ქვეყანაში და, კერძოდ, აზერბაიჯანში გაცნობიერდეს სასამართლოს მნიშვნელობა ქვეყნისათვის მრავალი მიმართულებით. ადამიანის უფლებების დაცვის, კონფლიქტების, საკანონმდებლო ბაზის რომის სტატუსთან შესაბამისობის კუთხით", - აცხადებს დეპუტატი ნაზი არონია. კონფერენციის ორგანიზატორები კონფლიქტისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მხარდამჭერი ეროვნული კოალიციაა. ***ინტერპრესნიუსი***

# "ვიტ ჯორჯია" "სიონს" წამოეწია

მიხეილ აბაიშვილი

გუშინ გაიმართა ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის 23-ე ტური, რომელიც იოლად პროგნოზირებადი შედეგებით დასრულდა. ლიდერმა ბოლნისის "სიონმა" გასვლით მატჩში ვერ შეძლო "ზესტაფონის" ძლევა და უგოლოდ დაუზავდა. ამით ისარგებლა "ვიტ ჯორჯიამ", რომელმაც საკუთარ არენაზე "ამერს" მოუგო და ქულებით გაუთანაბრდა "სიონს".

**ვიტ ჯორჯია - ამერი 3:1**
**დინამო (თბ) - სპარტაკი 3:0**
**კახეთი - ლოკომოტივი 4:3**
**ზესტაფონი - სიონი 0:0**
**კოლხეთი - დინამო (ბთ) 0:1**
**დინამო (სხ) - დილა 1:1**
**თბილისი - ტორპედო 2:1**
**ცხინვალი - ბორჯომი 1:2**

23 ტურის შემდეგ "სიონმა" და "ვიტ ჯორჯიამ" 55-55 ქულა დააგროვეს, შემდეგ მოდიან:
"დინამო" (თბ) - 46,
"ზესტაფონი" - 45,
დინამო (ბთ) - 44,
ბორჯომი - 44,
ამერი - 41,
ლოკომოტივი - 34,
კოლხეთი - 28,
კახეთი - 26,
ტორპედო - 24,
დილა - 22,
ცხინვალი - 21,
დინამო (სხ) - 15,
სპარტაკი - 11,
თბილისი - 11.

ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"
OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION

**ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო" სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის მხარდაჭერის პროგრამა აცხადებს**

**საგრანტო კონკურსს საუკეთესო დოკუმენტური ფილმების პროექტების გამოსავლენად**

**კონკურსის მიზანია**
გამოვლინდეს ორი საუკეთესო პუბლიცისტური, დოკუმენტური ფილმის პროექტი, რომლის განხორციელებაც დაფინანსდება ფონდის "ღია საზოგადოება - საქართველო" სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის მხარდაჭერის პროგრამის მიერ.

**კონკურსში მონაწილეობა**

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოში მოქმედ დამოუკიდებელ სატელევიზიო სტუდიებს.

**კონკურსის პირობები**
- პროექტი შედგენილი უნდა იყოს ფონდის მიერ დამტკიცებული გრანტის მოსაპოვებელი განაცხადის ფორმის მიხედვით (ფორმა იხ. ვებ გვერდზე - http://osgf.ge/?show=manual);
- პროექტის ფარგლებში წარმოდგენილი ფილმი უნდა იყოს პუბლიცისტურ-დოკუმენტური ჟანრის;
- დოკუმენტური ფილმის პროექტის შინაარსობრივი თემატიკა უნდა იყოს აქტუალური და თანამედროვე ქართული სინამდვილის ამსახველი;
- ამავე დროს ფილმების თემატიკა უნდა ემსახურებოდეს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისა და ტოლერანტობის კულტურის დანერგვის მიზანს.
- პროექტის ფარგლებში განმცხადებელმა ორგანიზაციამ უნდა წარმოადგინოს დოკუმენტური ფილმის შინაარსი და სტრუქტურა (სცენარის მონახაზი), ასევე ფილმის მომზადების მეთოდოლოგია;
- პროექტით გათვალისწინებული დოკუმენტური ფილმის მომზადების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 8 კვირას.
- კონკურსში მონაწილეობის მსურველმა სატელევიზიო სტუდიებმა უნდა წარმოადგინონ საკუთარი ორგანიზაციის ან/და პროექტის ძირითადი თანამშრომლების მიერ წარსულში განხორციელებული მსგავსი პროექტების ნუსხა (სასურველია თან ერთვოდეს ვიდეო მასალა DVD ფორმატში)
- დოკუმენტური ფილმის მომზადებისათვის ფონდიდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 8 000 აშშ დოლარს.

კონკურსის პრიორიტეტული თემატური სფეროებია: სოციალური პრობლემები, ინტეგრაცია, მულტიკულტურალიზმი, გენდერული საკითხები, პოლიტიკური პლურალიზმი, ძალადობის პრობლემა.

*ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო" იზრუნებს გამარჯვებული პროექტების დაფინანსების შედეგად მომზადებული ფილმების სატელევიზიო ეთერით გადაცემაზე.

**კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განაცხადები მიიღება 2006 წლის 4 აპრილიდან 4 მაისის 17:00 საათამდე. მისამართი ჭოველიძის ქ. N10. ტელ: 25-04-63, 25-05-92 ფაქსი: 29-10-52, ელ. ფოსტა - irakli@osgf.ge.**

**საკონტაქტო პირი: ირაკლი ცერცვაძე, სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის მხარდაჭერის პროგრამის კოორდინატორი.**
კონსულტაციები კონკურსში მონაწილეობის მსურველთათვის ჩატარდება კონკურსის მიმდინარეობის პერიოდში ყოველ ხუთშაბათ დღეს 11:00 საათზე ფონდის ოფისში.

ფეხბურთი

# მინგემ ნაკრები დააკომპლექტა

მიხეილ აბაიშვილი

12 აპრილს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ევროპის 2007 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირში ჩაებმება. პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩვენი ახალგაზრდულის მეტოქე მალტის ნაკრებია. 12-ში ჩვენები გასვლით მატჩს გამართავენ, ხოლო განმეორებითი 26 აპრილს თბილისში შედგება. გუშინ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ჯერჯერობით არაოფიციალურმა მთავარმა მწვრთნელმა გერმანელმა რალფ მინგემ ხსენებული ოფიციალური შესარჩევი თამაშებისადმი მიძღვნილი პრესკონფერენცია გამართა, სადაც შემადგენლობაც წარმოადგინა:

მეკარეები - ნუკრი რევიშვილი ("რუბინი" რუსეთი), რევაზ თევდორაძე ("თბილისი");

მცველები - გიორგი სეთურიძე ("დინამო" ბათუმი), მათე ღვინიანიძე ("ლოკომოტივი" რუსეთი), დავით იმედაშვილი ("ვიტ ჯორჯია"), დავით გიგაური ("დინამო" თბილისი), ზაალ ელიავა ("სკონტო" ლატვია), გიორგი ფოფხაძე ("ოლიმპიაკოსი" საბერძნეთი);

ნახევარმცველები - ჯაბა კანკავა ("არსენალი" უკრაინა), გიორგი განუგრავა ("ზესტაფონი"), გიორგი მერებაშვილი ("დინამო" თბილისი), ალექსი ბენაშვილი ("ზესტაფონი"), გოგი ფიფია ("ზესტაფონი"), რევაზ გეწაძე ("ბორჯომი");

თავდასხმა - გიორგი ჭელიძე ("ლოკომოტივი" რუსეთი), ოთარ მარცვალაძე ("დინამო" კიევი), ნიკოლოზ გელაშვილი ("ვიტ ჯორჯია").

"მალტის ახალგაზრდულ ნაკრებთან ორრაუნდიანი დაპირისპირება მიმდინარე სეზონში ქართული ფეხბურთისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა. ბოლო ორი თვის განმავლობაში ინტენსიურ სასელექციო სამუშაოებს ვაწარმოებდით. შეკრება და ტურნირი მალტაზე, მატჩი ალბანეთის ახალგაზრდულ ნაკრებთან, ეროვნული ჩემპიონატის თამაშები - სწორედ ამ შეხვედრებზე დაკვირვების შედეგად არის შედგენილი ის 17-კაციანი სია, რომელიც მალტაზე გაემგზავრება. მე ძალზე კმაყოფილი ვარ ჩატარებული სამუშაოთი და მიმაჩნია, რომ ამ ასაკში საუკეთესოები შევკრიბეთ. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ რამდენიმე ფეხბურთელს ტრავმამ შეუშალა ხელი, ზოგიერთს - კონკურენციის გაზრდილმა ხარისხმა. ეს იმას ნიშნავს, რომ ახალგაზრდული ნაკრების კარი დახურული არავისთვის არ არის და როგორც სასელექციო საქმიანობა, ისე ნაკრების როტაცია კონკურენციის პრინციპით მუდმივი პროცესი იქნება", - განაცხადა რალფ მინგემ, რომლის ოფიციალური დანიშვნა საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელად ხვალისთვის იგეგმება.


დღეს ახალკაცი აღმასკომს მინგეს კანდიდატურას წარუდგენს.

მოგეხსენებათ, ამჟამად ეს პოსტი კობა ჟორჟიკაშვილს უკავია. აღმასკომის სხდომას, რომელიც ხვალ გაიმართება ფეხბურთის ფედერაციის ოფისში, ამ უწყების პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი ორ კანდიდატურას წარუდგენს. მინგესთან ერთად, რომელსაც, სავარაუდოდ, აღმასკომი უპრობლემოდ დაამტკიცებს, 19-წლამდელთა ნაკრებში ჰაინც ტოპმიოლერს დანიშნავენ. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ჟორჟიკაშვილი სანაკრებო ფეხბურთს საერთოდ ჩამოშორდება.

"კობა ჩვენი სამწვრთნელო შტაბის წევრია. მან ძალიან დიდი სამუშაო გასწია ახალგაზრდული და 19-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე. ჟორჟიკაშვილს დიდი გამოცდილებაც აქვს, რისი გამოუყენებლობა ჩვენი მხრიდან დანაშაული იქნება. ასე რომ, ის ნაკრებში რჩება და ვიმედოვნებთ, ქართულ ფეხბურთს დიდ სამსახურს გაუწევს", - აღნიშნა რალფ მინგემ.

წარმოდგენილ სიაში 17 ფეხბურთელი და ერთი ვაკანსიაა. თუ ვინ შეავსებს თვრამეტკაციან განაცხადს, დღეს გაირკვევა.

"მეთვრამეტე ფეხბურთელს დღევანდელი ტურის შემდეგ შევარჩევთ. გვესაჭიროება შემტევი ტიპის ნახევარმცველი ან თავდამსხმელი, რომლის გამოსავლენადაც მწვრთნელთა შტაბის წარმომადგენლები ეროვნული ჩემპიონატის თამაშებზე გადავანაწილდებით. ჰაინც ტოპმიოლერი ზესტაფონში გაემგზავრება და "ზესტაფონი"-"სიონის" მატჩს დააკვირდება, მე "ვიტ ჯორჯია"-"ამერს" დავესწრები, ხოლო ლევან ნოდია და ჰერბერტ ცანკერი "დინამო"-"სპარტაკის" თამაშზე იქნებიან მივლინებულნი. შემდეგ შევიკრიბებით და ერთობლივად გადავწყვეტთ, თუ ვის დავიმატებთ სამალტო სიაში", - გვითხრა რალფ მინგემ.

პრესკონფერენციაზე ნოდარ ახალკაცმა ერთი სიახლეც გვამცნო ეროვნული ნაკრების შესარჩევ კალენდართან დაკავშირებით. მეორე შესარჩევი ქვეჯგუფის მონაწილე ყველა ქვეყანა დათანხმდა ქართული მხარის თხოვნას და გასვლითი მატჩი ფარერებთან, რომელიც მომავალი წლის ნოემბერში უნდა გამართულიყო, 2006 წლის 16 აგვისტოს შედგება. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ნაკრები შესარჩევ ტურნირში სწორედ ფარერებთან თამაშით აიღებს სტარტს. შესაბამისად, 3 ქულის მოპოვების და პირველი თამაშის შემდეგ ჯგუფში ლიდერად გახდომის ბრწყინვალე შანსი ეძლევა. ეს კი ფსიქოლიგიური თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესია ისეთ მეტოქეებთან თამაშების წინ, როგორებიც საფრანგეთი, უკრაინა და იტალიაა.

# მესის თაობა

*ლიონელ მესი, ფრანცისკ ფაბრეგასი და ფრედი - ეს ის სამეულია ბრწყინვალე ახალგაზრდა ფეხბურთელთა პლეადიდან, რომელმაც თავი გამოიჩინა მიმდინარე ჩემპიონთა ლიგაში.* uefa.com *აანალიზებს პრესტიჟულ საკლუბო ტურნირზე ნიჭიერი ახალგაზრდების პროგრესს, რასაც აქვე გთავაზობთ.*

## ლიონელ მესი

როდესაც თავად მარადონა საკუთარ თავს გადარებს, ეს უკვე ძვირად ფასობს. მესის შემთხვევაში ასეთი შედარება სავსებით გამართლებულია. არგენტინელის დებიუტი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის პირველივე მატჩში გაიმართა, როდესაც მეორე ტაიმში შეცვალა თანაგუნდელი. მაშინ ახალგაზრდა ფეხბურთელმა პენალტი გამოიმუშავა, რაც მალე "ვერდერის" კარში გატანილ მეორე გოლად გარდაისახა. "ვერდერთან" თამაშის შემდეგ "უდინეზესთან" მატჩი "ბარსელონას" არგენტინელმა ლეგიონერმა უკვე ძირითად შემადგენლობაში დაიწყო. 18 წლის ფეხბურთელმა არაჩვეულებრივად გაართვა თავი მასზე დაკისრებულ მოვალეობას და მატჩის ერთ-ერთი მთავარი გმირი გახდა, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა იტალიური კლუბის განადგურებაში (4:1). დიდი სიჩქარე, ფილიგრანული ტექნიკა, დაყენებული დარტყმა... თითქმის ყველაფერი აქვს საიმისოდ, რომ ნებისმიერი მცველი გააცოფოს. მართალია, "უდინეზესთან" მატჩის შემდეგ გაზეთის პირველი გვერდები ჰეთ-თრიკის ავტორს რონალდინიოს დაეთმო, მაგრამ აშკარა იყო, შეხვედრის მთავარი მოვლენა ახალი ვარსკვლავის ამობრწყინება იყო.

## ფრანცისკ ფაბრეგასი

არის ხოლმე, როდესაც არსენ ვენგერის საკადრო ცვლილებები თავდაპირველად უჩვეულოდ, საეჭვოდ გამოიყურება. ყველა გაოცებული დარჩა, როდესაც ფრანგმა მწვრთნელმა გამოთქვა მზადყოფნა "იუვენტუსში" გაეშვა "არსენალის" კაპიტანი, დიდი სტაჟის მქონე პატრიკ ვიეირა, სანაცვლოდ კი "იუვედან" ახალგაზრდა ფაბრეგასი გადაეყვანა. არადა, 18 წლის ნახევარმცველი ძალზე ახალგაზრდა და გამოუცდელი უნდა ყოფილიყო იმისთვის, რომ საიმედოდ ჩაეკეტა საყრდენი ნახევარმცველის პოზიცია. ახლა, როდესაც ფაბრეგასი "არსენალშია", ვენგერს სრული უფლება აქვს განაცხადოს: "ხომ გეუბნებოდით". შვიდი თვის განმავლობაში ფაბრეგასმა მოასწრო ადგილი მოეპოვებინა ესპანეთის ნაკრებში.

ფაბრეგასმა, მისი ასაკის მიუხედავადაც, საკმაოდ გონივრული მატჩი ჩაატარა "სანტიაგო ბერნაბეუზე", სადაც "მეთოფეებმა" მადრიდის "რეალი" 1:0 დაამარცხეს. არანაკლებ საიმედოდ ითამაშა "ჰაიბერიზე" განმეორებით შეხვედრაში. თითქმის არ კარგავს ბურთს. შეუძლია ისეთი გადაცემა შეასრულოს, რომელიც მოვლენებს ამძაფრებს. და საერთოდ, სამწვრთნელო შტაბს შეშფოთებისთვის ნაკლებ საფუძველს აძლევს.

## მანუელ ფერნანდეში

ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში "ბენფიკას" გასვლა ბევრისთვის მოულოდნელობა იყო. იგივე შეიძლება ითქვას ახალგაზრდა ნახევარმცველის მანუელ


მესი წლევანდელი ლიგის აღმოჩენაა.

ფერნანდეშის თამაშზე. ერთხელ ჟოზე მოურინიომ განაცხადა, რომ პორტუგალიელი ბევრად უკეთ გამოიყურება, ვიდრე კლოდ მაკელელე მის ასაკში. პორტუგალიის ნაკრების წევრმა, რომელსაც თებერვალში შეუსრულდა 20 წელი, "ლივერპულთან" ბრწყინვალე თამაშით "ჩელსის" დამრიგებლის სიტყვები დაამტკიცა. განმეორებით მერვედფინალურ შეხვედრაში მან შეძლო გაეუვნებელეყო სტივენ ჯერარდისა და ლუის გარსიას შეტევები. გარდა ამისა, ფერნანდეშმა მონაწილეობა მიიღო მშვენიერ შეტევაში, რომელიც სიმაუ საბროსას გოლით დაგვირგვინდა.

სხვათა შორის, არცთუ დიდი დროა გასული მას შემდეგ, რაც ფერნანდეში კლუბში "ბენფიკას" ახალგაზრდული აკადემიიდან გადავიდა. გადასვლით კი 2004 წელს გადავიდა.

## ფრედი

"ლიონის" ბრაზილიელმა სკაუტმა მარსელომ საკუთარი სამშობლოს უსაზღვრო საფეხბურთო სივრცეში ფრედერიკო ჩავეს გუედესის სახით, რომელიც უფრო ფრედის სახელითაა ცნობილი, მორიგი ვარსკვლავი აღმოაჩინა.

თავდამსხმელი იმ ბრაზილიელთა (სონი ანდერსონი, ედმილსონი, ჟუნინიო პერნამბუკანო და კრისი) ნაკვალევს გაჰყვა, რომლებიც წარმატებით შეესისხლხორცნენ ფრანგულ კლუბს. გასულ სეზონში ფრედმა "კრუზეიროსთვის" 43 მატჩში 40 ბურთი გაიტანა, რამაც "ლიონი" აიძულა ფეხბურთელში 15 მილიონი ევრო გადაეხადა. ბრაზილიელი ლეგიონერი პირველივე მატჩებიდან შეუდგა მასში გადხდილის ანაზღაურებას.

22 წლის ფეხბურთელი კარგად თამაშობს ზედა სართულზე და აქვს დაყენებული დარტყმა ორივე ფეხით, რამაც მას საშუალება მისცა საფრანგეთის ჩემპიონატის პირველ ორ შეხვედრაში სამი ბურთი გაეტანა. სწორედ მისი დამსახურებაა პსვ-სთან ლიგის მერვედფინალურ დაპირისპირებაში გადამწყვეტი როლის თამაში.

## კლაას ჰუნტელაარი

ჰოლანდიელ თავდამსხმელს დიდი დრო არ დასჭირვებია ჩემპიონთა ლიგაში ადაპტაციისთვის. "აიაქსის" 22 წლის მოთამაშემ "ინტერთან" სადებიუტო შეხვედრაშივე გამოიჩინა თავი, ამასთან, მე-16 წუთზე.

არანაკლებ საშიშია ჰუნტელაარი ეროვნულ პირველობაზე, სადაც შესაშური სტაბილურობით ამწუხრებს მეტოქეებს. ჰოლანდიის ჩემპიონატის 43 მატჩში 36 გოლი საკმარისზე მეტი აღმოჩნდა იმისთვის, რომ "აიაქსს" ჰუნტელაარი "ჰერენვენისგან" 9 მილიონ ევროდ გადაებირებინა. ამსტერდამში არცთუ დიდი ხნის წინ გადასულმა კი უკვე 11 გოლით გამოიჩინა თავი.

## მოჰამედ სისოკო

შარშან ზაფხულში, როდესაც "ლივერპულმა" "ვალენსიასგან" ახალგაზრდა ნახევარმცველი შეიძინა, რაფაელ ბენიტესმა განაცხადა, რამდენიმე წელიწადში ის უკეთ ითამაშებს და უფრო სწრაფად იმოძრავებს, ვიდრე პატრიკ ვიეირაო.

მართლაც, 21 წლის მაღალი ფეხბურთელი სრული პრინციპულობით მიუდგა ამ საკითხს.

ჩემპიონთა ლიგის სადებიუტო სეზონზე "ბენფიკასთან" მატჩში მიღებულმა თვალის სერიოზულმა ტრავმამ დებიუტი ჩააშხამა. ფაქტია, სისოკოს არყოფნა "ლივერპულთან" შეხვედრაში ორი გაშვებული გოლითა და ლიგიდან გამოვარდნით დასრულდა. ამჟამად სისოკო მწყობრშია, ოღონდ დამცავი სათვალით გადის მინდორზე.

მაღალი, სწრაფი და ათლეტური სისოკო მერსისაიდელთა ნახევარდაცვის ნამდვილი აღმოჩენაა. ბევრ შემთხვევაში მისი დამაჯერებელი თამაში დაეხმარა "ლივერპულს" შეენარჩუნებინა ნულოვანი ფრე "ჩელსისთან" "სტემფორდ ბრიჯზე" და ლიგის ჯგუფური ეტაპის G ჯგუფში დაეკავებინა პირველი ადგილი. საყრდენი ნახევარმცველის სასარგებლოდ მეტყველებს სტატისტიკაც - საკუთარ ჯგუფში ბენიტესის სამმა ბურთების ნაკლები რაოდენობა გაუშვა.

**უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი**

**ა ნ კ ე ტ ა**
**სახელი, გვარი**................................
**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი**................................
**საკონტაქტო ტელეფონი**................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლურჯუბიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

[illegible]

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური [illegible];
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური [illegible], ([illegible]);
8. მეტროს სადგური [illegible];
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. [illegible] 45 [illegible] გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: [illegible] თბილისი, წერეთლის გამზ. 72 იურიდიული ოფისი "გაპი".

# მუსიკა არაბესკებში

## ოპერის თეატრმა სიმებიანი კვარტეტი შექმნა

სოფო კილასონია

*ოპერის თეატრის შენობაში არის ერთი დარბაზი, რომელსაც ზოგი წითელს ეძახის, ზოგიც კიდევ ჭრელს. ჭრელს ალბათ ვიტრაჟების გამო, წითელს კი იმიტომ, რომ მისი კედლების არაბესკები წითელ ფონზეა წარმოდგენილი, ოღონდ ისეთ წითელზე არა, მატისმა რომ მოიფიქრა, სხვაგვარზე, უფრო მუქსა და უფრო ძველებურზე. ალაგ-ალაგ წყლის ჩამონადენებით. ამას მალე გამოასწორებენ, მაგრამ სანამ ასეა, მასაც მოეძებნება თავისი რომანტიკა. ის ხომ ულევად გვაქვს, მით უფრო მაშინ, როცა სანთლებს დაანთებენ, ამაღლებულ სცენაზე კი ძველი პარტიტურების ლამაზად დაძველებულ წიგნებს მიმოაბნევენ და სრული კომფორტისთვის ჯერ მოცარტს დაგვიკრავენ, მერე კი ჰაიდნს შეასრულებენ.*



2 აპრილს ოპერის თეატრმა და მასთან დამეგობრებულმა ბიზნეს-კომპანიამ ჯი ემ სი ჯგუფის ბრენდმა თეატრის ბაზაზე ახლად ჩამოყალიბებული სიმებიანი კვარტეტის კონცერტი-პრეზენტაცია წარმოადგინეს. სიმებიანი კვარტეტი ოპერის თეატრს აქამდე არასდროს ჰყოლია, მისი შექმნის იდეა კი თეატრის ახლანდელ დირექტორსა და სამხატვრო ხელმძღვანელს ეკუთვნით. სიმებიანი კვარტეტის მუსიკის ხიბლი დიდი ხანია აღარ უგრძვნია მელომან საზოგადოებას, მაგრამ ორი დღის წინ გამართული საღამოც მხოლოდ თეატრში მიწვეულ სტუმართა უპირატესობა გახლდათ. სანამ საკონცერტო პროგრამას დაამუშავებენ, კვარტეტის სტუმრები პატარა გამოსვლებს სჯერდებიან, თუმცა კვარტეტების მთავარი ხიბლიც ხომ ამ ერთგვარ მობილურობასა და ინტიმურობაშია, რომელიც XVIII საუკუნის საღამოებიდან, მუსიკოსთა შეკრებებიდან მოყოლებული, თან სდევს ამ მუსიკალური კვადრატის ფორმას.

"წითელი დარბაზის" სტუმრებს მუსიკოსებამდე თეატრის დირექტორი დავით საყვარელიძე მიესალმა და, როგორც სჩვევია, საუბრის დიდი ნაწილი გეგმებსა და მომავალს დაუთმო. აღმოსავლურ დარბაზში მუსიკალური საღამოები და შეხვედრები ამიერიდან თურმე ძალზე ხშირად გაიმართება. გასაგებიცაა, დარბაზის აკუსტიკა და მისი კონფიგურაცია თავისუფლად იძლევა სხვადასხვა ვარიაციების საშუალებას. თეატრში იქნება კიდევ ერთი სცენა, სადაც რეპეტიციების გარდა წარმოდგენებიც გაიმართება, თუმცა ეს ყველაფერი მას შემდეგ, რაც ალბათ სამი სრული წელი გავა და დასი სახლს დაუბრუნდება.

ოპერის თეატრის სიმებიან კვარტეტს გიორგი ხაინდრავა (პირველი ვიოლინო), პაატა ჭანტურიშვილი (ვიოლინო), ირაკლი ჯაფარიძე (ალტი) და გიორგი ჯორჯაძე (ჩელო) წარმოადგენენ. 2 აპრილს მათ მოცარტის 24-ე კვარტეტით დაიწყეს და პირველ განყოფილებაში შოსტაკოვიჩის მე-7 კვარტეტიც მოგვასმენინეს. შემდეგ იყო ჯი ემ სის ღვინოების დეგუსტაცია, მთავარი მოქმედი პირი კი "თელავის მარანი" გახლდათ. ოდნავ შემთვრალმა საზოგადოებამ ჰაიდნის N57 და ბოლოს სულხან ცინცაძის კვარტეტი N6 იგემა. თუმცა, არა. იყო რამდენიმე "ბის" და კიდევ რამდენიმე მუსიკალური ნომერი-დესერტი: "სისა-ტურა" და "ციცინათელა".

როგორც დავინახეთ, წითელ-ყვითელი არაბესკების მუსიკა მელომანთ მოეწონათ, კმაყოფილი სახეები და მაღალი შეფასება მხოლოდ საფერავის ბრალი არ ყოფილა. თუ ამ ყველაფერს გავითვალისწინებთ, "წითელ დარბაზთან" მიმართებაში დაგეგმილი - ტრადიციად უნდა იქცეს, თანაც აუცილებლად. თუმცა, სანამ იქ კიდევ დაგვიძახებენ (11 აპრილს), ამჟამად უკვე დირიჟორი გოგი ჭიჭინაძე თეატრის კამერული ორკესტრის კონცერტზე გვეპატიჟება. ამ თემაზე მოგვიანებით ვისაუბრებთ, თუმცა ფაქტია, რომ ოპერისა და ბალეტის თეატრი სიმფონიური მუსიკის მოყვარულთათვისაც ზრუნავს და ამ თვალსაზრისით არსებულ პატარა, მაგრამ ღრმა სიცარიელის ამოვსებას ისიც შეეცდება.



## საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2006 წლის 23 მარტს N62-ში სასუქების შესყიდვის მიზნით გამოქვეყნებული სატენდერო განცხადების შესწორება

1. განცხადების პირველ პუნქტში 9041 ტონის ნაცვლად უნდა ეწეროს 9761.925 ტონა მინერალური სასუქი.
2. განცხადების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
"2. საქონელი არაუგვიანეს 2006 წლის 30 აპრილისა მოწოდებული უნდა იქნეს DDP პირობით შემდეგ სარკინიგზო სადგურებში:

| რეგიონები | სასუქის ოდენობა (ტონა) | სასუქის ოდენობა რაიონების მიხედვით (ტონა) | | სარკინიგზო სადგური |
|---|---|---|---|---|
| აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა | 1770 | ქობულეთი | 604 | ქობულეთი |
| | | ხელვაჩაური | 651 | ბათუმი |
| | | ქედა | 123 | |
| | | შუახევი | 162 | |
| | | ხულო | 230 | |
| სამეგრელოსა და ზემო სვანეთის მხარე | 2361.825 | აბაშა | 213.4 | აბაშა |
| | | წალენჯიხა | 255.55 | ზუგდიდი |
| | | ზუგდიდი | 651.175 | |
| | | ჩხოროწყუ | 283 | სენაკი |
| | | მარტვილი | 411.6 | |
| | | სენაკი | 227 | |
| | | ხობი | 320.1 | ხობი |
| ქვემო ქართლის მხარე | 2221.975 | ბოლნისი | 413.25 | ბოლნისი |
| | | გარდაბანი | 639.775 | გარდაბანი |
| | | დმანისი | 169.6 | კაზრეთი |
| | | თ/წყარო | 153.075 | თ/წყარო |
| | | წალკა | 139.325 | |
| | | მარნეული | 706.95 | მარნეული |
| გურიის მხარე | 1222.375 | ლანჩხუთი | 364.175 | ლანჩხუთი |
| | | ოზურგეთი | 633.325 | ოზურგეთი |
| | | ჩოხატაური | 224.875 | |
| სამცხე-ჯავახეთის მხარე | 1182.225 | ადიგენი | 179.075 | ახალციხე |
| | | ასპინძა | 99.4 | |
| | | ახალქალაქი | 363.55 | |
| | | ახალციხე | 198.775 | |
| | | ნინოწმინდა | 195.025 | |
| | | ბორჯომი | 146.4 | ბორჯომი |
| რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე | 495.85 | ამბროლაური | 169.125 | ქუთაისი 1 |
| | | ონი | 68.225 | |
| | | ცაგერი | 190 | |
| | | ლენტეხი | 68.5 | |
| იმერეთის რეგიონი (დევნილი მოსახლეობისათვის) | 151.95 | საჩხერე | 3.05 | ზესტაფონი |
| | | ხარაგაული | 1.075 | |
| | | ჭიათურა | 3.9 | |
| | | თერჯოლა | 7.225 | |
| | | ბაღდადი | 12.175 | ქუთაისი 2 |
| | | ვანი | 4.125 | |
| | | ხონი | 13.6 | |
| | | ტყიბული | 4.6 | |
| | | სამტრედია | 18.55 | |
| | | წყალტუბო | 70 | |
| | | კოპიტნარის ს/დ | 8.8 | |
| | | გუმათის დასახ. | 1.4 | |
| | | რიონჰესის დასახ. | 3.45 | |
| გალის რაიონი | 355.725 | აჩიგვარა | 9.85 | ზუგდიდი |
| | | ბედია | 5.25 | |
| | | განახლება | 8.3 | |
| | | გუდავა | 0.7 | |
| | | დიხაზურგა | 7.55 | |
| | | ზ/ბარღები | 6.375 | |
| | | თაგილონი | 9.075 | |
| | | მზიური | 18.4 | |
| | | მუხური | 10 | |
| | | ნაბაკევი | 8.2 | |
| | | ოტობაია | 45.125 | |
| | | ოქუმი | 14.575 | |
| | | პ/გალი | 35.025 | |
| | | რეფი | 5.375 | |
| | | საბერიო-ლეკუხონა | 28.275 | |
| | | სიდა | 9.85 | |
| | | ფიჩორი | 8.55 | |
| | | წუბურხინჯი | 26.3 | |
| | | ქვ. ბარღები | 9.2 | |
| | | ლუმურიში-რეჩხი | 14.775 | |
| | | ჩხორთოლი | 14.45 | |
| | | წარჩე | 13.15 | |
| | | ქ/გალი | 47.375 | |

**საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სატენდერო კომისია**

## საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს

## განცხადება

"საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 14 თებერვლის N120 ბრძანებულებით, 2006 წლის 16 მარტიდან ლიკვიდირებულ იქნა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - "საზღვარგარეთ არსებული საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი".

გთხოვთ, დაინტერესებულ ორგანიზაციებს და პირებს, მოგვმართოთ სალიკვიდაციო კომისიას შემდეგ მისამართზე - ქ. თბილისი ჩიტაძის ქუჩა N4. ტელეფონი:28-48-47;

*სალიკვიდაციო კომისია*

## საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

## განცხადება

ა.წ. 7 აპრილს 1500სთ-ზე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტში მოეწყობა "დაბა ბაკურიანში მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების განთავსების პოლიგონის პროექტის" საჯარო განხილვა.

საპროექტო დოკუმენტაციის გაცნობა და წერილობითი შენიშვნებისა და რეკომენდაციების წარმოდგენა შესაძლებელია 2006 წლის 7 აპრილამდე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტში, მის: თბილისი, გულუას N6.

## განცხადება

შსს სსიპ - სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი აცხადებს აუქციონს ხანგრძლივ შენახვაზე მყოფ ვადაგასულ შემდეგ მატერიალურ ფასეულობათა რეალიზაციის მიზნით:

სხვადასხვა სახის ფოლადი და პროფილები - 73,8 ტონა, ფოლადის მილები - 106,8 ტონა, სალი შენადნი - 13610 ცალი, მავთული პ/რ-2,5 - 70 კგ, მავთული პპიუ-2,0 - 9,5 კგ. საწყისი ფასი - 128312 ლარი.

აუქციონში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია წინასწარ გადაიხადოს "ბე" მატერიალური ფასეულობის ღირებულების 10%-ის ოდენობით.

აუქციონი ჩატარდება 2006 წლის 8 მაისს დღის 2 საათზე დეპარტამენტის შენობაში, შემდეგ მისამართზე: ქ, თბილისი, აგლაძის 32, II სართული.

დამატებითი ცნობებისათვის გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ ტელეფონებზე: 35-67-23, 34-65-98. განაცხადები მიიღება 2006 წლის 5 მაისის დღის 4 საათამდე.

სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი

"საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სატენდერო კომისია გაცნობებთ, რომ მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ანტირაბიული სამკურნალო საშუალებების შესყიდვის მიზნით ა. წ. 3 აპრილის გაზეთ "24 საათში" (N71) გამოქვეყნებული განცხადების 6.3. პუნქტი ჩამოყალიბებული უნდა იყოს შემდეგნაირად:

"6.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) სამკურნალო საშუალების საქართველოში რეგისტრაციის მოწმობა;

ბ) ნებართვა ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ."

## საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გამოცხადებული ტენდერების შედეგად გამოვლინდა შემდეგი გამარჯვებულები:

- საოფისე ავეჯი - ინდმეწარმე ზაზა ჭანტურია ;
- საავტომობილო საწვავი - შ.პ.ს. "კანარგო სტანდარტ ოილ პროდუქტი";
- სანიტარულ-ჰიგიენური მომსახურება - შ.პ.ს. "უნივერსალ სერვისი"

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შპს "თორაკოაბდომინალური კლინიკა" მისამართი წინანდლის ქ. №9 აცხადებს ტენდერს კლინიკის საჭიროებისათვის მედიკამენტების, შესახვევი მასალისა და სამედიცინო დანიშნულების საგნების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესასყიდი საქონლის ჩამონათვალი:

ლოტი 1. ნარკოტიკული საშუალება
ლოტი 2. ფსიქოტროპული და სანარკოზე საშუალებები
ლოტი 3. ქოლინერგულ და ადრენერგიულ სისტემაზე მოქმედი საშუალებები
ლოტი 4. ანალგეტიკები არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო და სპაზმის მომხსნელი საშუალებები
ლოტი 5. პენიცილინის ჯგუფის ანტიბიოტიკები
ლოტი 6. ამინოგლიკოზიდი
ლოტი 7. მაკროლიდები
ლოტი 8. კარბაპენემები
ლოტი 9. ფტორქინოლონები
ლოტი 10. ცეფალოსპორინი III თაობა
ლოტი 11. ცეფალოსპორინი II თაობა
ლოტი 12. ცეფალოსპორინი IV თაობა
ლოტი 13. პროტოზოების საწინააღმდეგო და ანტიმიკოზური
ლოტი 14. ანტიკოაგულანტები
ლოტი 15. ხველების საწინააღმდეგო ამოსახველებელი ბრონქების გასაფართოებელი ანტიჰისტამინური საშუალებები
ლოტი 16. ანტაციდები ჰ2 ჰისტამინო ბლოკატორები ღებინების და ღებინების საწინააღმდეგო საფაღარათო მეტეორიზმის საწ. ჰეპატოპროტექტორები ანტიფერმენტული ანტიგიპოქსანტი
ლოტი 17. სითხეები და ელექტროლიტები
ლოტი 18. ვაქცინები და შრატები
ლოტი 19. ამინომჟავები პლაზმის შემავსებელი
ლოტი 20. ალბუმინის პრეპარატები
ლოტი 21. სისხლი და სისხლის პრეპარატები
ლოტი 22. ჰემოსტატიკური და სისხლის წარმოქმნაზე მოქმედი პრეპარატები
ლოტი 23. მედიკამენტი სხვადასხვა ჯგუფის
ლოტი 24. ანტისეპტიკური და სადეზინფექციო
ლოტი 25. რეაქტივები
ლოტი 26. ავადმყოფის მოვლის საგნები და წვრილი ინვენტარი
ლოტი 27. შესახვევი მასალა
ლოტი 28. საკერავი მასალა
ლოტი 29. ერთჯერადი მოხმარების საგნები
ლოტი 30. კლიპი №6
ლოტი 31. კლიპი №10
ლოტი 32. თიაქარის ბადე

3. საქონლის მიწოდების პირობები: საქონლის მიწოდება განხორციელდება ყოველთვიურად შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე.

4. მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი წინანდლის ქ. №9 შპს "თორაკოაბდომინალური კლინიკა".

5. დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი ტენდერში მონაწილეობის შესახებ (რეკვიზიტების მითითებით), საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები (დალუქულ პაკეტში) ქართულ ენაზე, უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 28 აპრილის 15 საათიდან შემდეგ მისამართზე: შპს "თორაკოაბდომინალური კლინიკა" წინანდლის ქ. №9 ოთახი №2.

6. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

6.1. იურიდიული პირისათვის:

ა) იურიდიული პირის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

6.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა.

6.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან საქართველოს ბიუჯეტისადმი დავალიანების არარსებობის შესახებ;

გ) ლიცენზია სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობების რეალიზაციაზე;

დ) ლიცენზია მედიკამენტებისა და სამკურნალწამლო საშუალებების საბითუმო რეალიზაციაზე.

7. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა სავალდებულოა ასევე მონაწილე პირის სუბკონტრაქტორებისათვის.

8. საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს დედნის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით.

9. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ ანგარიშზე: მიმღები ს/ს საქართველოს ბანკი, კოდი № 220101 ანგარიშის № 127424000 ს/კ №206047179.

10. ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა, რომლებსაც მიენიჭებათ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ცალკეული ლოტების შესრულების უფლება.

11. ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია 1%-ის ოდენობით.

12. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ხ. დალაქიშვილი ტელ: 899 902 922, მისამართზე: შპს "თორაკოაბდომინალური კლინიკა" წინანდლის ქ. №9 ოთახი №2.

გამოხმაურება

# "ვყურობ და ვკვირობ..."

გიორგი გორგოძე

სათაურში გამოტანილი სიტყვები მარად თანამედროვე დავით კლდიაშვილს ეკუთვნის. მარტო იმიტომ არ დავესესხე, რომ განუმეორებელია მისი გემრიელი იმერული კილო, ცინცხალი ქართული. ამ გამოხმაურებას 24 მარტს თქვენს გაზეთში დაბეჭდილ სტატიაზე (რუბრიკა "აქცენტი" - სოფო კილასონია - "თავკომბალა ხელოვნება") ერთგვარი მკვახე შეძახილის ტონალობა აქვს, რადგან დამზაფრა სტატიის ავტორის "დამოძღვრამ" და "შეგონებებმა", ეს ოპუსი იმ სამწუხარო ტენდენციების გადამღერებაა, რამაც ასე ძალუმად იჩინა თავი პოსტრევოლუციურ საქართველოში.



წინასწარ ბოდიშს ვუხდი მკითხველს, რომ ხშირად მომიწევს ამ "კონცეპტუალური" წერილის ციტირება, რომელიც ნამდვილად ასე იწყება: "სათაურს აუცილებლად წაიკითხავდით. ამიტომაც ნამდვილად ვერ მეტყვით, რომ ვერ მიხვდით, რაზე მიგანიშნებთ" (? - გ. გ.). ცოტა ქვემოთ ავტორი პირველი კუკუდამალობანას შემდეგ ცოტათი "გაგვეხსნება": "...გამაოგნებელი ისტორიები, როგორ გადაეკიდნენ ხელოვანები ერთმანეთს, როგორ აიძულეს ერთმანეთი ამდგარიყვნენ და წასულიყვნენ სხვაგან, სულ სხვაგან, როგორ დასხდნენ და იბატონეს მარტოებმა".

პირველი სამი "გამაოგნებელი ისტორია" ერთ აბზაცში ჩაატია: "იყო დრო, როცა მარჯანიშვილი რუსთაველის თეატრიდან, რბილად რომ ვთქვათ, წამოვიდა... მერე იყო თუმანიშვილის ისტორია, გარკვეულწილად თემურ ჩხეიძისაც". ამით მთავრდება პირველი სამი "გამაოგნებელი ისტორია", რომელიც ავტორს ნაკლებად აინტერესებს, ეს მხოლოდ შემზადებაა, ფონია იმ მთავარი "გამაოგნებელი" ბრალდებისთვის, რომელსაც წაუყენებს რუსთაველის თეატრს. იქვე გზადაგზა ავტორს ჯგუფურად და მსუბუქად შემოეხარჯა "უფროსი თაობის თეატრმცოდნეები, რომლებიც კრიტიკოსებად ვერა და ვერ შედგნენ". აბა, როგორ "შედგებოდნენ", ისინი ხომ "უფროსი თაობის" არიან!.. სამაგიეროდ თვლის, რომ თვითონ შედგა და ყველა უფლება აქვს ერთ "საეტაპო" სტატიაში ლამის კომბალით გადაუაროს ქართულ ხელოვნებას.

კომბალ-კალამს ვერც გარდაცვლილი მაესტრო ჯანსუღ კახიძე გადაურჩა. ისე გაჰკრა კბილი, როგორც ერთ ძველ ანეგდოტში გვარს არ დავასახელებ და ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარეო. არადა, მართლა, სად ბატონი ჯანსუღ კახიძე და სად დღევანდელი უნივერსალები: მაესტრო კახიძე ნამდვილად ვერ შეძლებდა ჰერბერტ ფონ კარაიანის ორკესტრის ჩაწერილ ფონოგრამაზე სადირიჟორო ჯოხის ჰაერში ნაზად რხევას.

ქართული მწერლობის ლანძღვა დღეს კარგ ტონად მიიჩნევა, ჩაგეთვლებათ "ზემდგომებთან": "ჩვენი მგოსნების და განმანათლებლების შესახებ აღარაფერს ვიტყვი. ქართველი მწერლების მრავალწლოვანი მომხვეჭელობითი პოლიტიკა უკვე კარიკატურულად გამოიყურება და, ღმერთმა დაგვიფაროს, ამგვარი სისუსტეები ადამიანებზე პროფესიული გენეტიკით გადადიოდეს..." ეტყობა ქათმის გრიპის ვირუსის შესაძლო მუტაციაში აერია ქ-ნ სოფოს "პროფესიული გენეტიკა"... რა მეთქმის, ისტორიამ იცის მსგავსი დაბნელებები, დაახლოებით იგივეს აკეთებდნენ ხუნვეიბინები ჩინეთში "კულტურული რევოლუციის" წლებში, "თალიბანი" ავღანეთში, საქართველოშიც გვაქვს პრეცედენტები: ბორის ძნელაძის თაობის კომკავშირლები...

მერე ბალეტს გადასწვდა ქ-ნ სოფოს "უკიდეგანო თვალსაწიერი", ეს თემაც მოდაშია. არადა ბალეტის ნამეტნავად შეყვარება ძლიერთა ამა ქვეყნისაგან კომიკურ ელფერს იღებს. "უფროსობის" ფეხის ხმას აყოლილ ნომენკლატურულ უსტაბაშებს სულ რომ ჭაბუკიანი ან ნურიევი გაუცოცხლო, ალბათ გულის სიღრმეში უცენზუროდ შეამკობენ, მათ ხომ სხვა თვალსასეირო უფრო ხიბლავთ - "შილიფად ჩაცმული კვატების" გოგმანი.

კიდევ ბევრი "მარგალიტები" შეგვხვდება "თავკომბალა ხელოვნების" ავტორთან. თუნდაც ეს პასაჟი რად ღირს: "ჩვენი პრობლემა ის არის, რომ ამ მხარეში ბევრი გენიოსი იცის..." (კვახიც იცის კაი და ეკალაც, ოღონდ დაკიდულ ფერდობზე უნდა მოკრიფო - გ. გ.) "...მაგრამ რა ვქნათ, რომ დღესდღეობით მომრავლებული გენიოსები დიდად საამურ ამინდს ვერ ქმნიან?" საამურს ვისთვის, ქ-ნო სოფო? თუმცა მაგას რა კითხვა უნდა, დღესავით ნათელია!.. ასეთ სიტუაციებში თქვენი სულიერი წინამორბედნი წინა საუკუნის ოციანი წლებიდან მარტივ გზას ნახულობდნენ: რა ამბავია 6 პროცენტი თავადაზნაურობა საქართველოს მოსახლეობაში, დავიყვანოთ ნულოვან ნიშნულზე! კინაღამ წამომცდა "ნულოვანი ტოლერანტობა!"

"ყველა ზემოთ მოყვანილი მაგალითი მხოლოდ მაგალითია, არადა საუბარი ტენდენციებზე და დამოკიდებულებებზე მინდოდა..." აღარ გეტყვით, მკითხველო, მე რა მინდოდა ამ "ესსეის" წაკითხვის შემდეგ. "...ერთხელ თუ მიეცი სადავე მართვისა, გამორიცხულია საკუთარი ან სხვათა აზრი გააგონო." ეს მოსაზრება ჭკუასთან ახლოა, თუ წინადადების თავში ხელისუფალთ ვიგულისხმებთ, მაგრამ ქ-ნ სოფოს სხვები ჰყავს დასამუშავებელი: "მეტად დამსახურებულ, თუნდაც ძალიან ნიჭიერსა და წარმატებულ ხელოვანთ თუ ერთხელ მიეცი..." ეეჰ, რაღა ერთხელ მიგიცია და რაღა ყოველდღე, ერთი სახელი ჰქვია... "მერე წლები გრძელდება და იწელება, წლები ყვედრებისა, რომ გვემსახურებიან, წლები იმისა, რომ ვერ შევიგნეთ, რაოდენ ხელშეუხებლები არიან". არ გეგონოთ, მკითხველო, რომ მაღალუსტაბაშობას გაჰკრა კბილი, არა! ეს ისევ იმ ცოდვიან "ART-ისტებზეა", "არადა არავინ ახსენებს მათ, რომ მათი წარმატება, პირველ რიგში, მათსავე წარმატებას ემსახურება და რომ მათი არტისტული ეიფორია მხოლოდ მათია და არა საზოგადო, სასიხარულო, მაგრამ მაინც ტვირთი"... როგორც ილიკო ჩიგოგიძე იტყოდა: "მაი რაცხა ვერ გევიგე, ნამეტანი ხმამაღლაა დაწერილი..." სულმნათი აკაკი ასეთ შემთხვევაში ბრძანებდა: "კაი სატკაცატკუცო სიტყვაა!.."

ჩვენ რაღა ვუთხრათ ასე პირგამეხებულ ავტორს? ერთს შევბედავდი მხოლოდ: მგონი, სათაურში ერთი სიტყვა გამოგრჩათ - კმარა! უნდა ყოფილიყო "კმარა თავკომბალა ხელოვნება!" ისე, სხვაფრივ ნამდვილი დირექტივაა კულტურის სამინისტროსთვის. გრძელ შესავალ ნაწილში ავტორმა არაერთხელ გაგვიმეორა: "ნამდვილად ვერ მეტყვით, რომ ვერ მიხვდით, რაზე მიგანიშნეთ", "მიხვდებოდით კიდევ იმიტომ, რომ..." "იმასაც მიხვდებოდით, რომ..." და ასე შემდეგ გაუთავებლად. ქ-ნო სოფო, მიუხედავად ამხელა აბდაუბდა შესავლისა, თქვენი სავარაუდოდ შეკვეთილი წაკბენის მიხვედრა იმ სულგრძელი მკითხველისთვის, ვისაც მაინც არ დაეზარა და ბოლომდე ჩაიკითხა თქვენი "თავკომბალა ხელოვნება", ნამდვილად არაა ძნელი.

"თავკომბალა ხელოვნების" გამოქვეყნებამდე ოთხი დღით ადრე "კვირის პალიტრაში" ლელა ჯიყაშვილის მშვენიერი ინტერვიუ იყო ბატონ რობერტ სტურუასთან, რომლის ციტირება რამდენჯერმე მომიწევს: "ახლა სხვა დროა, ცხოვრება მკვეთრად შეიცვალა... ველოდებოდით რაღაც მშვენიერს და მივიღეთ ძალადობით, უკანონობით აღსავსე საუკუნე. მსოფლიო დრამატურგია კრიზისშია, ყველა ეძებს გამოხატვის ახალ ფორმას, ამიტომაც ჩვენც რაღაცას ვაკეთებთ. დავდგით "ჯარისკაცი, სიყვარული, დაცვის ბიჭი და... პრეზიდენტი". ზოგს მოსწონს, ზოგს არ მოსწონს. მთავრობა ნაწყენია. (! - გ. გ.) თეატრებს აღარ გვაძლევს დოტაციას... მეცინება ამაზე. თუკი ჩვენ თავისუფლება მოგვისპეს, თეატრი აღარ იარსებებს. გარდა მთავრობის წევრთა ცხოვრებისა, არსებობს უფრო მნიშვნელოვანი - ერის სულიერი ცხოვრება. თუ მან არ ისაზრდოვა, ბანალურ, განუვითარებელ ქვეყნად გადავიქცევით... შეიძლება თეატრი გაანადგურო, არსებობის საშუალება არ მისცე, მაგრამ ამით მხოლოდ ერი დაზარალდება. ჩვენ მაწანწალები ვართ და სადმე მოვძებნით თავშესაფარს... თავისუფალი თუ არა ხარ, ვერაფერს გააკეთებ. ჩვენ ყოველთვის თავისუფლები ვიყავით. ეს არის აუცილებელი ჩვენი ხელოვნებისთვის".

გრძელი ციტატა გამომივიდა, მაგრამ აუცილებელი. დავიმახსოვროთ ერთი მინიშნება: "მთავრობა ნაწყენია, თეატრებს აღარ გვაძლევს დოტაციას... მეცინება ამაზე". შეგახსენებთ, რომ ეს ის რობერტ სტურუაა, რომელმაც კომუნისტების ზეობისას, ჯერ კიდევ 1974 წელს, თავისი საუკეთესო სპექტაკლი-შედევრი "ყვარყვარე" დადგა, რომელმაც ჯოჯოხეთის თერთმეტი წრე გამოიარა, 11-ჯერ მოუწყვეს დახურული "გასინჯვა" ცკ-ს მაშინდელმა მაღალუსტაბაშებმა. დღეს მაღალუსტაბაშობას სულ ტყუილად წარმოუდგენია თავი ლორენცო მედიჩის ტოგაში - აქაოდა, რაც არ მსიამოვნებს, იმას არ დავაფინანსებო. პრაქტიკულად თეატრი ერთი მეცენატის გულმოწყალების ამარაა დარჩენილი. ამ მინიშნებების მერე მკითხველი უკეთ "დაკვალიანდება" ქ-ნ სოფოს "თხზულების" ქვეტექსტებში.

ქართულ თეატრალურ და, შეიძლება ითქვას, მთლიანად სახელოვნებო სივრცეში ბატონი რობერტ სტურუა და რუსთაველის თეატრი თუ ერთადერთი არა, ის იშვიათი გამონაკლისია, რომლებსაც "ასაკობრივი სეკვესტრის" (ანუ "ჩვენიანებით" ჩანაცვლების) პოსტრევოლუციური ტალღა ჯერ არ შეხებიათ. "თავკომბალა ხელოვნების" ავტორმა აღმოაჩინა თავის "მიხვედრილობით", რომ "მეტრები იბღვირებიან და ტერიტორიებს ამაგრებენ", ხოლო "ხელისუფლება ნაწყენია". და შეუდგა ხელგარჯილობას. კატეგორიულად გვამცნო: დროა, რომ წავიდნენო, რადგან ასეთი "ერთფეროვნება" აუტანელია; რომ ისინი "მაყურებელს დიდი ხნის წინ მობეზრდა", რომ "მათი არტისტული ეიფორია მხოლოდ მათია და არა საზოგადო, სასიხარულო, მაგრამ მაინც ტვირთი" (გაიგეთ რამე ამ აბდაუბდიდან? - გ. გ.); რომ "გამორიცხულია, საკუთარი ან სხვათა აზრი გააგონო" და ეს ყველაფერი "წლები გრძელდება და იწელება, წლები ყვედრებისა, რომ გვემსახურებიან, წლები იმისა, რომ ვერ შევიგნეთ, რაოდენ ხელშეუხებლები არიან", "განსაკუთრებით უფროსი თაობის სავარძლებში მოკალათებული ART-ისტები..."

უკაცრავად კი ვარ, მაგრამ ერთი ეს ვერ გავიგე: სავარძლებია "უფროსი თაობის" თუ "ART-ისტები..."?

თავისი დირექტივის მეორე ნაწილში ავტორი უფრო გაგვენდო, გაგვეხსნა და პირდაპირ გაგვიმხილა სათქმელი: "ამას წინათ რუსთაველის თეატრის ნახევრად ცარიელ დარბაზში ვიჯექი და შემთხვევით გავიგე, როგორ ხსნიდა ამგვარ ვითარებას თეატრის ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი, ვითომ მაყურებელს მხოლოდ ცირკი ხიბლავს და სერიოზული წარმოდგენებისა არაფერი გაეგებაო. როგორ მეცოდება ზოგადად ეს "მაყურებელი". რა აღარ აკადრეს მას ამ ბოლო წლებში თეატრალებმა... მაყურებელს რუსთაველის თეატრის ერთფეროვნება დიდი ხნის წინ მობეზრდა, VIP მაყურებელი კი მხოლოდ პრემიერებზე დადის..."

მეც იგივე სიტყვებით უნდა დავიწყო, რაც ბოლოს მოყვანილ ციტატაშია: ამას წინათ რუსთაველის თეატრის დარბაზში ვიჯექი, ოღონდ ქ-ნ სოფოს შემთხვევისგან განსხვავებით, არა ნახევრად ცარიელ, არამედ გადაჭედილ დარბაზში, სადაც მხოლოდ ერთი ადგილი იყო თავისუფალი პარტერის შუაში, რომელსაც ორმოცდაათი დაცვის ბიჭი ნერვიულად ყარაულობდა და მერე ისიც შეივსო - მესამე მოქმედება ახალი დაწყებული იყო, როცა პრეზიდენტი მობრძანდა. მაყურებელი იმ სპექტაკლის სანახავად მოვიდა, რომელიც 610-ედ (ექვსასმეათედ!!) დაიდგა რუსთაველის თეატრის სცენაზე 30 (ოცდაათი) წლის განმავლობაში! აკი "მაყურებელს რუსთაველის თეატრის ერთფეროვნება დიდი ხნის წინ მობეზრდა"-ო?

მეტსაც გეტყვით, წინა დღეს ამ სპექტაკლის გენერალურ რეპეტიციაზე უფრო მეტი მაყურებელი მოვიდა, გადაჭედილი იყო ყველაზე მაღალი იარუსებიც კი, თეატრის ჭეშმარიტი გულშემატკივრები პარტერის გასასვლელებში და ამფითეატრის კიბეებზე ფეხზე იდგნენ... თეატრის ხელმძღვანელობამ მოზღვავებულ მსურველს კარი გაუღო, რადგან სხვანაირად ვერ მოიქცეოდა. მაყურებელთა შორის მნიშვნელოვნად ჭარბობდნენ ახალგაზრდები, სტუდენტები. ისინი "მობეზრებული ერთფეროვნების" - რობერტ სტურუას გენიალური სპექტაკლის - "კავკასიური ცარცის წრის" სანახავად მოვიდნენ, რათა კიდევ ერთხელ ეხილათ მსოფლიოს თეატრალური სცენის მშვენება - შეუდარებელი, ფანტასტიკური რამაზ ჩხიკვაძის აზდაკი, ერთადერთი მოსამართლე, რომელიც უყვარს ქართველ ხალხს, სამწუხაროდ!

რაც შეეხება ხსენებულ ე. წ. "VIP მაყურებელს", ისინი პრესტიჟულ ადგილებზე მრავლად იყვნენ მეორე დღეს, როცა ბილეთი არ იშოვებოდა. ამდენი პარლამენტარი არც ერთ სხდომაზე არ მინახავს პარლამენტში, ეტყობა, თავისი "კვოტა" ჰქონდათ ბილეთებზე, თორემ სალაროსთან რიგში ეგენი არავის უნახავს. მათ შემხედვარეს კოტე ყუბანეიშვილის "კოტესტროფი" გამახსენდა: "ცხოვრება ხდება ნეტარი, როცა ხარ პარლამენტარი!.." ბელეტაჟზე მქონდა ადგილი და ანტრაქტის დროს ზემოდან კარგად ჩანდა ზოგიერთი "ნეტარის" მთქნარება, დისკომფორტს განიცდიდნენ - თეატრის სავარძლების მოტრიალების ან გადაწოლის შესაძლებლობას მოკლებულნი იყვნენ, აქა-იქ გამოურთავ მობილურებს აწკარუნებდნენ, ერთი იმ დროს შეფუცხუნდნენ, როცა პრეზიდენტი მობრძანდა და თავი მისკენ იბრუნეს, სცენაზე კი აზდაკი მღეროდა: "ვინც თვლა არ იცის ოთხამდე კარგად, რვა კერძსა თქვლეფამს... რატომ?" ჩემთან ახლოს იჯდა ერთი მეტად კოლორიტული "ნეტარი" - პარლამენტარი, მისი სახე როგორ დამავიწყდება, რაც მე მაგის პასუხებზე ვიცინე ტელეეკრანთან, როცა ტელეკომპანია "202"-ის ეთერში მაშინ ჯერ კიდევ წამყვანმა - შალვა რამიშვილმა სამ საათზე მეტი იხითხითა! ისეთი "მარგალიტები" ბრძანა ამ უნიკალურმა "ნეტარმა", რომ მაგდენი ეროსის და რამაზის სპექტაკლებზე არ მიცინია. უსაყვარლესი ეროსის ხსენებაზე მინდა გავიხსენო ეროსი ჟურდენის როლში მოლიერის პიესაში "გააზნაურებული მდაბიო". კარგი იქნებოდა ეს სპექტაკლი დღეს რომ იდგმებოდეს რუსთაველის თეატრის სცენაზე. დღეს მისი საჭიროება უფრო გამოკვეთილია.

ამ სასიამოვნო მოგონებებიდან ისევ ქ-ნ სოფოს მორიგ ციტატას გამოვყავარ: "ვერც კი ვხვდებით, რომ ამგვარი მუდამ მადლიერი მზერით ჩვენს "აპოლონებს" (აი, კიდევ ერთი თიკუნი - საჩუქრად სოფოსგან!) იმის ნებას ვუსპობთ, რომ ნარცისიზმის ნაცვლად ახალ მწვერვალებს შეეჭიდონ და, თუნდაც უმრავლესობა დასავლელი კოლეგის მსგავსად, ყოველ წამს ამტკიცონ, რომ ისევ სიყვარულისა და პატივისცემის ღირსნი არიან. ასეთები ჩვენში ცოტანი არიან. თუ არიან, ხშირად მათი პერსონები მსუბუქად და ასაკთან შეუსაბამოდ გვეჩვენებიან..." ამის ქართულის მასწავლებელს კი ეკუთვნის ერთი კარგი გრანტი! - გ. გ.)

ასაკის თემა ავტორისთვის აშკარად პრიორიტეტულია. რაც შეეხება უფროსი თაობის არა სავარძლებს, არამედ ხელოვანთ და ზოგადად საზოგადოების ასაკოვან წევრებს, რომელთა "სეკვესტრსაც" სხვათა მიბაძვით ასე ხშირად ითხოვთ. ერთ სატელევიზიო გამოსვლაში რომელიღაც რესპონდენტმა ამას "ეიჯიზმის" (Age - ასაკი ინგლისურად) სინდრომი უწოდა. "Ageism"-ზე ქვემოთ მოგახსენებთ, მანამდე კი მინდა შეგეკითხოთ: რა ვქნათ ახლა თქვენის "მიხვედრილობით", რადგან ბატონ რამაზ ჩხიკვაძეს 78 წელი შეუსრულდა, ამიტომ მის მაგივრად აზდაკის როლში ვინმე სხვა ჯეელი, ვთქვათ, "რუსთავი 2"-ის "ცოცხალი შოუს" "ვარსკვლავი" ვათამაშოთ?

"Ageism"-ს მივუბრუნდეთ. ამერიკაში (სადაც ბევრჯერ ვყოფილვარ) ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ პოლიტკორექტულობას უკლებლივ ყველა სფეროში. PC - ანუ political correctness შეიცავს აგრეთვე "ეიჯიზმის" ცნებას, ოღონდ, ჩვენგან განსხვავებით, სრულიად საწინააღმდეგო შინაარსის მატარებელია. ამერიკელები თვლიან, რომ ხანდაზმული ასაკის მოქალაქე მეტად დასაფასებელია. ვინმე რომ მარტო მეტრიკის გამო გაათავისუფლო სამსახურიდან, სასამართლოში იჩივლებს და დამქირავებელს ძალიან დიდ თანხას მოუგებს. იქ არ ნიშნავენ უმაღლეს სასამართლოში ახალგამომცხვარ იურისტებს, რომელთაც წინა დღეს შეუსრულდათ 30 წელი. უმაღლესი რანგის მოსამართლეები პრაქტიკულად 60 წლის და მეტი ასაკის გახლავან. PC-ს ანუ პოლიტკორექტულობის დაუწერელი კანონის თანახმად, ამ ასაკის მოქალაქეებს არავინ მოიხსენიებს ხანდაზმულად, მით უმეტეს, ბებრებად. ისინი იწოდებიან ასე: senior citizens (უფროსი მოქალაქენი) ან mature persons (პირდაპირ რომ ვთარგმნოთ - მომწიფებული პიროვნება. ისე უპრიანია, გადმოვაქართულოთ და მივიღებთ დაღვინებულ პიროვნებას). სიბერეს რაც შეეხება, მასაც თავისი სახელი აქვს - golden years - ოქროს წლები).

"თავკომბალა ხელოვნების" უმწიფარი ავტორი გვიკიჟინებს, რომ ქართული ხელოვნების კორიფეების ოქროს წლები მოვაყოლოთ "სეკვესტრში" და მოვახდინოთ "ოპტიმიზაცია"...

კიდევ ერთი ციტატა ბატონ რობერტ სტურუას იმავე ინტერვიუდან: "ახლა უფრო ის მადარდებს, რომ დრო ცოტა დამრჩენია, არადა უფრო მეტი ვიცი... ამაზე მართლა ვღელავ."

ბოლო აკორდი - კატეგორიული ფინალი "თავკომბალა ხელოვნებიდან" და მეტად აღარ დავღლი მკითხველს: "ჩვენ ჯერ ისევ სერიოზული და დაღლილი სახეები მოგვწონს, რომლებსაც უკან გმირული წარსული დასთრევთ" (როგორი მიგნებული სიტყვაა? - გ. გ.). "...ამიტომ ფერთა პალიტრას ქართულ ხელოვნებაში ნურავინ დაელოდება." ეს ის შემთხვევაა, როცა ამ "პროგნოზის" ავტორს არავინ ეტყვის, შენ პირს შაქარიო, ალბათ უფრო სხვა სასუსნავს შესთავაზებენ.

"თავკომბალას" ავტორისგან განსხვავებულ პროგნოზს აკეთებს მრავლისმნახველი მაესტრო სტურუა: "საერთოდ, ძალზე ოპტიმისტი ვარ გულის სიღრმეში. როგორც ყველა ქართველს, მეჩვენება, ყველაფერი მაინც კარგად იქნება".

მინდა მეც ამ იმედიან ნოტზე დაგემშვიდობოთ.

მოკლედ

## თურქული თეატრი თბილისში

რუსთაველის თეატრში იზმირის სახელმწიფო თეატრი მოლიერის პიესას "ტარტიუფს" წარმოადგენს. სპექტაკლის რეჟისორია გია ანთაძე.

როგორც რუთაველის თეატრის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა თამარ ბოკუჩავამ განაცხადა, გია ანთაძე 5 რეჟისორთან ერთად 7 წლის წინ თურქეთში გაემგზავრა და იქ საკმაოდ ცნობილი და წარმატებული სამსახიობო სკოლა დააარსა.

"სკოლის "აღზრდილები" დიდი პოპულარობით სარგებლობენ თურქეთში. გარდა ამისა, ქართველმა რეჟისორებმა და თურქი მსახიობების ჯგუფმა იზმირის თეატრსაც ჩაუყარეს საფუძველი", - განაცხადა ბოკუჩავამ.

მისი თქმით, საქართველოში თურქული თეატრი პირველად მართავს წარმოდგენას. ეს იქნება პირველი შემთხვევა, როცა თბილისში სპექტაკლს მთლიანად თურქულ ენაზე ითამაშებენ.

*ჯი-ეიჩ-ენი*

TV5MONDE

### 6 აპრილი

6 აპრილი. **07.00, 09.00,** 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.15, 21.00, 01.00,** 01.45(შვეიცარია), 04.00(აფრიკა), **05.10** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.30** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.30** ძროხის ხორცი. დოკ. ფილმი. **09.30** ტელედილა. **11.30** ეკატერინე. სერიალი. **12.35** გადაცემა: გურმანი. **13.15** ევროპის ფაუნა. დოკ. ფილმი. **15.05** TV5-ის სამყარო. **16.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **17.30** მკვლელობის ღამე. სერიალი. **19.35** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **21.30** თაღლითი. მხ ფილმი. რეჟისორი ჟან-დომინიკ დე ლა როშფუკო. **24.00** ურჩხული. მხ ფილმი. რეჟისორი ფილიპ დე ბროკა. 2004. **05.40** არტ-რეპორტაჟი.

## სარეკლამო განცხადება

აშშ საელჩო, თბილისი, საქართველო
2006 წლის 8 აპრილს, აშშ საელჩო თბილისში აწყობს ღია აუქციონს.
აუქციონზე წარმოდგენილი იქნება ნახმარი და დაზიანებული საყოფაცხოვრებო ავეჯი. მოწყობილობები, სანტექნიკური ფიტინგების აქსესუარები და აგრეთვე დაზიანებული ავტომანქანები.
- აუქციონზე წარმოდგენილი ყველა ნივთი იყიდება "არსებულ მდგომარეობაში" ნებისმიერი გარანტიის გარეშე.
- მყიდველი საჭიროების შემთხვევაში პასუხისმგებელია აუქციონზე გამოტანილი ნივთების შემდგომ განბაჟებაზე და სრულად იხდის საბაჟო გადასახადებს.
- დაინტერესებულ პირთათვის ნივთების დათვალიერება მოხდება მხოლოდ აუქციონის დღეს დილის 9.00-დან 11.00 საათამდე.
აუქციონი (ბიდინგი) დაიქყება დილის 11.00 საათზე.
აუქციონი ჩატარედება შემდეგ მისამართზე:
ლილო. რუსთაველის ქ 4. აშშ სალჩოს საწყობის ტერიტორია.
ცნობებისათ ის დარეკეთ: 27 70 00. შიდა 7201. 899 977810.

## გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



გთავაზობთ:
- აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა
- "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

მისამართი: ი.ჭავჭავაძის 78
ტელ: 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge







## სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

24 საათი B
© გაზეთი 24 საათი

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა
"ბიზნესში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:

ენერგობლოკადიდან ღვინის ემბარგომდე B2

აშშ-ს საფონდო ბირჟაზე ზრდა დაიწყო

ქვირფასი ლითონი გაიაფდა

Goodyear-მა ორი ქარხანა დახურა

უსწრაფეს ავტომობილს კონკურენტი გამოუჩნდა B3



რუსეთისთვის აშშ-ს გეგმა მიუღებელია

ქონების პირდაპირი მიყიდვა 2 წლის ვადით? B4

## ეკონომიკური რეფორმები საქართველოში

ნუგზარ ხუჭუა
*ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი*

*თხუთმეტი წელია, რაც საქართველოში ეკონომიკური რეფორმა მიმდინარეობს. იგი ნაბიჯ-ნაბიჯ, არათანმიმდევრულად, შეიძლება ითქვას, ერთობ ახირებულადაც კი ხორციელდება. თუ შედარებას მოვიშველიებთ, იგი ბრმასავით დაეხეტება. ჯერ ერთ გზას ირჩევს და ივლის მანამ, სანამ კლდეს ან ხრამს არ წააწყდება ... შუბლს რომ მიახლის ან ფეხს რომ იღრძობს, მაშინ მიხვდება, რომ ამ გზაზე სიარული არ ვარგებულაო, და მეორე, სხვა გზას ირჩევს, რომელზედაც ახალი კლდე ან ხრამი ხვდება. აქაც რომ ხიფათი დაემართება, ბრუნდება და თავის ბედს ახალ, მესამე გზას მიანდობს, შემდეგ მეოთხეს, მეხუთეს და ასე შემდეგ. ასე დაეხეტება საქართველო ეკონომიკური რეფორმების გზაზე, ერთი შეცდომიდან მეორემდე, მეორიდან მესამემდე და ასე შემდეგ. ვინ იცის როდის ეღირსება მას იმ გზაზე დადგომა, რომელზედაც უხიფათოდ, დაუბრკოლებლად ივლის. ამ ბედნიერებისაგან ჯერჯერობით მეტისმეტად შორს ვართ.*

- პოლონეთში განხორციელებულ ეკონომიკურ რეფორმებს სათავეში ვიცე-პრემიერი და ფინანსთა მინისტრი ლეშეკ ბალცეროვიჩი ედგა, რომელმაც შეძლო პოლონეთი ერთ-ერთ წარმატებულ და განვითარებულ ქვეყნად ექცია. ამჟამად იგი პოლონეთის ცენტრალური ეროვნული ბანკის პრეზიდენტია. საქართველოში დაწყებულ ეკონომიკურ რეფორმებს სათავეში რომან გოცირიძე ედგა. ამჟამად ისიც საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტია.
- ეკონომიკურ რეფორმებზე განუზომლად დიდი იყო პოლონური გამოცდილების და პოლონელი ეკონომისტების ზეგავლენა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პოლონეთი ის პირველი ქვეყანა გახდა, სადაც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა "შოკური თერაპიის" მეთოდით დაიწყო.

B3

## პრეზიდენტი თანამედროვე შაჰ აბასებს ბრძოლას კახეთიდან უცხადებს

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

*საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი რუსეთის მიერ ქართული ღვინის სახელის შებღალვას საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობაზე შეტევას უწოდებს. მისი თქმით, რაც შაჰ აბასმა ქართულ ვაზს ვერ დააკლო, ამას რუსეთი ცდილობს. სწორედ ამის გამო, ქვეყნის პირველი პირი "თანამედროვე შაჰაბასების" წინააღმდეგ ბრძოლას საერთაშორისო არენაზე აპირებს. პირველი ნაბიჯი გადადგმულია, ქართული ღვინის მწარმოებელი ასოციაციები "როსპოტრებნადზორის" წინააღმდეგ სარჩელს ამზადებენ. მანამდე კი პრეზიდენტი მოსკოვში პრემიერ-მინისტრს გზავნის.*

**სანამ ურემი ბოლომდე გადატრიალდება, პრეზიდენტი რუსეთში პრემიერ-მინისტრს მალალჩინოსნებთან მოსალაპარაკებლად გზავნის. ღვინის მწარმოებელი კომპანიები კი რუსულ ბაზარზე ლეგალური გზით დამკვიდრებას სასამართლოს ძალით ცდილობენ.**



B3

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3049 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 2,0095 |
| 1 | არაბული დირხამი | AED | 0,4972 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,8260 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8491 |
| 1 | ბულგარული ლეი | BGL | 1,1350 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,2974 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3184 |
| 1 | ევრო | EUR | 2,2201 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4186 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3512 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,3652 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1552 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,1849 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1999 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2523 |
| 1 | ისრაელის სეკელი | ILS | 0,3940 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,5564 |
| 1 | ლატვიური ლატი | LVL | 3,1321 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,3708 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,4025 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2821 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5638 |
| 10000 | რუმინული ლეი | ROL | 0,6135 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0659 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1313 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4051 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5682 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,5091 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,6086 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8403 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,2526 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1420 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4434 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2366 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4032 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0780 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2278 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2353 |




## სატარიფო თამაში და პოლიტიკა

### ელექტროენერგიის გაძვირება გარდაუვალია

ნინო ნატროშვილი

*1 მაისიდან ბუნებრივი აირის ტარიფი თბილისის მოსახლეობისათვის 34,20 თეთრამდე გაიზრდება. ხელისუფლების მიერ ბიუჯეტიდან გაღებული სუბსიდირების რეგლამენტი ამ დროისათვის იწურება.*

**ამ ეტაპზე, ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდის მოთხოვნით, სემეკისთვის ოფიციალურად არც ერთ სადისტრიბუციო კომპანიას არ მიუმართავს. თუმცა ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ტარიფის ზრდაზე განაცხადი, შესაძლოა, თელასმა გააკეთოს.**

B4

## ათენში ქართულ-ბერძნული ბიზნეს-ფორუმი დაიწყო



დღეს საბერძნეთის დედაქალაქ ათენში მუშაობას იწყებს ქართულ-ბერძნული ბიზნეს-ფორუმი, რომელიც 8 აპრილამდე გასტანს. ქართულ დელეგაციას ათენში ეკონომიკური განვითარების მინისტრი ირაკლი ჩოგოვაძე ხელმძღვანელობს, რომელიც ფორუმზე საპრივატიზაციოდ გამოცხადებული მსხვილ ენერგეტიკულ და საკომუნიკაციო ობიექტებს წარადგენს. ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში ქართული მხარე საბერძნეთის ხელისუფლების ეკონომიკურ გუნდსა და ბიზნესწრეების წარმომადგენლებს ასევე წარუდგენს საქართველოს ეკონომიკური პოტენციალის სხვადასხვა მონაცემს, ტურისტულ შესაძლებლობებსა და საინვესტიციო, საკანონმდებლო და საპრივატიზაციო გარემოს.

ეკონომიკური განვითარების სამინისტროში იმედს გამოთქვამენ, რომ ათენში დაგეგმილი ფორუმის შემდეგ ენერგოკომპანიების, ჰესების და სს "ელექტროკავშირის" პრივატიზების მსურველთა არეალი გაფართოვდება.

აღნიშნული ობიექტების პრივატიზების პროცესის დასრულებას საქართველოს მთავრობა მიმდინარე წლის ზაფხულის ბოლოსთვის ვარაუდობს. **"24 საათი"**

## აზერბაიჯანი, თურქეთი და და საქართველო ყარსი-თბილისი-ბაქოს პროექტში მიიღებენ მონაწილეობას

რეგიონალური საერთაშორისო პროექტების შესახებ ისაუბრეს აზერბაიჯანისა და თურქეთის პრეზიდენტებმა ბაქოში გამართულ მოლაპარაკებებზე. როგორც შეხვედრის შემდეგ აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა ჟურნალისტებს განუცხადა, საუბარი შეეხო ისეთ პროექტებს, როგორიცაა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, სამხრეთკავკასიური მაგისტრალური გაზსადენი და ყარსი-თბილისი-ბაქოს სარკინიგზო მაგისტრალი. მისი თქმით, ზემოხსენებული პირველი ორი პროექტის განხორციელება წარმატებით მიმდინარეობს და შეთანხმებულ ვადებში შევა ექსპლუატაციაში.

ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს სარკინიგზო პროექტის შესახებ ალიევმა განაცხადა, რომ ამ საკითხთან მიმართებაში პროექტში მონაწილე სამ ქვეყანას შორის აზრთა სხვადასხვაობა არ არსებობს, აზერბაიჯანი, თურქეთი და საქართველო რკინიგზის მშენებლობის პროცესში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## საწვავის ხარისხის უკონტროლობით კეთილსინდისიერი მეწარმის უფლებები ილახება

ქვეყანაში არ არსებობს ნავთობპროდუქტების თანამედროვე ევროპული სტანდარტების შესაბამისი ლაბორატორია, რომელიც ობიექტურად და კვალიფიციურად შეისწავლის ნავთობპროდუქტების ხარისხს, - განაცხადა ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის თავმჯდომარე ვანო მთვრალაშვილმა. მისი თქმით, ამის გამო ვერ ხერხდება კეთილსინდისიერი მეწარმის, უპირველეს ყოვლისა კი, მომხმარებლის უფლებების დაცვა.

"ნავთობპროდუქტების ბაზარზე უხარისხო ბენზინის, დიზელის და სამანქანო ზეთის რეალიზაცია უარყოფით გავლენას ახდენს ეკოლოგიაზე, ჯანმრთელობაზე, მომხმარებელზე," - აცხადებს მთვრალაშვილი.

ამასთან, უხარისხო საწვავის რეალიზაცია თავისთავად არაკონკურენტუნარიანს ხდის კეთილსინდისიერ მეწარმეს, ვინაიდან დაბალი ხარისხის საწვავის თვითღირებულება გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ხარისხიანისა. ხშირია ავტოგასამართი სადგურების მიერ დაბალი ოქტანობის მქონე (ოქტანური რიცხვი ბენზინის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია) საწვავის რეალიზაცია მაღალი ოქტანობის მქონე საწვავად, შესაბამისად, უფრო მაღალ ფასში. ანალოგიური სიტუაციაა დიზელის საწვავთან დაკავშირებითაც.

"ვფიქრობთ, რომ როგორც საწვავის, ასევე სამანქანო ზეთების ხარისხის კონტროლი პრიორიტეტული ამოცანა უნდა იყოს ამ სფეროში," - განაცხადა მთვრალაშვილმა. გამოსავალს ვანო მთვრალაშვილი ხარისხის მაკონტროლებელი ორგანოს, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი რგოლის შექმნაში ხედავს.

"სახელმწიფომ საგანგებოდ უნდა იფიქროს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ლაბორატორიის შექმნაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, საწვავის ხარისხის კონტროლი შეუძლებელი იქნება," - თქვა მან. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## "თბილისის საიუველირო ქარხანა" გასაყიდად მომავალ კვირას გამოცხადდება

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო შპს "თბილისის საიუველირო ქარხანას" მომავალ კვირას გასაყიდად გამოიტანს. სამინისტროს ინფორმაციით, ქარხნის გაყიდვის წესი აუქციონია, ხოლო მისი საწყისი საპრივატიზებო ღირებულება 2 მილიონი აშშ დოლარია. ქარხნის პროფილია საიუველირო ნაკეთობათა დამზადება და რეალიზაცია. მისი საწესდებო კაპიტალი 8,7 მლნ ლარს შეადგენს, ხოლო სახელმწიფოს წილი საწესდებო კაპიტალში 100%-ს შეადგენს. საწარმოს გააჩნია 11 190 ლარის დებიტორული და 89 298 ლარის კრედიტორული დავალიანებები. "თბილისის საიუველირო ქარხნის" შენობა-ნაგებობების საერთო ფართობი 9 064 კვადრატული მეტრია, მიწის ფართობი - 26 795 კვადრატული მეტრი. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ინფორმაციით, ქარხნის შეძენის მსურველთა განაცხადების მიღება სამინისტროში 13 აპრილიდან 16 მაისამდე მოხდება, ხოლო ქარხნის გასაყიდი აუქციონი 16 მაისს გაიმართება. **პრაიმ-ნიუსი**

# პრეზიდენტი თანამედროვე შაჰ აბასებს ბრძოლას კახეთიდან უცხადებს

პირველი გვერდიდან

ოფიციალური რუსეთის მიერ მის ბაზარზე, ქრთული ღვინის აკრძალვა თავიდან ყველაზე მტკივნეულად კახელმა გლეხებმა განიცადეს, რადგან მათ ნაშრომს ფასის დაკარგვა ემუქრებოდა, მაგრამ ამჯერად რუსების მუქარას უკვე არ უშინდებიან და შვილივით ნაზარდი ვაზის გაჩეხვას არ აპირებენ. თუ მათ ვაზის გადაშენების გადაწყვეტილება მიიღეს, ამას არა რუსეთი, არამედ საწვავის და პესტიციდების სიძვირე გამოიწვევს. **"რის ვაი-ვაგლახით ვუვლით ვენახებს. ჯერ იყო და უვარგისი შხამ-ქიმიკატები, ახლა კი საწვავის სიძვირე. მთავრობა სწორედ ამ პრობლემის მოგვარებაში უნდა დაგვეხმაროს და ვერავის მუქარა ველარ შეგვაშინებს",** - ამბობს კოლაგელი ვახტანგ ბერიკაშვილი. წინანდლელი ვაჟა ნიკოლაშვილისთვის კი მთავარი სოფლის ტექნიკით მომარაგებაა, თორემ რა გემოც აქვს ქართულ ღვინოს და ჭაჭას, ამის ფასი რუსეთმაც კარგად იცისო, ამბობს. **"თუ მექანიზაციას მოგვახმართ, ჩვენ შრომას არ დავიზარებთ და სახელმწიფოს უამრავ ყურძენს ჩავაბარებთ. ჩვენი ბიზნესმენები კი ჩინეთში და სხვა ქვეყნებში გავლენ და სვან მერე რუსებმა უხარისხო ღვინო",** - ასე აიმედებდა ქვეყნის პირველ პირს ვაჟა ნიკოლაშვილი, რომლის ოჯახსაც მიხეილ სააკაშვილი მოულოდნელად ესტუმრა. მასპინძელმა პრეზიდენტი თავის მარანში მიიპატიჟა და გლეხური ტექნოლოგიებით დამზადებული "რქაწითელი" და "საფერავი" დააჭაშნიკებინა. ვაჟა ნიკოლაშვილმა სპეციალურად პრეზიდენტის პატივსაცემად 500 ლიტრიანი კასრი გახსნა. **"საქართველოს წელში გატეხვას და კახური ვაზის ამოძირკვას ჯერ კიდევ შაჰ აბასი ცდილობდა, მაგრამ მან ეს ვერ მოახერხა. ახლა კი თანამედროვე შაჰ აბასებს არ მივცემთ იმის უფლებას, რომ კახეთში ნაწარმოები ღვინის რეალიზებას ხელი შეუშალოს და ეს კუთხე დაჩაგროს",** - პირობა მისცა კახელებს



პრეზიდენტმა სააკაშვილმა. საქართველოს მთავრობა ღვინის ბაზრის დამკვიდრებისთვის საერთაშორისო არენის გამოყენებას აპირებს და ამისთვის ქვეყნის ყულაბიდან თანხებსაც გაიღებს. ასეთი გადაწყვეტილება პრეზიდენტმა გუშინ, "თელიანი ველში" გამართულ მეღვინეების ასოციაციის გასვლით სხდომაზე მიიღო. **"სრული პასუხისმგებლობით მინდა განვაცხადო, რომ არც ერთი საწარმოს გაჩერებას არ დავუშვებთ. საქართველოს მთავრობა შეძლებს და ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ეს პრობლემები ერთობლივი ქმედებით მოგვარდეს. ყველანაირი რესურსის მობილიზება მოხდება, ქართული პროდუქტის რეკლამირებისთვის, მსოფლიო ბაზარზე შესასვლელად და ხარისხის გასაუმჯობესებლად თანხებსაც გამოვყოფთ",** - აცხადებს პრეზიდენტი და იმედოვნებს, რომ საქართველო ამით ახალ ბაზრებს მოიპოვებს და ძველსაც დაიბრუნებს.

ქართული ღვინის პოპულარიზაციისთვის მიხეილ სააკაშვილი თბილისში მსოფლიოს მეღვინეების ფორუმის გამართვას გეგმავს. **"ჩილე, ავსტრალია და სამხრეთ აფრიკა მსოფლიო ბაზარზე ნულიდან გავიდნენ. ამ ქვეყნების ღვინოებს არავინ იცნობდა. საქართველოც ისევე გავა, როგორც ყველა განვითარებული ქვეყანა. ამას უნდა საკუთარი ძალების რწმენა და დღე და ღამე მუშაობა",** - აცხადებს პრეზიდენტი.

სანამ ურემი ბოლომდე გადატრიალდება, პრეზიდენტი რუსეთში პრემიერ-მინისტრს მაღალჩინოსნებთან მოსალაპარაკებლად გზავნის. ღვინის მწარმოებელი კომპანიები კი რუსულ ბაზარზე ლეგალური გზით დამკვიდრებას სასამართლოს ძალით ცდილობენ. **"როგორ შეიძლება, ქართულ ღვინოზე თქვა, რომ ჯანმრთელობისთვის საზიანოა?! ეს რუსეთის მხრიდან წმინდად პოლიტიკური შეფასებაა. ამ პრობლემის მოგვარებაში მთავრობაც ჩართულია. ამას დღევანდელი დღეც მეტყველებს, პეზიდენტი მეღვინეობის ასოციაციას შეხვდა და ალტერნატიული ბაზრების მოსაძიებლად სამოქმედო გეგმებიც დავსახეთ. მზად ვართ რუსეთთან დიალოგისთვისაც",** - ამბობს კომპანია "თელიანი ველის" დირექტორი გიო ხუციშვილი.

პრეზიდენტის განცხადებით, ქართული ღვინოები ხარისხის და სტანდარტის დასამტკიცებლად უცხოეთის ლაბორატორიებში გაიგზავნება. **"ყველანაირი პრობლემა და გაჭირვება გაგვამაგრებს, პრესტიჟს და რეპუტაციას ისევე გავიუმჯობესებთ, როგორც არასდროს",** - იმედოვნებს სააკაშვილი.

# ენერგობლოკადიდან ღვინის ემბარგომდე

ანა შარვაძიძე

*"ღვინის ბლოკადის" ირგვლივ მოვლენები დინამიურად ვითარდება. თუმცა მალე ამ ტერმინის ნაცვლად "ალკოჰოლური ამბოხის" გამოყენება მოგვიწევს, რადგან რუსეთის ფედერაციის მთავარი სანიტარიული ექიმი გენადი ონიშჩენკო, ღვინოსთან ერთად, საქართველოდან და მოლდოვადან ყველანაირი ალკოჰოლური სასმელის შეტანის აკრძალვას მოითხოვს.*

4 აპრილს ონიშჩენკომ რუსეთის საბაჟო სამსახურის ხელმძღვანელს ალექსანდრე ჟერიხოვს წერილით მიმართა, რომელშიც ნათქვამია, რომ შემოწმებების შედეგად **"აღმოჩნდა, რომ საქართველოდან და რუსეთიდან შეტანილი ალკოჰოლური სასმელების უმრავლესობა არსებულ სტანდარტებს არ შეესაბამება."**

მოლდავური და ქართული ღვინოების რუსული მსხვილი იმპორტიორი კომპანიები კი რუსეთის სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურის უფროსის გენადი ონიშენკოს წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებენ. გაზეთ "კომერსანტის ცნობით, იმპორტიორები სანიტარიული ზედამხედველობის უფროსს ცილისწამებაში ადანაშაულებენ, რადგან მან ათი დღის წინ ქართული და მოლდავური ღვინოებისა და ღვინომასალების იმპორტი დაბალი ხარისხის მოტივით აკრძალა. ექსპერტების შეფასებით, იმპორტიორებს დავის მოგების მცირე შანსები აქვთ.

რუსი იმპორტიორების ზემოხსენებული განზრახვის შესახებ განცხადება ალკოჰოლური ბაზრის მონაწილეთა კავშირში გაკეთდა. იმპორტიორი კომპანიები აცხადებენ, რომ ქართული და მოლდავური ღვინოების აკრძალვის საფუძვლიანობის დასამტკიცებლად ონიშენკოს არც ერთი დოკუმენტი არ წარმოუდგენია. გარდა ამისა, კომპანიების ინფორმაციით, მათ იმ ღვინის რეალიზაციას უკრძალავენ, რომელზეც სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურის სერტიფიკატები უკვე გაცემულია.

რუსეთის ფედერაციაში, ომსკის რეგიონული პროკურატურა უხარისხო ალკოჰოლური პროდუქტების რეალიზაციის ადგილების კონტროლს ამკაცრებს. მეთვალყურე სტრუქტურის ეს სიახლე ეპიდემიოლოგებისთვის, რომლებმაც ერთი კვირის წინ სასმელების სავაჭრო წერტილების შემოწმება დაიწყეს, მოულოდნელი აღმოჩნდა. რუსეთის ალკოჰოლური სასმელების ბიზნესში დასაქმებული მეწარმეები ვარაუდობენ, რომ ამ საქმეში პროკურატურის ჩართვა წვრილი ფირმების გაკოტრებას გამოიწვევს. კონტროლის გაძლიერება რუსეთის ფედერაციის მთავარი სანიტარიული ექიმის - ონიშენკოს ქართული და მოლდავური ღვინოების უხარისხობის შესახებ გაკეთებულ განცხადებას მოჰყვა.

**"უკვე 15 წელიწადზე მეტია, რაც მოლდავეთის ალკოჰოლით ვვაჭრობ და მთელი ამ ხნის მანძილზე არც ერთი ადამიანი არ მოწამლულა. აგორებულ კამპანიას ალკოჰოლური სასმელების ბაზრის ხელახალი გადანაწილების სუნი ასდის,"** - ამბობს ერთ-ერთი რუსი მეწარმე. ექსპერტთა აზრით, ფედერალური ჩინოვნიკების ამ საკითხში გააქტიურებას შედეგად მოჰყვება ქართული და მოლდავური ალკოჰოლური სასმელების - ყუბანის, არგენტინის და ჩილეს მიერ წარმოებული სასმელებით ჩანაცვლება. **"თუმცა იქამდე, სავარაუდოდ, ალკოჰოლზე ფასი მოიმატებს,"** - განაცხადა სააქციო საზოგადოება "ომსკვიპრომის" გენერალურმა დირექტორმა ანდრეი სტრელეცმა.

სოფლის მეურნეობის მინისტრის მიხეილ სვიმონიშვილის ინფორმაციით, 27 მარტიდან რუსულ ბაზარზე არც ერთი დამატებითი ქართული ღვინის ბოთლი არ შესულა და დახლებიდან ქართული ღვინის ამოღება მასობრივად მიმდინარეობს.

შეგახსენებთ, რომ გენადი ანიშენკოს ბრძანებით, რუსულ ბაზარზე ქართული ღვინის იმპორტი არა მხოლოდ უნდა აიკრძალოს, არამედ სავაჭრო ქსელში მოხვედრილი ღვინოების რეალიზაციაც უნდა შეწყდეს.

როგორც გუშინ პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე ნიკო ლეკიშვილმა აღნიშნა, რუსული ბაზრიდან ქართული ღვინოების განდევნით ის რუსული ბიზნეს-ჯგუფები არიან დაინტერესებული, რომლებმაც სხვა ქვეყნებში, უმთავრესად კი ჩილესა და არგენტინაში, ღვინის ქარხნები ააშენეს. **"ეს ქარხნები უკვე ამუშავდა და ბუნებრივია, ხსენებული ბიზნეს-ჯგუფები ახლა რუსული ბაზრის დაპყრობას ცდილობენ. ლაპარაკია რუსული ბაზრიდან ქართული და მოლდოვური ღვინოების განდევნაზე, რომლებსაც ამ ბაზარზე დაბალი და საშუალო ნიშა უკავიათ. ძალიან დიდი სამუშაოა ჩასატარებელი იმისთვის, რომ ძირითადად, ჩილესა და არგენტინის ღვინოებზე მომუშავე კომპანიებმა არ დაგვჯაბნონ,"** - განაცხადა ნიკო ლეკიშვილმა.

ოქსფორდის ღვინის გიდისა და მსოფლიოს ღვინის ატლასის რედკოლეგიების წევრი, ნიუ-იორკის ღვინის საუკუნის კლუბის წევრი შალვა ხეცურიანი ქართული ღვინის გარშემო შექმნილი პრობლემის თაობაზე საქართველოს პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს ღია წერილით მიმართავს. **"არავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ რუსეთის მთავარი სანიტარიული სამსახურის ექიმის გადაწყვეტილება არის პოლიტიკური და ის შეიძლება უკავშირდებოდეს საქართველოსა და მოლდოვას პოზიციას რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. რუსეთის ალკოჰოლური ბაზრის წამყვანი ექსპერტები დარწმუნებული არიან, რომ მთავარი ფალსიფიკაცია შიგ რუსეთის ტერიტორიაზე მიმდინარეობს, და ფალსიფიცირებული ე.წ. "ქართული ღვინო" დღეს რუსეთში მეტი იწარმოება, ვიდრე საქართველოში,"** - ნათქვამია წერილში. ავტორი სინანულით აღნიშნავს, რომ **"თუ უახლოეს ვადაში არ გამოვუცხადეთ მსოფლიოს ღვინის საზოგადოებას, რომ გვაქვს ღვინის ეფექტური კანონმდებლობა და ღვინის ინფრასტრუქტურა, ჩვენი ღვინოები შეიძლება უიაფესი ღვინოების (მოლდოვას) სეგმენტში ჩამოვარდეს და მხოლოდ საბჭოთა ნოსტალგიის ატრიბუტად დარჩეს."** შალვა ხეცურიანი პრეზიდენტს მეღვინეობის განვითარების საკუთარ კონცეფციას აცნობს და განვითარების სამ გზას სთავაზობს: 1. ეროვნული გზა - წარმოების ეროვნულ ტრადიციებსა და ეროვნულ ჯიშებზე დამყარებული ღვინოების შექმნას გულისხმობს. 2. "ესპანური" გზა - წარმოების ევროპული ფილოსოფიისა და ეროვნული ჯიშების გამოყენებას გულისხმობს. 3. საერთაშორისო გზა - წარმოების ევროპული ფილოსოფიისა და საერთაშორისო ჯიშების გამოყენებას გულისხმობს. ქართული ღვინისადმი დღეს არსებულ დამოკიდებულებას ავტორი "მიკიტნურ ხედვას" უწოდებს და მიიჩნევს, რომ ღვინის ინსტიტუციების შექმნაა საჭირო.

## მთავრობა წყლის რესურსების მართვის კონცეფციას შეიმუშავებს

საქართველოს მთავრობა წყლის რესურსების მართვის მექანიზმებს ჩამოაყალიბებს, განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა ეკონომიკური განვითარების საკითხებში კახა ბენდუქიძემ მთავრობის ხუთშაბათის სხდომის შემდეგ. ბენდუქიძემ ამ თემაზე მოხსენება მთავრობის სხდომაზე გააკეთა. მისი თქმით, უნდა შეიქმნას მდინარეების და წყლის რესურსების მართვის ერთიანი მოდელი, რომელიც ყველა განვითარებულ ქვეყანაში არსებობს. ბენდუქიძე რესურსების მართვის მიზნით 3-4 ორგანიზაციის შექმნას ვარაუდობს, მაგრამ არ იცის, იქნება ეს სახელმწიფო, კერძო სტრუქტურა თუ საჯარო სამართლის იურიდიული პირი. ბენდუქიძემ ასევე აღნიშნა, რომ საქართველო ჰიდროპოტენციალით ევროპაში მეორე ადგილზეა. პრემიერმინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა ამ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ წყლის რესურსების მარეგულირებელმა ორგანიზაციებმა წყლის რესურსების მართვასთან ერთად უნდა იზრუნონ მდინარეების ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარებაზეც. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## ნავთობის ფასი 2006 წლის პირველ კვარტალში 1,3-ჯერ გაიზარდა

მსოფლიო ბაზარზე ნავთობის საშუალო ფასი 2006 წლის პირველ კვარტალში 2005 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ბ1,3-ჯერ გაიზარდა, - ამის შესახებ სააგენტო "ტრენდი" ნავთობის საერთაშორისო კომპანია BP Plc.-ის ანგარიშზე დაყრდნობით აცხადებს.

BP-ს ექსპერტების შეფასებით, 2006 წელს Dated Brent-ის მარკის ეთილის ნავთობის ფასმა ერთ ბარელზე $61,79 შეადგინა და შესაბამისად, 2005 წლის პირველი კვარტლის ფასს 29,8%-ით (აღნიშნული მარკის ნავთობის ფასი 2005 წელს მისი ფასი ერთ ბარელზე $47,62 იყო) აღემატება. ამასთანავე 2005 წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით Brent-ის მარკის ნავთობის ფასი 2006 წლის პირველი სამი თვის ფასები 8,7%-ით გაიზარდა. 2005 წლის მეოთხე კვარტალში ამ მარკის ნავთობის ფასი ერთ ბარელზე საშუალოდ $56,87 შეადგენდა. BP-ს ექსპერტების შეფასებით, 2006 წლის პირველ კვარტალში WTI (Light Sweet) მარკის ეთილის ნავთობის საშუალო ფასი ბარელზე $63,29 იყო, რაც 27%-ით მეტია 2005 წლის პირველი კვარტლის ფასთან შედარებით. WTI მარკის ნავთობის ფასი 2006 წლის პირველი სამი თვის განმავლობაში 2005 წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით 9,3%-ით გაიზარდა. ამ მარკის ნავთობის ფასმა ერთ ბარელზე 2005 წლის მეოთხე კვარტალში $60,01 შეადგინა. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## გუდაური-კობის მონაკვეთზე მოძრაობის რეჟიმი შეიცვალა

მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის საავტომობილო გზის გუდაური (ფოსტა)-კობის მონაკვეთზე ზვავსაშიშროების გამო, ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა დილის 12:00 სთ-დან - საღამოს 17:00 სთ-მდე აკრძალულია. როგორც საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის პრესცენტრში განაცხადეს, ზვავსაშიშროების შესახებ ინფორმაცია ჰიდრომეტცენტრიდან მიიღეს, შესაბამისად, დღე-ღამის დარჩენილ პერიოდში მისაბმელიანი და ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია, ხოლო 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა 17:00-დან 12:00 საათამდე დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით, ზვავდამცავი გვირაბების გავლით, ცალმხრივად გუდაურიდან კობის ან კობიდან გუდაურის მიმართულებით. დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია. ჯვრის უღელტეხილიკობის მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის მოძრაობისას იკრძალება ავტომანქანების გაჩერება. როგორც საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის პრესცენტრში განმარტავენ, მოძრაობის მიმართულების რეჟიმის რეგულირება ხორციელდება საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის უშუალო კოორდინაციითა და ზედამხედველობით ადგილზე შექმნილი ვითარების შესაბამისად. გზის დანარჩენ მონაკვეთში ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## ეროვნულმა ბანკმა საბანკო საზედამხედველო საქმიანობის შესახებ ცნობარი გამოსცა

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა საბანკო საზედამხედველო საქმიანობის შესახებ ცნობარი გამოსცა. აღნიშნული ცნობარით საქართველოს ეროვნული ბანკი იწყებს ბროშურების სერიის გამოშვებას, რომელიც ეროვნული ბანკის საქმიანობასა და ფუნქციებს შეეხება. თითოეული ბროშურა საბანკო საქმის ერთი, კონკრეტული სფეროს თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს მიმოიხილავს.

საბანკო ზედამხედველობის საქმიანობის შესახებ ცნობარში მოკლედ არის წარმოდგენილი კომერციული ბანკების ზედამხედველობის საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებული ზოგადი პრინციპები, რომლებითაც საქართველოს ეროვნული ბანკი საბანკო საზედამხედველო საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობს.

ცნობარში განხილულია საბანკო ზედამხედველობის საკვანძო საკითხები. იგი განკუთვნილია საქართველოს ეროვნული ბანკის თანამშრომლების, ამ უწყებასთან თავიანთი საქმიანობით დაკავშირებული სხვადასხვა სტრუქტურების წარმომადგენლებისა და საბანკო ზედამხედველობის თემატიკით დაინტერესებული პირებისთვის. დაინტერესებული მკითხველი ცნობარში ასევე გაეცნობა საქართველოს კომერციული ბანკებისთვის დადგენილ ეკონომიკურ ნორმატივებსა და ლიმიტებს. **ინტერპრესნიუსი**

## ევროპის უმსხვილესმა კომპანიებმა ახალ ქართულ მონეტებზე მუშაობა დაიწყეს

რამდენიმე თვის მოსამზადებელი სამუშაოების შემდეგ, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ევროპის წამყვან ზარაფხანებთან გააფორმა ხელშეკრულებები 50 თეთრის, 1 ლარისა და 2 ლარის ნომინალის მონეტების მოჭრის შესახებ. 50 თეთრის ღირებულების მონეტას დაამზადებს ავსტრიის ცენტრალურ ბანკთან არსებული ზარაფხანა, 1 ლარის მონეტას "ჰოლანდიის სამეფო ზარაფხანა", ხოლო 2 ლარის მონეტას ბრიტანეთის სამეფო ზარაფხანა. მონეტები მიმოქცევაში მიმდინარე წლის ბოლოს გავა. 1 და 2 ლარის ლითონის მონეტების შესაბამის ქაღალდის ფულთან ერთად პარალელურ ბრუნვაში გაშვება იძლევა 2 მლნ ლარის ეკონომიას, ბანკნოტების ბეჭდვის ხარჯების შემცირების გამო. **ჯი-ეიჩ-ენი**

## პარლამენტში საქართველოს რკინიგზის განვითარების კონცეფცია მოიწონეს

შპს "საქართველოს რკინიგზის" გენერალურმა დირექტორმა ირაკლი ეზუგბაიამ პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური განვითარების კომიტეტს საქართველოს რკინიგზის განვითარების კონცეფცია წარუდგინა. როგორც ეზუგბაიამ კომიტეტის სხდომაზე განაცხადა, უახლოესი 5 წლის განმავლობაში იგეგმება საქართველოს რკინიგზაზე ტვირთბრუნვის გაზრდა და ამისათვის საჭირო ინვესტიციების განხორციელება. ეზუგბაიას აზრით, ტვირთბრუნვის 30 ტონამდე გაზრდისათვის, უახლოესი 5 წლის განმავლობაში გათვალისწინებულია 100 მლნ. დოლარის ინვესტიციის განხორციელება. ამასთან, საქართველოს რკინიგზის მენეჯმენტი გეგმავს გადაზიდვების შემცირებასა და სწრაფ მატარებლებზე გადასვლას. ეზუგბაიას განცხადებით, არ იგეგმება მოახლოებული ზაფხულისათვის სამგზავრო გადაზიდვებზე არსებული ფასების შემცირება. იგივე ფასები დარჩება ახალ მატარებელზე.

მისივე თქმით, "საქართველოს რკინიგზის მენეჯმენტის გადაწყვეტილებით, თანამშრომლების სტიმულირების მიზნით განხორციელდა მათი ხელფასების 25%-იანი ზრდა. აგრეთვე, საქართველოს რკინიგზის 15 000 თანამშრომელი ორგანიზაციამ დააზღვია. კერძოდ, საქართველოს რკინიგზის თითოეულ თანამშრომელს შესაძლებლობა აქვს წელიწადში 3 700-ლარიანი დაზღვევის პაკეტით ისარგებლოს". პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური განვითარების კომიტეტმა საქართველოს რკინიგზის განვითარების კონცეფცია მოიწონა. როგორც კომიტეტის თავმჯდომარემ ნიკო ლეკიშვილმა განაცხადა, კონცეფცია საკმაოდ კონკრეტული და დეტალურია. **ინტერპრესნიუსი**

# ეკონომიკური რეფორმები საქართველოში


რომან გოცირიძე


ლეშეკ ბალცეროვიჩი

პირველი გვერდიდან

მიზეზი ის გახლავთ, რომ რეფორმატორები ხშირ შემთხვევაში არაეკონომისტები, არაპროფესიონალები იყვნენ, რომლებიც არაფრად აგდებდნენ ქართველ ეკონომისტების პროფესიონალურ რჩევებს და ვერ ჩამოდიოდნენ "შოკური თერაპიის" ორთოდოქსული სცენიდან. შესაბამისად, რეფორმების შედეგები ერთობ სავალალო იყო. რაც გამოიხატებოდა წარმოების დაცემით, ფასების ზრდით, რეალური შემოსავლების შემცირებითა და მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ცხოვრების დონის გაუარესებით.

ეს ტენდენცია სამწუხაროდ დღესაც გრძელდება. საუბარია ხელისუფლების მიერ მეცნიერ-ეკონომისტების და საერთოდ მეცნიერების მოსაზრებების უგულებელყოფაზე. კერძოდ, ზოგიერთი სამეცნიერო- კვლევითი ინსტიტუტი მთავრობის დადგენილებით საერთოდ გაუქმდა, ზოგიერთს დაფინანსება შეუწყვიტეს, ხოლო დარჩენილები რეორგანიზაციის რეჟიმში აგრძელებენ მუშაობას. ცხადია ასეთ პირობებში დისკუსია საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმის შესახებ არა თუ შენელდა, არამედ საერთოდ შეწყდა.

ეკონომიკური რეფორმების დასაწყისში საზოგადოებისათვის უცნობი იყო საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ალტერნატიული გზების შესახებ. დღეისათვის საკმაოდ ვრცელი ემპირიული მასალებისა და იმ მეცნიერთა შრომებზე დაყრდნობით, რომელთა რეფარმატორულ მისწრაფებაში ეჭვი არავის ებადება, გამოიკვეთა საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის ორი გზა. ეს გზები ერთმანეთისაგან, უწინარეს ყოვლისა, საჭირო ღონისძიებების დროში განხორციელების სისწრაფით განსხვავდება. თუ ერთ შემთხვევაში უპირატესობა რადიკალური რეფორმების უმოკლეს ვადებში განხორციელებას ენიჭება, მეორე შემთხვევა ითვალისწინებს გარდაქმნების ეტაპობრივად, თანდათანობით განხორციელებას. შესაბამისად, პირველმა მიმართულებამ მიიღო სახელწოდება "დიდი დარტყმა", "დიდი აფეთქება" ანუ "შოკური თერაპია". მისი მეცნიერული სახელწოდებაა - რადიკალურ ლიბერალური მოდელი, ხოლო მეორე მიმირთულება ცნობილია თანდათანობითი რეფორმირების ანუ გრადუალიზმის სახელწოდებით, მისი მეცნიერული ფორმულაა -რეფორმირების ალტერნატიული მოდელი.

ამ საკითხთან დაკავშირებით, საყურადღებოა ამერიკელი ეკონომისტის, ნობელის პრემიის ლაურიატის ლ. კლეინის მოსაზრება: იგი აღნიშნავს, რომ "შეიძლება განვიხილოთ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ორი სტრატეგია. სტრატეგია A - ორგანული განვითარებისათვის და სტრატეგია B - დაჩქარებული პრივატიზაციისათვის. თუ სტრატეგია A უპირატესობას კერძო სექტორის ჯანსაღ განვითარებას ანიჭებს, სტრატეგია B - სახელმწიო ქონბის სწრაფ ლიკვიდაციას გულისხმობს."

მაშასადამე, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ორი გზის შესახებ თავიდანვე ცნობილი იყო, მაგრამ რეფორმატორები გამუდმებით არწმუნებდენ საზოგადოებას, რომ არჩეულ რეფორმატორულ გზას ალტერნატივა არ გააჩნდა, რის შედეგადაც საქართველოს ეკონომიკა "შოკური თერაპიის" უალტერნატივო მარწუხებში აღმოჩნდა.

რა განაპირობებს რეფორმების ამა თუ იმ სტრატეგიის არჩევანს? პასუხი ცალსახაა, რა თქმა უნდა, მიზანი. თუ ვიტყვით, რომ რეფორმების მიზანს სოციალიზმიდან საბაზრო ურთიერთობებზე მშვიდობიანი გადასვლა წარმოადგენდა მინიმალური დანაკარგებითა და მინიმალური ნგრევით, მაშინ რეფორმა შეიძლება წარუმატებლად ჩაითვალოს, და თუ ვიტყვით, რომ რეფორმების მიზანს სოციალიზმის სწრაფი ლიკვიდაცია წარმოადგენდა, მაშინ იგი შეიძლება წარმატებულადც ჩაითვალოს. ცნობილია, აღნიშნული ქმედების იდეოლოგიური სარჩული - "მიზანი ამართლებს საშუალებას."

საქართველოში ეკონომიკური რეფორმა წამხედურობით იქნა დაწყებული. წინასწარი მომზადების, განხილვის, გააზრებისა და შეჯერების გარეშე. ისე რომ, არ ყოფილა გათვითცნობიერებული რეფორმის მოსალოდნელი შედეგები. ამიტომაც ეკონომიკის რეფორმირების პროცესი დაუსრულებლად გაგრძელდა და იგი დღესაც გრძელდება.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოში ეკონომიკური რეფორმების მიმდინარეობა შეიძლება სამ ეტაპად დაიყოს: პირველი ეტაპი მოიცავს 1991-1994-წლების პერიოდს, მეორე ეტაპი-1995 წლიდან ვარდების რევოლუციამდე პერიოდს და მესამე ეტაპი-ვარდების რევოლუციიდან დღემდე.

პირველ ეტაპზე, ეკონომიკურ რეფორმებზე განუზომლად დიდი იყო პოლონური გამოცდილების და პოლონელი ეკონომისტების ზეგავლენა. საპჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პოლონეთი ის პირველი ქვეყანა გახდა, სადაც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა "შოკური თერაპიის" მეთოდით დაიწყო. აქვე აუცილებელია აღინიშნოს ის განსხვავებული სასტარტო პირობები, რომლებშიც ეკონომიკური რეფორმის დასაწყისში ეს ორი ქვეყანა იმყოფებოდა. კერძოდ, პოლონეთს გააჩნდა სახელმწიფოებრიობის ყველა ნიშანი და საკმარისი რაოდენობით საბაზრო ინსტიტუტები "ბალცეროვიჩის გეგმით" გათვალისწინებული ღონისძიებების სრულყოფილად გატარებისათვის. მაშინ, როცა საქართველოს არ გააჩნდა სახელმწიფოებრიობის ყველა ატრიბუტი (საელჩოები, საბაჟო, დამოუკიდებელი ფულადი ერთეული და ა.შ.) და არც შესაბამისი საბაზრო ინსტიტუტები. ამიტომ "შოკური თერაპიის" მეთოდის წარმატებული განხორციელების ყოველგვარი მცდელობა იმთავითვე კრახისათვის იყო განწირული. მიუხედავად ამისა, 1992 წლის გაზაფხულზე, ეკონომიკის რეფორმირების პროცესი საქართველოში დაიწყო. "შოკური თერაპიის" კლასიკურ სქემად ქცეული "ბალცეროვიჩის გეგმის" ათი ძირითადი ღონისძიებიდან საქართველოში სრულყოფილად მხოლოდ ერთი განხორციელდა. ეს გახლდათ ფასების ლიბერალიზაცია, რამაც ქვეყანაში ინფლაციური პროცესების დაჩქარებას შეუწყო ხელი. 1993-1994 წლებში ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებულმა ფულად საკრედიტო თუ საბიუჯეტო ემისიამ ჰიპერინფლაცია გამოიწვია. იმ პერიოდში ინფლაცია საშუალოდ თვეში 50-70 პროცენტს შეადგენდა, რამაც პირველი ქართული ეროვნული ვალუტის - კუპონის მიმართ საზოგადოების ნიჰილიზმი გამოიწვია. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ჰიპერინფლაციის მოთოკვა შეუძლებელი იყო, ვინაიდან როგორც ეს ზემოთ აღინიშნა არ არსებობდა ინსტიტუტები, რომლებიც მთავრობას საშუალებას მისცემდა ჰიპერინფლაციის შესაჩერებლად გაეტარებინა დამაბალანსებელი ღონისძიებები. ყოველივე ამის გამო, ქვეყანაში საფინანსო სისტემა საერთოდ მოიშალა. საქართველოს არ ჰქონდა პარლამენტის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი. მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა ქვეყანაში მიმდინარე საომარი მოქმედებები - ჯერ ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ხოლო შემდეგ აფხაზეთში.

პოლონეთში განხორციელებულ ეკონომიკურ რეფორმებს სათავეში ვიცე-პრემიერი და ფინანსთა მინისტრი ელშეკ ბალცეროვიჩი ედგა, რომელმაც შეძლო პოლონეთი ერთ-ერთ წარმატებულ და განვითარებულ ქვეყნად ექცია. ამჟამად იგი პოლონეთის ცენტრალური ეროვნული ბანკის პრეზიდენტია. საქართველოში დაწყებულ ეკონომიკურ რეფორმებს სათავეში რომან გოცირიძე ედგა. ამჟამად ისიც საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტია.(!)

ეკონომიკური რეფორმების მეორე ეტაპი რეფორმატორულ ქმედებათა ვრცელი სპექტრით ხასიათდებოდა. ამ მოვლენებზე და რეფორმის შემდგომ ეტაპებზე “24 საათი-ბიზნესის” მომდევნო ნომრებში ვისაუბრებთ.

# მშენებლობის ექსპერტიზა გამარტივდება

ახალი შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციაში გაშვებისა და ექსპერტიზის პროცედურის გამარტივებას ითვალისწინებს საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც მთავრობამ ოთხშაბათის სხდომაზე განიხილა და მხარი დაუჭირა. როგორც პრაიმ-ნიუს ბიზნესს ცვლილებების ინიციატორმა, ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ირაკლი ჩოგოვაძემ განუცხადა, აღარ იქნება საჭირო ყველა ობიექტზე სპეციალური კომისიის შექმნა, რომელიც 10-მდე უწყების წარმომადგენელს აერთიანებს. სანაცვლოდ, ექსპლუატაციაში მიღების საკითხს გადაწყვეტს ნებართვის გამცემი ორგანო, რაც იმას ნიშნავს, რომ საწარმოს მხოლოდ ერთ სტრუქტურასთან ექნება შეხება.

მინისტრის ინფორმაციით, გამარტივდება სამშენებლო ექსპერტიზის პროცედურები. ექსპერტიზის განხორციელების უფლება აღარ ექნება მხოლოდ ერთ ორგანოს და ამ სფეროში კონკურენტული გარემო ჩამოყალიბდება. ამასთან, გამარტივდება და მკაფიოდ ჩამოყალიბდება განათებასთან დაკავშირებული ნორმები, რომლებიც იმდენად რთულია, რომ სამშენებლო საქმიანობას აფერხებს და ხშირად სამეზობლო დავებს იწვევს. როგორც ჩოგოვაძემ აღნიშნა, გაუქმდება კომპლექსური ექსპერტიზა და საკმარისი იქნება გეოლოგიური და შენობის მდგრადობის დამადასტურებელი დასკვნა.

მისი თქმით, მთავრობა სამშენებლო ბიზნესის განვითარებისთვის საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებაზე იზრუნებს.

მინისტრის ინფორმაციით, სამშენებლო დარგი მზარდი სექტორია - 2005 წელს, 2004-თან შედარებით, ზრდის მაჩვენებელმა 23% შეადგინა, ხოლო 2005 წელს ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ) სამშენებლო ბიზნესის წილი 9%-ით განისაზღვრა. მისი თქმით, მშენებლობის დარგში დღეისათვის 25 000 ადამიანია დასაქმებული. 2004 წელს სამშენებლო ნებართვა 1000-მდე ობიექტზე გაიცა, 2005 წელს ამ მაჩვენებელმა 1 700-ს მიაღწია. პროდუქციის ღირებულებამ 2004 წელს 377 მილიონი შეადგინა, 2005 წელს კი 600 მილიონს გადააჭარბა.

"მშენებლობის სფეროს კიდევ უფრო განვითარება და სტიმულირება ეკონომიკური განვითარების სამინისტროს პრიორიტეტია,"- განაცხადა ირაკლი ჩოგოვაძემ. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## აშშ-ს საფონდო ბირჟაზე ზრდა დაიწყო

გუშინ აშშ-ს საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა ზრდა დაფიქსირდა, რაც ქვეყნის სახაზინო ობლიგაციების ბაზრის სტაბილიზაციამ, ფედერალური სარეზერვო ფონდის ხელმძღვანელობის დამაიმედებელმა განცხადებამ და რამდენიმე პოზიტიურმა კორპორაციულმა სიახლემ განაპირობა.

შედეგად, თბილისის დროით 18.23-ისთვის Dow Jones Index 0,53 პროცენტით, 11.203,85 პუნქტამდე გაიზარდა, 0,37 პროცენტით მომატებულმა Nasdaq Index-მა 2.345,36-ს მიაღწია, ხოლო S&P500 Index 0,63 პროცენტით გაიზარდა და 1.305,93 პუნქტი შეადგინა.




## ძვირფასი ლითონი გაიაფდა

ნიუ იორკის ბირჟაზე გამართულ ვაჭრობაზე მოგების ფიქსაციის გამო ძვირფასი ლითონების ფასთა მცირეოდენი კლება დაფიქსირდა. კერძოდ, ოქრო 0,6 პროცენტით გაიაფდა და 1 ტროიანული უნციის (31,1035 გ) ფასმა 590,6 ლოლარი შეადგინა. ვერცხლის ფასმა კი 0,3 პროცენტით დაიკლო და 1 უნცია 11,73 დოლარი ღირდა.

ექსპერტთა განცხადებით, რამდენიმე დღის წინ დაფიქსირებული სარეკორდო ფასების შემდეგ ამგვარი მცირე გაიაფება მოსალოდნელი იყო. სამომავლოდ ფასთა კლება კიდევ ორი-სამი დღე გაგრძელდება.

## Goodyear-მა ორი ქარხანა დახურა

საბურავების უმსხვილესი ამერიკული მწარმოებლის Goodyear Tire & Rubber Co-ს ხელმძღვანელობამ ორი ევროპული, პოლონეთსა და დიდ ბრიტანეთში მდებარე, ქარხნის დახურვის შესახებ განცხადება გააკეთა. ამისათვის კომპანიას 115 მილიონი დოლარის დახარჯვა და დაახლოებით 1500 სამუშაო ადგილის შემცირება მოუწევს, თუმცა, საბოლოოდ, წელიწადში 50 მილიონს დაზოგავს.



Goodyear-ის მიერ რადიკალური ნაბიჯის გადადგმა კომპანიის უმსხვილესი კლიენტების, როგორებიცაა საავტომობილო კონცერტები General Motors Corp და Volkswagen AG, მიერ პროდუქციის ღირებულების ზრდის შეჩერების მოთხოვნამ განაპირობა. არადა, ნავთობის, რომელიც საბურავების წარმოების მთავარი ნედლეულია, ფასის მატების პირობებში ეს შეუძლებელია. სავარაუდოდ, შემოსავლის გაზრდის მიზნით, კომპანიის ხელმძღვანელობა ქარხნებს ჩინეთში გადაიტანს.

## უსწრაფეს ავტომობილს კონკურენტი გამოუჩნდა

ამერიკულმა კომპანია Shelby Super Cars ახალი სუპერავტომობილის SSC Aero-ს ექსტრემალური ვერსიის Aero Ultimate-ს გამოშვებას იწყებს. იგი უფრო ძლიერი მოტორით იქნება აღჭურვილი, ვიდრე Bugatti Veyron, თუმცა, მასზე თითქმის ორჯერ იაფი ეღირება.

ახალი SSC Aero საბაზისო მოდელის მსგავსად ალუმინის V8c, მექანიკურდგუშებიანი ძრავით იქნება აღჭურვილი, მაგრამ მისი მოცულობის ცოტათი, 6,3 ლიტრამდე გაზრდის და მცირე მოდერნიზების შედეგად სიმძლავრე 787-დან 1046 ცხენის ძალამდე გაიზარდა. აგრეგატის მაქსიმალური ბრუნვის მომენტი 1113HM გახლავთ. თუმცა, ამ მონაცემების მიღწევა მხოლოდ ნამდვილი სპორტული, 104 ოქტანური რიცხვის მქონე საწვავის გამოყენებით შეიძლება.

აღსანიშნავია, რომ SSC Aero Ultimate-ს 0-დან 100-მდე კმ/საათში სისწრაფის განვითარება 3 წამში შეუძლია, მისი მაქსიმალური სისწრაფე კი დაახლოებით 440 კმ/საათშია. ანუ, იგი უფრო სწრაფია ვიდრე Bugatti Veyron, რაც ძრავის მოდერნიზების გარდა შესანიშნავმა აეროდინამიკურმა თვისებებმა და ძარის ცოტათი შემსუბუქებამ განაპირობა.

SSC Aero Ultimate-ს ფასი 654 ათასი დოლარი იქნება, Bugatti Veyron კი მილიონ ევროზე მეტი ღირს.



## რეალიზატორებს პროდუქციაზე ფასის მითითება მოუწევთ

რეალიზატორებს გასაყიდ პროდუქციაზე სარეალიზაციო ფასის მითითების ვალდებულება დაეკისრებათ. პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის ინიციატივით "მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ" კანონში საკანონდებლო ცვლილებები მომზადდა. როგორც პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის და ეკონომიკური განვითარების კომიტეტის სხდომაზე ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ განაცხადა, იმის გამო, რომ პროდუქციაზე ფასი არ არის მითითებული, საქართველოში მომხმარებელს, უხერხულობა ექმნება. ამიტომ, საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მიზნით "მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ" კანონში ცვლილებები მომზადდა.

"ცვლილებების მიხედვით, პროდუქციის რეალიზატორი ვალდებული იქნება გასაყიდ და ერთეულ პროდუქციაზე გასაყიდი და ერთეული ფასი მიუთითოს, თუმცა, თუ გასაყიდი ფასი ერთეული ფასის იდენტურია, მაშინ რეალიზატორი არ იქნება ვალდებული პროდუქციის ერთეული ფასი მიანიშნოს," - განაცხადა ბაქრაძემ.

მისი თქმით, კანონპროექტში გათვალისწინებულია გამონაკლისიც, კერძოდ, პროდუქციის ფასის მითითება არ იქნება სავალდებულო აუქციონზე პროდუქტის გაყიდვის შემთხვევაში ან პროდუქციის წონით რეალიზაციის შემთხვევაში ან ხელოვნების ნიმუშის ან ანტიკვარის რეალიზაციის დროს.

კანონპროექტის მიხედვით გათვალისწინებულია შეღავათი ინდივიდუალური მეწარმეებისთვის, რომლებსაც, შესაძლოა, აღნიშნულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა პრობლემები შეუქმნას. მათთვის შეღავათიანი პერიოდი 2008 წლის 1 იანვრამდე გაგრძელდება.

"კონკრეტულად რომელ კატეგორიას შეეხება ეს შეღავათი, ამას ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ნორმატიული აქტით განსაზღვრავს," - განაცხადა ბაქრაძემ. **ინტერპრესნიუსი**

## საქართველოს მთავრობამ არც უნდა იცოდეს, რას აპირებს "გაზპრომი"

რუსული "გაზპრომის" მიერ ბუნებრივ აირზე ფასის გაზრდა საქართველოს ხელისუფლების ფიქრის საგანი დღეისათვის არ არის. როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა დღეს განაცხადა, საქართველოს მთავრობამ არც უნდა იცოდეს, რას აპირებს "გაზპრომი". მისივე თქმით, ხელისუფლებას "გაზპრომთან" ერთწლიანი კონტრაქტი აქვს გაფორმებული.

"დღეს, ჩვენი მთავარი ამოცანაა გაზის მოწოდების წყაროების დივერსიფიკაცია," - აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა. მისივე თქმით, წლის ბოლოს ამოქმედდება შაჰ-დენიზის გაზსადენი, საიდანაც საქართველო მცირე ოდენობით, თუმცა მაინც მიიღებს ბუნებრივ აირს. **ინტერპრესნიუსი**

## მე-3 თაობის მობილურ სიხშირეებზე სატენდერო განაცხადების მიღების ვადა იწურება

2000 მეგაჰერცი სიხშირის დიაპაზონში მე-3 თაობის მობილური კავშირგაბმულობის სიხშირეების შესყიდვაზე სატენდერო განაცხადების ვადა კომუნიკაციების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში დღეს იწურება.

კომისიის წევრის, ელისო ასანიძის ქმით, ტენდერი გამოცხადებულია სიხშირეებზე, რომლის მომავალი მფლობელი კომპანია UMTS ტექნოლოგიით იმუშავებს. ეს სიხშირული დიაპაზონი ვიდეოგამოსახულების გადაცემის და ინტერნეტის მაღალ სიჩქარეს უზრუნველყოფს. მისივე ინფორმაციით, კავშირგაბმულობის სიხშირეების შესყიდვაზე სატენდერო განაცხადი ჯერჯერობით მხოლოდ კომპანია "ჯეოსელმა" წარადგინა.

სავარაუდოდ, ტენდერში "მაგთიკომი" მონაწილეობას არ მიიღებს, რადგან კომპანიამ ამ დიაპაზონში სიხშირეები 2005 წლის აგვისტოში გამართულ აუქციონზე 20 მილიონ ლარად უკვე შეისყიდა. ასანიძის თქმით, გასაყიდი სიხშირეების თავდაპირველი ფასი 8 491 342 ლარია. **პრაიმ-ნიუსი**

## ამინდი

| | 6/04 | 7/04 | 8/04 |
|---|---|---|---|
| კიევი | 6 | 3 | 7 |
| რიგა | 1 | 2 | 8 |
| ვილნიუსი | -4 | 0 | 7 |
| მოსკოვი | 6 | 5 | 5 |
| მინსკი | 3 | 3 | 5 |
| პარიზი | 12 | 15 | 16 |
| რომი | 21 | 18 | 20 |
| ლონდონი | 6 | 8 | 7 |
| მადრიდი | 18 | 20 | 23 |
| ბონი | 7 | 10 | 16 |
| ვარშავა | 4 | 5 | 10 |
| ათენა | 21 | 20 | 20 |
| ბერნი | 5 | 18 | 20 |
| ამსტერდამი | 2 | 5 | 4 |
| ოსლო | -4 | 0 | 3 |
| ანკარა | 23 | 19 | 20 |
| ვარნა | 12 | 16 | 2 |
| დელი | 42 | 43 | 41 |
| ტოკიო | 18 | 14 | 11 |
| კოპენჰაგენი | -2 | -3 | 0 |
| ბაქო | 18 | 20 | 21 |
| ერევანი | 18 | 22 | 23 |
| ასტანა | -8 | -20 | -14 |
| ჰელსინკი | -4 | -2 | -2 |
| დუბლინი | 3 | 2 | 2 |
| ლისაბონი | 16 | 21 | 24 |
| პრაღა | 5 | 5 | 11 |
| სოფია | 13 | 10 | 8 |
| ბუდაპეშტი | 1 | 13 | 13 |
| ბუხარესტი | 18 | 16 | 15 |

# სატარიფო თამაში და პოლიტიკა

პირველი გვერდიდან

გაზის ტარიფის ზრდა საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის (სემეკის) 2005 წლის 30 დეკემბრის დადგენილებით მოხდა. ბუნებრივი აირის უალტერნატივო მომწოდებელმა გაზპრომმა გასული წლის ბოლოს სატარიფო პოლიტიკა შეცვალა და საქართველოსთვის 1000 კუბური მეტრი ბუნებრივი აირის ფასი 60 დოლარიდან 110 დოლარამდე გაზარდა.

დღემდე ხელისუფლებამ გაზის ტარიფის სუბსიდირება მხოლოდ მოსახლეობისათვის განახორციელა, რითაც თავიდან აიცილა სოციალური ბუნტი და შეძლო ელექტროენერგიის ტარიფის შენარჩუნებაც.

2006 წლის შემოდგომა - ზამთრის სეზონისთვის კი ექსპერტთა პროგნოზები საკმაოდ მძიმეა. გაძვირებული გაზის პირობებში ელექტროენერგიის ტარიფის შენარჩუნება შეუძლებელი იქნება, რადგან საქართველოში ბუნებრივი აირისა და ელექტროენერგიის შემცვლელი ალტერნატიული იაფი წყარო არ არსებობს.

"ბუნებრივი აირის ფასი 69 პროცენტით არის გაზრდილი. ცალსახად იზრდება სამომხმარებლო კალათა. მომსახურების სხვა ხარჯები რომც შეიზღუდოს, ფასის ნაზარდი იქნება ადეკვატური იმ ცვლილებისა, რაც მოხდა აირის შესასყიდ ფასსა და მანამდე არსებულ ფასს შორის. ამდენად, ეს ყველაფერი აისახება გაზის უშუალო მომხმარებლებზე, სამრეწველო ობიექტებზე.

გაზის ტარიფის ზრდა ყველაზე მტკივნეულია მოსახლეობისათვის. რადგან, ბუნებრივი გაზი ყველაზე იაფი რესურსია" - განუცხადა "24 საათს" ექსპერტმა ენერგეტიკის საკითხებში შალვა ზარანდიამ.

თუ ენერგეტიკის სექტორს გადავხედავთ, თავისუფალ ბაზარზე არსებობს ალტერნატიული სათბობი წყაროები - ნავთი, დიზელი და თხევადი გაზი. ყველა ეს რესურსი ბუნებრივ აირთან შედარებით (ერთეულ კალორიაზე დაყვანილი) გაცილებით ძვირია. საქართველოს მოსახლეობისათვის ელექტროენერგია რჩება ბუნებრივი აირის ჩანაცვლების ერთადერთ რეალურ წყაროდ. ვერც ნავთი და ვერც დიზელის საწვავი მას ვერ ჩაენაცვლება, რადგან მათი ფასი 2-2,5 ჯერ მეტია.

"ხელისუფლება სუბსიდირებით ეხმარება ენერგეტიკას. მიმაჩნია, რომ ასეთი დახმარება შედეგს არ მოიტანს, რადგან შემოდგომა-ზამთრის პერიოდში მუდმივად იქნება პრობლემები. უფრო მარტივი იქნება, თუ ხუთი თვის განმავლობაში, ნოემბრიდან 15 აპრილამდე, გაზის იმპორტი დამატებითი ღირებულების გადასახადისაგან (დღგ-სგან) მთლიანად გათავისუფლდება. ზაფხულში შესაძლებელია დღგ-ს 10 პროცენტამდე შემცირება. გაზის სექტორზე საგადასახადო შეღავათი თუ არ დაწესდა, ამ მდგომარეობიდან ვერ გამოვალთ. პარლამენტში უნდა შევიდეს წინადადებათა პაკეტი საგადასახადო შეღავათების დაწესების შესახებ, ეს კი შემოდგომა-ზამთრის სეზონის დადგომამდე უნდა მოხდეს. თუ სახელმწიფო დოტაცია არ გაილო, ტარიფის ზრდის შეჩერება გარდაუვალი იქნება," - განუცხადა "24 საათს" შალვა ზარანდიამ.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მოსახლეობისათვის მიწოდებული ალტერნატიული საწვავის ფასები (აშშ დოლარი)

2004 წელი

| № | ქვეყანა | ბუნებრივი გაზი 1,242მ³ დოლარი | დიზელის საწვავი 1 ლიტრი დოლარი | ელექტროენერგია 1 კვტ/საათი ცენტი |
|---|---|---|---|---|
| 1 | კანადა | 0.41 | 0.56 | - |
| 2 | აშშ | 0.46 | 0.48 | 8.9 |
| 3 | ავსტრია | 0.56 | 0.68 | 17.7 |
| 4 | ჩეხეთი | 0.39 | 0.64 | 9.7 |
| 5 | დანია | 1.17 | 1.15 | 28.3 |
| 6 | ფინეთი | 0.30 | 0.63 | 12.3 |
| 7 | საფრანგეთი | 0.60 | 0.66 | 14.1 |
| 8 | საბერძნეთი | 0.57 | 0.82 | 10.6 |
| 9 | უნგრეთი | 0.44 | - | 13.4 |
| 10 | ირლანდია | 0.63 | 0.73 | 17.2 |
| 11 | ლუქსემბურგი | 0.41 | 0.52 | 15.5 |
| 12 | ჰოლანდია | 0.76 | 0.97 | 22.1 |
| 13 | ნორვეგია | - | 1.0 | 6.9 |
| 14 | პოლონეთი | 0.38 | 0.59 | 10.3 |
| 15 | სლოვაკეთი | 0.39 | - | 13.4 |
| 16 | ესპანეთი | 0.71 | 0.61 | - |
| 17 | შვეიცარია | 0.68 | 0.48 | 14.2 |
| 18 | თურქეთი | 0.29 | 1.17 | 11.1 |
| 19 | ინგლისი | 0.47 | 0.47 | 13.8 |
| 20 | გერმანია | - | 0.56 | - |
| 21 | საქართველო | 0.23 | 0.76 | 4.9 |

ელექტროენერგიის ტარიფის მოსალოდნელ გაძვირებაზეც გააკეთა პირველი განცხადება საბითუმო ბაზარმა. გამოითქვა მოსაზრება, რომ დარგი წაგებიანია, მისი განვითარების პერსპექტივა კი ტარიფის 15 თეთრამდე გაძვირებაში დევს.

ამ ეტაპზე, ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდის მოთხოვნით, სემეკისთვის ოფიციალურად არცერთ სადისტრიბუციო კომპანიას არ მიუმართავს. თუმცა ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ტარიფის ზრდაზე განაცხადი, შესაძლოა, თელასმა გააკეთოს. თელასის შვილობილი კომპანიია "მტკვარი-ენერგეტიკა", გაძვირებულ გაზზე მუშაობს. თუ სახელმწიფო სუბსიდირებაზე უარს იტყვის, თელასი ტარიფის გაზრდას მოითხოვს.

ამჟამად ბაზარზე ყველაზე მსხვილი მოთამაშე თელასია, რომელსაც ენერგობაზრის 50 პროცენტი უჭირავს. .

როგორ ავიცილოთ ტარიფის ზრდა? ექსპერტთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ბუნებრივ აირზე საგადასახადო შეღავათის დაწესება საკმაოდ მძიმე იქნება, მაგრამ ტარიფის ზრდის შეჩერება მხოლოდ ამ საგადასახადო შეღავათით არის შესაძლებელი.

თუმცა არსებობს კიდევ ერთი გამოსავალი, ამის მაგალითია ევროპული გამოცდილება. ევროპაში, ერთნაირი მოცულობის, დიზელის და გაზის ფასი ერთმანეთისაგან მცირედით განსხვავდება. საქართველოში კი დიზელზე და ნავთზე, დღგ-ს გარდა, აქციზის გადასახადიც არის განსაზღვრული. ამის გამო ალტერნატიული წყაროების ფასი ბუნებრივ აირთან შედარებით რამდენჯერმე ძვირია. რატომ დასჭირდა სახელმწიფოს საყოფაცხოვრებო მოხმარების საწვავზე და თხევად გაზზე აქციზის გადასახადის დაწესება, დღემდე გაუგებარია.

## ქონების პირდაპირი მიყიდვა 2 წლის ვადით?

თინა შავაძე

მიმდინარე დიდი პრივატიზაციის პროცესში მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებაა მოსალოდენლი. მთავრობა "სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" კანონში ცვლილებას მოითხოვს. მოქმედი კანონმდებლობით პოტენციური მყიდველი ობიექტს დადგენილი ფორმით (პირდაპირი მიყიდვა, კონკურსი და აუქციონი) ყიდულობს. პირდაპირი მიყიდვის წესით ობიექტი პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე იყიდება და ამ შემთხვევაში, ხშირად მყიდველს საწარმო ექსკლუზიური უფლებით გადაეცემა საკუთრებაში. ამ წესით ხშირად იყიდება მიმზიდველი, მსხვილი (თბილავიამშენი), საშუალო და მცირე ზომის ობიექტები. ბოლოს ამ წესით თბილისში ობიექტი 110 ათას დოლარად გაიყიდა. არსებული წესით, მესაკუთრეს, პირდაპირი მიყიდვის გზით შეძენილი ქონების საფასურის გადახდა ერთი წლის განმავლობაში შეუძლია. ახალი საკანონმდებლო ცვლილება ამ ვადის 2 წლამდე გაზრდას ითვალისწინებს. რატომ 2 წელი და არა ექვსი თვე ან უფრო მცირე პერიოდი, ეს კითხვა ბუნებრივად გაჩნდა საკანონმდებლო ორგანოში.

გაზეთ "24 საათთან" საუბარში, პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის მთავარმა სპეციალისტმა ვაჟა ქუმერიძემ განაცხადა, რომ "კამათის თემაა რატომ ორი წელი და არა ექვსი თვე, მითუმეტეს მაშინ, როცა პირდაპირი მიყიდვის წესით ობიექტის გაყიდვაზეა საუბარი, ეს ხომ ის შემთხვევაა, როცა მყიდველს კონკურენტი არ ჰყავს და ამიტომაც უნდა იმუშაოს პრინციპმა: გადაიხადე ფული და დაისაკუთრე ქონება. ჩემი აზრით, ასეთი გარიგება დროში გაწელილი პროცესი არ უნდა იყოს.

მთავრობა თანხის გადახდის ვადის ორ წლამდე გაზრდის საფუძვლად მოქმედ კანონმდებლობას ასახელებს. ის მიწის ნაკვეთი, რომელიც საწარმოზეა მიმაგრებული 2-წლიან შესყიდვის ვადას ითვალისწინებს. ამიტომაც საკანონმდებლო კოლიზია რომ არ მოხდეს, მთავრობა კანონში სათანადო ცვლილებას მოითხოვს. რაც ნიშნავს იმას, რომ პოტენციური მყიდველი შენობანაგებობებისა და მიწის შესასყიდ თანხას ერთდროულად გადაიხდის.

ხელისუფლებამ გაითვალისწინა საქართველოს საოკეანო სანაოსნოს კონკურსის გამო ატეხილი სკანდალიც. მაშინ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ვებგვერდზე ამ სახელმწიფო კომპანიის შესახებ დეტალური ინფორმაცია განთავსებული არ იყო. ახალი ცვლილებით ეს სავალდებულო გახდება. კომიტეტი ითხოვს გაზეთში გამოქვეყნებული ინფორმაციის გარდა, ობიექტის შესახებ დეტალური და სრულყოფილი ინფორმაცია ინტერნეტის საშუალებითაც გავრცელდეს".

# ინფლაციის დონემ მარტში 0,6% შეადგინა

ინფლაციის დონემ საქართველოში მარტში თებერვალთან შედარებით მოიმატა და 0,6 პროცენტი შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი 2004 წლის მარტში 0,1%-ს შეადგენდა, ხოლო 2003 წლის მარტში სამომხმარებლო ფასების საერთოს დონე პრაქტიკულად არ შეცვლილა. მარტში, მიუხედავად ისეთ სასაქონლო წარმომადგენლობებზე ფასების შთამბეჭდავი ზრდისა, როგორიცაა შაქრის ფხვნილი, სხვადასხვა სახის ბოსტნეული და ა.შ. (რომელთაც განსაკუთრებით დიდი წილი უჭირავს მოსახლეობის სამომხმარებლო სტრუქტურაში), ფასების კლებამ ქათმის ხორცზე, კვერცხზე, ყველზე და საწვავზე დააბალანსა ზემოთ აღნიშნული ფასების ზრდის ტენდენცია და საბოლოოდ, წინა თვესთან შედარებით 0,1%-ანი ინფლაცია დაფიქსირდა. დეპარტამენტის ცნობით, მარტში სამომხმარებლო ბაზარზე უკვე შეიმჩნევა ზოგიერთი საქონლის ტრადიციული სეზონური ხასიათი და ხარისხის ცვლილების გამო ფასების შემცირების ტენდენცია, მაგალითად ფასების შემცირება ციტრუსზე, მსხალზე, ვაშლზე.

ქვეყანაში ფასები მნიშვნელოვნად გაიზარდა ბოსტნეულზე - საშუალოდ 4,8%-ით. მათ შორის ჭარხალზე 77,3%-ით, სტაფილოზე - 18,8%-ით, ხოლო კომბოსტოზე - 6,0%-ით. ამასთან ერთად, სამომხმარებლო ფასები გაიზარდა შაქარზე საშუალოდ 6,3%-ით. მათ შორის თელავში - 8,5%-ით, გორში - 6,0%-ით, ქუთაისში 4,6%-ით, ხოლო თბილისში - 4,4%-ით. ფასები თევზეულზე საშუალოდ 1,7%-ით გაიზარდა, მათ შორის თბილისში 3,1%-ით, ხოლო თელავში - 2,1%-ით. "ქათმის გრიპთან" დაკავშირებით, ქვეყანაში სამომხმარებლო ფასები ქათმის ხორცზე საშუალოდ 11,4%-ით შემცირდა, მათ შორის თბილისში - 16,7%-ით, ხოლო ქუთაისში - 10,0%-ით.a კვერცხზე ფასები საშუალოდ შემცირდა 18,7%-ით, მათ შორის თბილისში - 23,1%-ით, თელავში 14,1%-ით, გორში - 13,3%-ით, ხოლო ქუთაისში - 12,1%-ით. მომსახურების ნაწილში, სამომხმარებლო ფასები გაიზარდა ჯანდაცვაზე - საშუალოდ 1,3%-ით, სასტუმროების, რესტორნებისა და კაფეების მომსახურებაზე 0,3%-ით, ხოლო ტარიფები შემცირდა კომუნალური და სათბობის ჯგუფზე საშუალოდ 1,3%-ით, რაც შეშის 19,7%-ით და ნავთის - 3,3%-ით შემცირებით შეიძლება ავხსნათ. დეპარტამენტის მონაცემებით, 2006 წლის მარტში 2005 წლის დეკემბერთან შედარებით სამომხმარებლო ფასების ინდექსმა 101,5% შეადგინა. მიმდინარე წლის სამ თვეში სამომხმარებლო ფასების საერთო დონის 1,5%-ანი ზრდა ძირითადად განაპირობა ბოსტნეულზე 13,4%-ით, შაქარსა და სხვა საკონდიტრო ნაწარმზე 10,3%-ით, ხორცსა და ხორცის პროდუქტებზე - 5,5%-ით, თევზეულზე - 4,2%-ით, ხილზე 3,8%-ით, ალკოჰოლურ სასმელებსა და თამბაქოზე - 2,3%-ით, სასტუმროების, კაფეებისა და რესტორნების მომსახურებაზე 2,1%-ით ფასების ზრდამ. 2006 წლის პირველ კვარტალში, 2005 წლის პირველ კვარტალთან შედარებით, სამომხმარებლო ფასების საერთო დონე 5,0%-ით გაიზარდა. მათ შორის, ხორცზე და ხორცის პროდუქტებზე ფასები გაიზარდა საშუალოდ 17,1%-ით, თევზეულზე - 10,8%-ით, რძეზე, ყველსა და კვერცხზე - 14,2%-ით, ხილზე - 15,7%-ით, შაქარზე - 17,9%-ით, ალკოჰოლურ სასმელებსა და თამბაქოზე - 14,5%-ით, უალკოჰოლო სასმელებზე - 7,2%-ით, კომუნალურ მომსახურებასა და სათბობის ხვა სახეებზე - 7,6%-ით, ტრანსპორტზე - 6,6%-ით, ხოლო სასტუმროების, კაფეებისა და რესტორნების მომსახურებაზე - 8,0%-ით.

## "საბაჟო გადასახადის შესახებ" კანონპროექტში ცვლილებებს პარლამენტთან კონსულტაციების შემდეგ მიიღებენ

მთავრობამ სხდომაზე პარლამენტიდან გამოთხოვილი "საბაჟო გადასახადის შესახებ" კანონპროექტზე იმსჯელა. როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა, პარლამენტთან კონსულტაციების შედეგად მთავრობა კანონპროექტში ცვლილებებს შეიტანს და მხოლოდ იმ მუხლებს დატოვებს, რომლებიც მიმდინარე წელს გასატარებელ ცვლილებებს შეეხება. ზურაბ ნოღაიდელის თქმით, ის საბაჟო გადასახადები, რომლებიც 2007 და 2008 წლებში უნდა შემცირდეს და გაუქმდეს, მომავალ წელს განიხილება. როგორც სახელმწიფო მინისტრმა რეფორმების კოორდინაციის საკითხებში კახა ბენდუქიძემ განაცხადა, კანონპროექტის გამოწვევის მიზეზი ის არის, რომ "პარლამენტში არიან ადამიანები, რომლებსაც ეკონომიკა არ ესმით". კანონპროექტის მიხედვით, საბაჟო გადასახადის განაკვეთები, რომლებიც დღევანდელი მონაცემებით, 14%-იდან 30%-მდე მერყეობს, 12%-მდე შემცირდება; განაკვეთები, რომლებიც 6%-იდან 10%-მდე მერყეობს - 5%-მდე; ხოლო 4%-იანი განაკვეთი 0%-მდე შემცირდება. 16 სატარიფო განაკვეთიდან წელს 3 განაკვეთი დარჩება. ნულოვანი განაკვეთი შემოღებული იქნება მანქანა-დანადგარებისა და ტექნიკის იმპორტზე, რაც საქართველოში ადგილობრივი წარმოების განვითარებასა და ინვესტორების მოზიდვას შეუწყობს ხელს. რაც შეეხება საკვები პროდუქტების იმპორტის დაბეგვრას, დსთ-ს წევრი სახელმწიფოების გარდა, ვისთანაც საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება აქვს გაფორმებული, ყველა სახელმწიფოდან საკვები პროდუქტების იმპორტი 12%-იანი განაკვეთით დაიბეგრება. 2007 წლის იანვრიდან იგეგმება 12%-იანი საბაჟო გადასახადის განაკვეთის 5%-მდე შემცირება; 2008 წლის 1 იანვრიდან კი საბაჟო გადასახადი მთლიანად გაუქმდება. **ინტერპრესნიუსი**

# რუსეთისთვის აშშ-ს გეგმა მიუღებელია

ინტერნეტჟურნალი "ნოვაია პოლიტიკა" აქვეყნებს სტატიას სათაურით "ენერგეტიკოსთა კავშირი", სადაც ამერიკისა და რუსეთის ინტერესებზე საუბრობს. ავტორი მიიჩნევს, რომ ლიდერი სახელმწიფოებისთვის მსოფლიო ენერგეტიკული რესურსების "ხელში ჩაგდება" მეტად მნიშვნელოვანია, რაც მათ საშუალებას მისცემს გავლენის განმტკიცებისა და შესაბამისი ფასეულებების დამკვიდრებისათვის. სტატიის ავტორი განიხილავს ყაზახეთის პრეზიდენტის, ნურსულთან ნაზარბაევის მოსკოვში ვიზიტის სავარაუდო შედეგებს. ავტორი აღნიშნავს, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომ ნაზარბაევი მოსკოვში პირველად ჩავიდა, რომელსაც დიდი ყურადღება ეთმობა ცენტრალური აზიის სახელმწიფოებში.

"პოლიტიკოსები იმედოვნებენ, რომ ამ ვიზიტმა შესაძლოა გაამყაროს თამნამშრომლობა რუსეთსა და ევრაზიის ქვეყნებს შორის. რუსეთსა და ყაზახეთს შორის ურთიერთობები განაპირობებს რეგიონების ქვეყნების პოზიციასა და დამოკიდებულებას მრავალი საკითხის მიმართ," - წერს გამოცემა.

სტატიაში აღნიშნულია ის გარემოება, რომ ნაზარბაევის ვიზიტი იმ მომენტს ემთხვევა, როდესაც ყაზახეთს საკმაოდ ცივი ურთიერთობები აქვს ევროკავშირთან და აშშ-თან.

"თეთრმა სახლმაც არაერთხელ წაუყრუა ნაზარბაევის თხოვნას ვაშინგტონში მისი შესაძლო ვიზიტის შესახებ. აშშ-მ ნაზარბაევის ინაუგურაციაზე დასასწრებად მხოლოდ სოფლის მეურნეობის მინისტრი მაიკ ჯოჰანსი გაუშვა, რაც გარკვეული მითქმა-მოთქმის მიზეზი გახადა, მაშინ, როდესაც ნაზარბაევის ინაგურაციას ვლადიმირ პუტინი დაესწრო," - აღნიშნულია სტატიაში.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ევროკავშირთან და აშშ-თან ურთიერთობის გაცივების მიზეზი ყაზახეთის მიერ დემოკრატიული და ევროატლანტიკური ფასეულობების კურსიდან გადახვევაა. ექსპერტების ვარაუდით, განხეთქილებისა და ურთიერთობების გაცივების მთავარი მიზეზი ისაა, რომ ნაზარბაევი თავს უფლებას აძლევს დამოუკიდებელი საგაეო პოლიტიკა აწარმოოს.

სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ აშშ-ი და ევროკავშირი დაინტერესებულნი არიან ყაზახეთის ენერგომატარებლებით. მარტში ასტანას აშშ-ს ენერგეტიკის მინისტრი სტუმრობდა, რომელმაც ყაზახეთის როლი რეგიონალურ პოლიტიკაში მისაღებად მიიჩნია. "ვიზიტის ფარგლებში ნაზარბაევისა და სამუელ ბოდმანის შეხვედრაზე განიხილეს ყაზახეთისა და აზერბაიჯანის ენერგო თანამშრომლობის საკითხი, რომელის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენით ენერგორესურსების ტრანსპორტირებას შეეხება. ასტანის თანხმობის შემთხვევაში, რაც რუსეთის გვერდის ავლით (აზერბაიჯანი, საქართველო, თურქეთი) ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირებაში ჩართვას გულისხმობს, ბუშის ადმინისტრაცია პირობას იძლევა ყაზახეთში დამატებითი ინვესტიციების განხორციელებაზე. კერძოდ, ხუთი წლის განმავლობაში ინვესტიციების გაორმაგებას," - ნათქვამია სტატიაში.

იქვე აღნიშნულია, რომ ევროკავშირი მთლიანად ეთანხმება აშშ-ის პოზიციას ყაზახეთთან მიმართებაში და მისი გაზის ექსპორტის განხორციელების უზრუნველყოფას რუსეთის გვერდის ავლით მნიშვნელოვნად მიიჩნევს. "პროექტის განხორციელების შემთხვევაში აშშ-სა და ევროკავშირს შესაძლებლობა ექნებათ მსოფლიოს გაზისა და ნავთობის 10 პროცენტი მათთვის ხელმისაწვდომი გახადონ. ამასთან ყოფილი სსრკ-ის ქვეყნებისათვის აღნიშნული იმის გარანტიაც იქნება, რომ ისინი არ იქნებიან დამოკიდებულნი "საბჭოთა" მილსადენებზე, რომელსაც რუსეთი განკარგავს," - აღნიშნულია სტატიაში. ავტორი აცხადებს, რომ აღნიშნული პროექტი გაზპრომისთვის მომხიბვლელი არ არის, რადგან იგი დაინტერესებულია შეამციროს მიწოდება შიდა ბაზარზე და მისი კომპენსაცია აზიიდან მიღებული გაზით მოახდინოს. აზიის ქვეყნებსაც სურთ საკუთარი გაზი ევროპას "ევროპული" ფასებით მიაწოდონ და მათთვის მთავარია ვინ უკეთეს პირობებსა და მხარდაჭერას შესთავაზებს."ყაზახეთმა აზებაიჯანისა და საქართველოს ეკონომიკაში თითქმის 1 მილიარდი დოლარის ინვესტირება განახორციელა, რაც ბაქოსა და ფოთში აქტივების შეძენით და სხვადასხვა ქარხნების მშენებლობის განხორციელებაში გამოიხატა. ამის მიუხედავად, ჯერაც გაურკვეველია ყაზახეთის პოზიცია ტრანსკასპიურ მაგისტრალთან მიმართებაში," - წერს ავტორი. ის მიიჩნევს, რომ ნაზარბაევისა და პუტინის მოლაპარაკებებზე ბევრად არის დამოკიდებული ენერგომატარებლების პრიორიტეტული სატრანზიტო მარშრუტების განსაზღვრა, რაც ნამდვილად ვერ იქნება მეორეხარისხოვანი როგორც ევროპის კავშირის, ასევე აშშ-სა და რეგიონის სხვა სახელმწიფოებისათვის. **ჯი-ეიჩ-ენი**

# საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაცია

**თანახმად "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების მე-19 მუხლის მე-4 პუნქტისა, ვაქვეყნებთ 2006 წლის 2,7,9 თებერვალს სოფლის მეურნეობის პროდუქტების, ფორმის და სხვა სახის ტანსაცმლის, ავეჯის და საყაზარმე ინვენტარის, ანტიბიოტიკების, ვიტამინების, გადასასხმელი საშუალებების, სხვა მედიკამენტების და საკერავი მასალის შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ღია ტენდერებში გამარჯვებულ პრეტენდენტთა სიას:**

| **სოფლის მეურნეობის პროდუქტები** | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაცია | შესასყიდი საქონლის დასახელება | განზო-მილება | რაო-დენობა | ერთეულის ღირებულება (ლარი) | საერთო ღირებულება |
| ინდ. მეწარმე "აკაკი ჩომახაშვილი" | კომბოსტო | კგ | 80,280 | 0.16 | 12,844.80 |
| | მანდარინი | კგ | 23,100 | 0.50 | 11,550.00 |
| | ფორთოხალი | კგ | 7,700 | 0.60 | 4,620.00 |
| | | | | | |
| **ფორმა და სხვა სახის ტანსაცმელი** | | | | | |
| ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაცია | შესასყიდი საქონლის დასახელება | განზო-მილება | რაო-დენობა | ერთეულის ღირებულება (ლარი) | საერთო ღირებულება |
| ინდ. მეწარმე "მამაუკა ლომიძე" | ტრუსი | ც | 26000 | 1.70 | 44200 |
| ინდ. საწარმო "თამაზ სონიშვილი" | საცვალი ზამთრის | კომპლ. | 20000 | 13.00 | 260000 |
| ინდ. საწარმო "შუბითიძე კახა" | სპორტული ფორმა | კომპლ. | 2000 | 25.00 | 50000 |
| შპს "ჯუბა" | საწვიმარი ლაბადა | წყ. | 30000 | 1.3 | 39000 |
| | წინდა თბილი | ც | 4000 | 17 | 68000 |
| შპს "მარიამი" | მაისური კომუფლირებული | ც | 30000 | 2.7 | 81000 |
| | წინდა | წყ. | 60000 | 0.85 | 51000 |
| შპს "ელსელემა" | კომუფლირებული ფორმა (ქუდით) | ც | 15000 | 53 | 795000 |
| | ქურთუკი | ც | 4000 | 92.00 | 368000 |
| | | | | | |
| **ავეჯი და საყაზარმე ინვენტარი** | | | | | |
| ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაცია | შესასყიდი მომსახურების დასახელება | განზო-მილება | რაო-დენობა | ერთეულის ღირებულება (ლარი) | საერთო ღირებულება |
| | | | | | |
| შპს "უნიმაქსი" | კარადა ტანსაცმლის 2 კარიანი | ც | 153 | 213.58 | 32,677.74 |
| | კარადა წიგნის | ც | 168 | 142.78 | 23,987.04 |
| შპს "ადეესი" | რბილი სამეული | ც | 35 | 330 | 11,550.00 |
| | ჟურნალების მაგიდა | ც | 31 | 50 | 1,550.00 |
| | ტელევიზორის მაგიდა | კომპლ. | 103 | 50 | 5,150.00 |
| | ორტუმბიანი მაგიდა მისადგმელით | ც | 60 | 220 | 13,200.00 |
| | ერთტუმბიანი საოფისე მაგიდა | ც | 477 | 105 | 50,085.00 |
| | სკამები სასადილოსთვის | ც | 1596 | 23 | 36,708.00 |
| | საჯარისო ტაბურეტი | ც | 2909 | 11 | 31,999.00 |
| | ტანსაცმის კარადა 2 კარიანი | ც | 17 | 170 | 2,890.00 |
| | ნახევრადრბილი სკამი (საოფისე) | ც | 923 | 24 | 22,152.00 |
| ინდ. საწარმო "თამაზ ბათუმაშვილი" | ფარდა-ჟალუზი | მ2 | 1500 | 30 | 45,000.00 |
| | | | | | |
| **ანტიბიოტიკები, ვიტამინები, გადასასხმელი საშუალებები, სხვა მედიკამენტები და საკერავი მასალა** | | | | | |
| ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაცია | შესასყიდი მომსახურების დასახელება | საერთო ღირებულება | | | |
| შპს "ავერსი ფარმა" | ვიტამინები | 7,174.02 | | | |
| | გადასასხმელი საშუალებები | 23,774.38 | | | |
| შპს "პსპ რიხტერი" | ანტიბიოტიკები | 111,422.81 | | | |
| | სხვადასხვა სახის მედიკამენტები | 140,036.11 | | | |

# განცხადება

## ქალაქ თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახური

(მისამართი: თბილისი, გ. ტაბიძის ქ. №4, მე-3 სართული)

ქ. თბილისის საკრებულოს 2003 წლის 27 ივნისის №10-6 გადაწყვეტილების, ამ გადაწყვეტილებით დამტკიცებული "ქ. თბილისის მთავრობის წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოთა ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების კონკურსის ფორმით განკარგვის წესის შესახებ" დებულების და ქალაქ თბილისის მთავრობის 2006 წლის 20 იანვრის №01.43.43 დადგენილების საფუძველზე

აცხადებს სამეურნეო კონკურსს

შპს "ქალაქ თბილისის მერიის საწარმო "თბილისის მეტროპოლიტენი შპს"-ს ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალების (არასაცხოვრებელი ფართის) იჯარით გაცემის თაობაზე.

ქონების ადგილმდებარეობა: ქ. თბილისი. რუსთაველის გამზირი. მეტროს სადგურ "თავისუფლების მოედანი"-ს ვესტიბიულის თავზე

ქონების ფართი: 1308.6 კვ მ

ქონების გადაცემის პირობა: იჯარა (გამოსყიდვის უფლების გარეშე)

კონკურსის ფორმა: სამეურნეო კონკურსი

საწყისი წლიური საიჯარო ქირა: 14 530 (თოთხმეტი ათას ხუთას ოცდაათი) ლარი

ქონების იჯარით გაცემის ვადა: 30 (ოცდაათი) წელი

ანგარიშსწორების (საიჯარო ქირის გადახდის) წესი: კონკურსში გამარჯვებული შემოთავაზებულ საიჯარო ქირას ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) წლის გასვლის შემდგომ გადაიხდის შემდეგი გრაფიკით:

- ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 წლის შემდგომ მე-10 წლის ჩათვლით შემოთავაზებული საიჯარო ქირის 150% ყოველწლიურად;
- ხელშეკრულების გაფორმებიდან მე-11 წლის შემდგომ 30-ე წლის ჩათვლით შემოთავაზებული საიჯარო ქირის 100% ყოველწლიურად.

ანგარიშსწორების (საიჯარო ქირის გადახდის) ვადები: ყოველი კალენდარული წლის ბოლოს, არაუგვიანეს კალენდარული წლის დასრულებიდან მომდევნო წლის 10 (ათი) დღისა.

საკონკურსო პირობები:

- არქიტექტურული ობიექტის განთავსება (იჯარით გასაცემი ფართის მდგრადობის გათვალისწინებით);
- სანიტარული, ხანძარსაწინააღმდეგო;
- კომუნალური ხარჯები;
- არანაკლებ გამოცხადებული საიჯარო ქირის შემოთავაზება და შემოთავაზებული საიჯარო ქირის გადახდის გრაფიკის დაცვა;
- გადაცემული ქონების აზომვა-რეგისტრაციისათვის საჭირო სამუშაოების ჩატარება საკუთარი ხარჯებით.

გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები: საკონკურსო პირობების სრულად დაკმაყოფილება და ქონების რეაბილიტაციისა და მაქსიმალურად ეფექტურად გამოყენების პროგრამის რეალიზებისათვის წინადადებების (პროგრამის) შემოთავაზება, რომელიც მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება): გასაცემი ქონების არქიტექტურისა და გარე იერსახის გაუმჯობესებას; გასაცემი ქონების გამოყენებით მოსახლეობის დასვენების (კულტურული, სოციალური, კომერციული) ობიექტის შექმნას; გასაცემი ქონების არქიტექტურისა და გარე იერსახის გაუმჯობესებას თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

გამარჯვებულად გამოცხადდება კონკურსანტი, რომელიც დააკმაყოფილებს საკონკურსო პირობებს და რომლის მიერ წარმოდგენილი პროგრამა (წინადადება) კომისიის მიერ მიჩნეული იქნება საუკეთესოდ.

"ბე"-ს ოდენობა შეადგენს: გამოცხადებული წლიური საიჯარო ქირის 25%-ს, რომელიც გამარჯვებულ კონკურსანტს ჩაეთვლება საიჯარო ქირის გადახდის პირველი ვადის ანგარიშში.

კონკურსში დამარცხებულ კონკურსანტს გადახდილი "ბე" დაუბრუნდება კონკურსის შედეგების დამტკიცებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, კონკურსანტის მოთხოვნით.

"ბე"-ს გადახდის საბანკო რეკვიზიტები: სს "გაერთიანებული ქართული ბანკი"-ს დიდუბის ფილიალი 3/4 კოდი: 220 101 665, ანგარიშსწორების ანგარიში: 173704, საიდენტიფიკაციო კოდი: 202 886 788. შპს "ქალაქ თბილისის მერიის საწარმო "თბილისის მეტროპოლიტენი შპს".

კონკურსში მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ:

- დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს კონკურსანტის თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობებისა და შემოთავაზებული პროგრამის (წინადადების) შესრულებაზე;
- "ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ფიზიკური პირის შემთხვევაში: პირადობის მოწმობის ასლი (კონკურსანტი სხვა დოკუმენტაციასთან ერთად წარმოადგენს პირადობის მოწმობის დედანს, რომლის ასლიც რჩება რეგისტრატორთან);
- იურიდიული პირისათვის: ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან და სადამფუძნებლო დოკუმენტაცია: პარტნიორთა (აქციონერთა ან სხვა) კრების ოქმი და წესდება (ან სადამფუძნებლო დოკუმენტაციის სანოტარო წესით დამოწმებული ასლები);
- სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა, თუ კონკურსში მონაწილეობს სხვა პირის სახელით;
- პროგრამა (წინადადება) დალუქული კონვერტის სახით.

განაცხადები მიიღება: განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2006 წლის 10 მაისის 18 საათამდე.

კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები გაიხსნება 2006 წლის 11 მაისს 12 საათზე. კონკურსანტებს აქვთ უფლება დაესწრონ წარმოდგენილი წინადადებების გახსნას.

საკონკურსო კომისია წარმოდგენილი წინადადებების გახსნიდან 10 დღის ვადაში განიხილავს და მიიღებს გადაწყვეტილებას კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ, რომელსაც აცხადებს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე.

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შემდგომ საკონკურსო კომისია ადგენს და სამსახურს გადასცემს კონკურსის შემაჯამებელ ოქმს, რომელიც 10 დღის ვადაში ამტკიცებს კონკურსის შედეგებს.

სამსახურის მიერ კონკურსის შედეგების დამტკიცების შემდგომ საკონკურსო კომისიის ოქმი გადაეცემათ კონკურსანტებს, ხოლო კონკურსში გამარჯვებულს ეგზავნება შეტყობინება ხელშეკრულების გასაფორმებლად.

კონკურსში გამარჯვებულთან გასაფორმებელი ხელშეკრულებისათვის საჭირო ყველა ხარჯებს (სანოტარო წესით გაფორმება, რეგისტრაცია და სხვა) გაიღებს კონკურსში გამარჯვებული.

განაცხადების წარმოდგენა და დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გ. ტაბიძის ქ. №4 მე-3 სართული. ტელ.: 93 61 09 (ზურაბ ლომინაძე).

---

National Bureau of Forensic Expertise informs you, that according to art. 12, par. 7 of the “Law on State Acquisitions” following amendment shall be made in the invitation for the bids for the acquisition of DNM laboratory equipment posted in newspaper “24 Hours”, on 21st of March, 2006, namely:

1. The payment of bidding fee 200 GEL shall also be possible on foreign currency with relevant exchange rate, on following account.

Bank of Georgia, Central Branch office,

Account N 08 70 70 687, code 220 101 502

---

**სსიპ სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო** საქართველოს "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-12 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად გაცნობებთ, რომ ჩვენს მიერ **2006 წლის 21 მარტის გაზეთ** "24 საათში" განთავსებულ დნმ-ის ლაბორატორიის მოწყობილობების შესყიდვის მიზნით ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში შეტანილი იქნას შემდეგი სახის ცვლილება, კერძოდ:

1. სატენდერო მოსაკრებელის 200 (ორასი) ლარის გადახდა ასევე შესაძლებელია უცხოურ ვალუტაში შესაბამისი კურსით, შემდეგ რეკვიზიტებზე:

სს "საქართველოს ბანკი", ცენტრალური ფილიალი,
ანგ. N 087070687, კოდი 220101502

# განცხადება ტენდერის შესახებ

**ქ. რუსთავი**
**6 აპრილი 2006 წელი**

1. ქალაქ რუსთავის ადგილობრივი თვითმმართველობა აცხადებს ღია ტენდერს ქალაქ რუსთავში ხუთი გზის მიწისქვეშა კომუნიკაციების (წყლის გაყვანილობების) რეაბილიტაციის სამუშაოებზე.

გზების ჩამონათვალი:

- გურამიშვილის ქუჩა;
- ლერმონტოვის ქუჩა;
- მესხიშვილის II და III გასასვლელებს შორის (21 სკოლასთან მისასვლელი);
- XII მკ-ნის შიდა კვარტალური ქუჩა;
- კიროვაკანის ქუჩა;

2. ვიწვევთ ტენდერში ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს, რომელმაც ბანკში უნდა გადაიხადოს სატენდერო მოსაკრებელი 200 ლარის ოდენობით, (ეროვნული ბანკის ერთიან ანგარიშზე N200122900, რუსთავის ხაზინის შიფრი N300064040) თუ სურს მიიღოს მონაწილეობა აღნიშნულ ტენდერში.

3. ნებისმიერი პრეტენდენტი, რომელიც წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისიის აპარატში (მის: ქ. რუსთავი კოსტავა N20 ადგილობრივი თვითმმართველობის შენობა 4-ე სართული სახელმწიფო შესყიდვების სამსახური) სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამდასტურებელ ქვითარს, დაუყოვნებლივ მიიღებს სატენდერო დოკუმენტაციას.

4. პრეტენდენტების მიერ სატენდერო მოსაკრებლის გადახდის და მისთვის სატენდერო დოკუმენტაციის გადაცემის ვადაა განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2006 წლის 25 აპრილის 18 00 სთ-მდე..

5. მონაწილე ფიზიკურმა და იურიდიულმა პირმა უნდა წარმოადგინონ საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება დახურულ კონვერტში 2006 წლის 26 აპრილს 1000 - 1800 სთ-მდე.

6. პრეტენდენტი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ვერ წარმოადგენს 5-ე პუნქტში აღნიშნულ ვადაში 7-ე ან 8-ე პუნქტში ჩამოთვლილ დოკუმენტებს:

7. საკვალიფიკაციო მონაცემები იურიდიული პირისათვის უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- მის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრიდან).
- მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან).
- არ უნდა ხორციელდებოდეს რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (შესაბამისი საგადასახადო ორგანოდან).
- მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყვნენ მსჯავრდებულნი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან).

8. საკვალიფიკაციო მონაცემები ფიზიკური პირისათვის უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- ცნობას შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი არის ქმედუნარიანი;
- მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან)
- უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყოს მსჯავრდებული ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

9. წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები სრულად უნდა შეესაბამებოდეს განცხადებაში მოთხოვნილ ცნობებს, რომლის არასრულად წარმოდგენის შემთხვევაშიც ან თუ რომელიმე ცნობა ყალბი აღმოჩნდება ტენდერში მონაწილე პირები ვერ გაივლიან საკვალიფიკაციო შერჩევას.

10. საკვალიფიკაციო დოკუმენტების და სატენდერო წინადადების განხილვის ვადას დაადგენს სატენდერო კომისია საკვალიფიკაციო დოკუმენტების და სატენდერო წინადადების წარდგენის ვადის დასრულებისთანავე გამართულ კომისიის სხდომაზე, რომელიც ჩატარდება 2006 წლის 26 აპრილს 1800 სთ-ზე.

11. სახელმწიფო შესყიდვის პროცედურეს დროს წარმოქმნილი მხარეთა პრეტენზიები განიხილება მოქმედი კანონმდებლობით.

12. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ სატენდერო კომისიის აპარატს მისამართზე: რუსთავი, კოსტავას გამზ. N20 4-ე სართული სახელმწიფო
შესყიდვების სამსახური
ტელ: 824 12 36 35.

**სატენდერო კომისია**

# შეცდომის გასწორება

2006 წლის 4 აპრილს გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნდა განცხადება **ქ.თბილისის მიწის მართვისა და განკარგვის (საკონკურსო) კომისიის მიერ პარკირებისათვის მიწის ნაკვეთების იჯარით გაცემის მიზნით გამოცხადებული კონკურსის** თაობაზე.

განცხადებაში დაშვებულია ტექნიკური ხარვეზები, კერძოდ:

**ა)** კონკურსში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა საკონკურსო კომისიას უნდა წარუდგინოს: ამოღებულ იქნეს 1 პუნქტი— **"უცხო ქვეყნის წარმომადგენლის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან".**

**ბ)** მე-4 მუხლიდან ამოღებულ იქნეს პუნქტი 4,5 "ფიზიკური პირისათვის" ჩამონათვალის პირველი აბზაცი, კერძოდ:

**"1 უცხო ქვეყნის წარმომადგენლის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან."**

# სს "თბილისის საერთაშორისო აეროპორტი" განმეორებით აცხადებს კონკურსს შემდეგ საიჯარო ფართზე

| № | ადგილმდებარეობა | დანიშნულება | ფართის ოდენობა, კვ.მ. | იჯარის მინიმალური ფასი 1მ²-ზე აშშ დოლარი თვეში, დღგ-ს გარეშე | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | №2 აეროვაგზლის შენობა /VIP-2 დარბაზი/ | ბარი | 35,5 | 3,0 | ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის |

cxrili ??/

შენიშვნა: საიჯარო გადასახადში არ შედის კავშირგაბმულობით, ელექტროენერგიით, წყლით სარგებლობისა და სხვა ღირებულება.

იჯარით გადაცემის კონკურსში მონაწილეობის პირობები:

1. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ შესაბამისი მიმართულების მქონე ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებიც უზრუნველყოფენ საიჯარო ფართის დანიშნულებისამებრ გამოყენებას.

2. იჯარის პერიოდი -- მიმდინარე წლის ბოლომდე, შემდგომი გაგრძელების უფლებით.

3. საკონკურსო პერიოდი -- საკონკურსო პირობების გამოქვეყნებიდან ორი კვირა.

4. წინადადებები მიიღება დალუქულ კონვერტებში, აეროპორტის კანცელარიაში გატარებული შემოსული ნომრით.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საწარმო ვალდებულია წარადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს ორგანიზაციულ- სამართლებრივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, სახელწოდებას, საქმიანობის ფაქტიურ ადგილს.
- საწარმოს პირველი პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები.
- ლიცენზია ან სერტიფიკატი შესაბამისი საქმიანობის განხორციელებაზე, თუ საქმიანობის სახეობა ექვემდებარება სერტიფიცირებას ან ლიცენზირებას.
- ინფორმაცია მომსახურების გაწევისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ.
- ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.
- ფიზიკური პირისათვის დამატებით:
- ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან ნასამართლეობის შესახებ.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, 0160 გაგარინის ქ. N29ა), აცხადებს ტენდერს სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის კმ.43(0.3)-კმ.56 მონაკვეთის პერიოდული შეკეთების სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს.

2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა - 2006-2007 წლები;

სამუშაოების შესრულების ვადა - მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.

გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაცია მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

**3.** დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება (ქართულ ენაზე) შეეძლებათ 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდეგ (რეკვიზიტებზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ანგარიშის N200122900, მიმღები ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი: 220101107, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 302003000), 2006 წლის 10 აპრილიდან, მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო.

**4.** დაინტერესებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2006 წლის 26 აპრილის 900 საათიდან 1800 საათამდე და 2006 წლის 27 აპრილის 900 საათიდან 1200 საათამდე, ორ ეგზემპლიარად (ერთი დედანი და ერთი ასლი) შემდეგ მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, საერთო განყოფილება.

მიიღება მხოლოდ იურიდიული სტატუსის მქონე პირების განცხადებები.

**5.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**5.1** ცნობები:

**5.1.1.** იურიდიული პირისათვის:

**ა)** ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

**ბ)** ცნობას სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და ცნობას სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

**გ)** ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის (მათ) მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

შენიშვნა: იმ იურიდიული პირებისათვის, რომლებიც 2006 წელს უკვე მონაწილეობდნენ საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში და 5.1.1 პუნქტის "ბ" და "გ" ქვეპუნქტებში მითითებული ცნობები 2006 წელს უკვე აქვთ წარმოდგენილი, მათი ხელმეორედ წარმოდგენა ამ ტენდერისათვის არ არის აუცილებელი.

**დ)** ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, ან ცნობა სასამართლოდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის შესახებ.

**ე)** ხელისმოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

**5.1.2.** ფიზიკური პირისათვის:

**ა)** ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

**ბ)** ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

**გ)** ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

შენიშვნა: იმ ფიზიკური პირებისათვის, რომლებიც 2006 წელს უკვე მონაწილეობდნენ საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში და 5.1.2 პუნქტის "ა", "ბ" და "გ" ქვეპუნქტებში მითითებული ცნობები 2006 წელს უკვე აქვთ წარმოდგენილი, მათი ხელმეორედ წარმოდგენა ამ ტენდერისათვის არ არის აუცილებელი.

**5.1.3** როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:

- ცნობას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ. მონაწილეს, ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (ქირა, თხოვება და ა. შ.) სატენდერო დოკუმენტაციაშია მოცემული მანქანა-მექანიზმები.

შენიშვნა:

**ა.** ცნობა უნდა წარმოდგეს ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად და უნდა აკმაყოფილებდეს სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ პირობებს.

| N | მანქანა-მექანიზმების დასახელება | აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული) | საკუთრება: მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა |
|---|---|---|---|---|---|
| 1<br>2<br>და ა.შ. | | | | | |

**cxrili 1**

**ბ.** იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მანქანა-მექანიზმები და დანადგარები იმყოფება მის კანონიერ მფლობელობაში, ან სარგებლობაში, ან საკუთრებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები (კერძოდ: იმ შემთხვევაში, თუ მანქანა-მექანიზმები და დანადგარები იმყოფება მის ბალანსზე, წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი აუდიტორული დასკვნა; თუ რომელიმე მანქანა-მექანიზმი და დანადგარი აყავს იჯარით, წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი საიჯარო ხელშეკრულება; თუ რომელიმე მანქანა-მექანიზმი და დანადგარის შეძენა ხდება ქვეყნის გარედან, წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი(ები) და ცნობა, თუ როდის იქნება ეს მანქანა-მექანიზმი და დანადგარი საქართველოში, და ა. შ.). ასევე აუცილებლად მითითებული უნდა იქნას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების და დანადგარების ადგილმდებარეობა, და იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს გამარჯვების შემთხვევაში რა დრო დასჭირდება მათი სამუშაოს შესრულების ადგელზე მობილიზაციისათვის.

**--** ცნობას ქვე-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, ქვე-კონტრაქტორის მიერ განსახორციელებელი მიწოდების შესახებ.

შენიშვნა:

**ა.** ცნობა უნდა წარმოდგეს ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| გასაწევი სამუშაოს სახე | ქვე-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი) | ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება | ქვე-კონტრაქტორის სპეციალიტთა ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება | ქვე-კონტრაქტორის სპეციალისტთა ბიოგრაფიული მონაცემები |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

**ბ.** ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილების გრაფაში მითითებული უნდა იქნას იმ ძირითადი ობიექტების ჩამონათვალი, რომელზეც ქვე-კონტრაქტორს გაწეული აქვს ანალოგიური სამუშაოები.

